

## ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

მარა ბითაძე

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო  
სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე

ხელმძღვანელი

იურიდიულ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

კომსტანტინე კორკელია

ნაშრომი წარდგენილია დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



2008

## შინაარსი

შესავალი.....	3
1. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საფუძვლები ეკოლოგიური სამართლის განვითარების მიხედვით .....	7
1.1. ეკოლოგიური უფლებების ადგილი ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში .....	21
1.2. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება .....	31
2. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ეროვნულ ნორმებზე ზემოქმედების მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და ინსტიტუტები .....	39
2.1 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში.....	39
2.1.1. ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღებისპროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება .....	51
2.1.2. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში ახალი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავების პერსპექტივა .....	60
2.2. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საფუძვლები ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით .....	65
2.2.1. ევროგაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით.....	69

2.2.2. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით .....	74
2.2.3. უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით.....	78
2.2.4. უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით...	80
2.2.5. უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით სამართლიან და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით .....	82
2.2.6. ევროგაერთიანების სახალხო დამცველის როლი ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში .....	85
2.3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.....	88
2.4. არასამთავრობო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტებზე	105
3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში .....	112
4. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში .....	125
4.1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში .....	146
4.2. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება .....	152

4.3. ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა .....	160
4.4. ეკოლოგიური უფლებების დაცვა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით..	176
<b>დასკვნა 188</b>	

<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>197</b>
--------------------------------------	------------

## შესავალი

დღეისათვის კაცობრიობა უნიკალური და ამავდროულად დრამატული მოვლენების მოწმეა, რაც გარემოზე მავნე ანტროპოგენული ზემოქმედების შედეგია. ყოველივე ეს განპირობებულია მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ინტენსივობით და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით. საიდუმლო არ არის, რომ გარემოს დეგრადაცია უპირველეს ყოვლისა უარყოფით ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს, რადგან სწორედ ჯანსაღი გარემო, უარგბადით სავსე ატმოსფერო, საკმარისი მზის შუქი და სუფთა წყალი არის ის აუცილებელი ფაქტორი, რაზედაც ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული.

კაცობრიობამ არ უნდა დაივიწყოს ისეთი კატასტროფული მოვლენები, როგორიცაა ბოლნისლი ლონდონში 1952 წელს, როდესაც 4000 ადამიანი დაიღუპა, რომ არაფერი ითქვას ჩერნობილის კატასტროფაზე (უკრაინა). მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს უმთავრეს დამაბინძურებლად და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყველაზე სახიფათო გარემოებად არა ეპიზოდური შემთხვევები, არამედ გარემოში მავნე ნივთიერებათა მუდმივი გაფრქვევა რჩება. გარემოს დაბინძურების ამ კატეგორიას შემდგომი გართულებები მოსდევს, რაც კლიმატის გლობალურ ცვლილებაში, დედამიწაზე სითბური ბალანსის რღვევაში, ოზონის შრის შლასა და სხვა მრავალ უარყოფით ფაქტორში ვლინდება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კაცობრიობამ უნდა გაიაზროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ის რეალური საფრთხე, რაც გარემოს დაბინძურებას სდევს თან და მოახდინოს პრობლემური საკითხების ეტაპობრივი მოგვარება. ამასთან, საერთო საკითხების მიღმა, გლობალურად უნდა განმტკიცდეს ადამიანის ისეთი უფლებების დაცვის მექანიზმები, როგორიცაა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, სათანადო კომპენსაციის და გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის ფლობის უფლებები.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხები ქართულ სამართლებრივ სისტემაში, სამწუხაროდ, არც თუ ისე აქტუალურია, როგორც ევროპის და ამერიკის კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში. არ არსებობს საკითხის საფუძვლიანად შემსწავლელი ეროვნული ლიტერატურა, რომელიც სრულად განმარტავდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მექანიზმებს, ფაქტორებს და ფიზიკური და იურიდიული პირების

გალდებულებებს ამ მიმართულებით. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დარღვევის ფაქტებს საქართველოში ხშირად აქვს ადგილი, რაც გარკვეულწილად საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი ხარისხისა და სახელწიფო სტრუქტურების სისუსტის შედეგია. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ ტერიტორიებზე ცხოვრობს, რომლებიც დაბინძურების აშკარა წყაროებთან ახლოს მდებარეობს (ქარხნები, მშენებლობები და ა.შ.), რომ არაფერი ითქვას საქართველოს მთიანეთისა და ზღვისპირა დასახლებებზე, რომლებიც მუდმივი ეკოლოგიური კატასტროფების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ამასთან, აღნიშნული საკითხი არ ყოფილა განხილული საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემი ინტეგრაციის პროცესის გათვალისწინებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია, გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან („საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“) და საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის დადგენილებადან „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ.“

მსოფლიოში არსებობენ მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში სათანადო ყურადღებას უთმობენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხს, მათ შორის, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები: მ. ანდერსონი, ა. ბოილი, ფ. ბოისი, ი. გლაზევსკი, მ. დეჯანტ-პონსი, ს. დუბლას-სკოტი, დ.ზაელკე ჯ. კამერონი, მ. ლაუ, რ. მაქენზი, ჯ. მერილსი, მ. პალმარტი, კ. რედგველი, ა. ფარბა, კ. ფერნანდესი, რ. ჩერჩილი, დ. ხოსე, ა. ჰარდინგი და სხვა; რუსი მეცნიერები: ვ. ადიხანოვი, ლ. ბობილევა, ს. ბოგოლუბოვა, მ. ბრინჩუკი, ა. გოლიჩენკოვა, ო. დუბოვისი, ო. კოლბასოვი, ო. კრასსოვა, ი. კრასნოვი, გ. კრუგლოვა, ვ. პეტროვა, ა. ტარნავსკოვო, ა. ტიმოშენკო, ი. შემშეჩენკო, ვ. იაკოვლენკა. თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის აქტუალიზაციის ფაქტორები სულ უფრო ხშირად იჩენს თავს, რაც ადამიანის აღნიშნული სამართალდარღვებებისაგან დაცვის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას იწვევს.

წინამდებარე პკლევის მიზანია ეროვნული და საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული ლიტერატურის შესწავლა „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის“ ინსტიტუტის ნიშნების გამოვლენის მიზნით; ეროვნული

კანონმდებლობის განვითარების შესწავლა საერთაშორისო სამართალოს  
მიმართებით, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მქანიზმების  
გათვალისწინებით; მსოფლიო და ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში  
ადამიანის ეკოლოგიური უფლებების ინსტიტუტის ადგილისა და მნიშვნელობის  
შესწავლა-გამოვლენა.

წინამდებარე კვლევის ობიექტია საერთაშორისო და ეროვნული სამართალი,  
იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა გარემოსა და ადმიანის  
ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. ასევე, კვლევის ობიექტია  
ადამიანის ეკოლოგიური უფლებების რეალიზაცია საერთაშორისო სამართალსა  
და ეროვნულ კანონმდებლობაში.

საკითხის შესწავლის აუცილებლობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ  
საქართველოში ჯერ არ მომხდარა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების  
რეალიზაციის სამეცნიერო კვლევა, არც ეროვნულ დონეზე და არც  
საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.  
სიახლეა კვლევის ის ნაწილიც, რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნულ  
სფეროში ეროვნული კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივები  
საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის გათვალისწინებით. ეროვნულ დონეზე  
საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებისათვის საქართველოს  
კანონმდებლობით შექმნილი საკმაოდ მყარი სამართლებრივი ბაზის  
მიუხედავად, მათი გამოყენება სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის  
სასამართლოების მიერ, ჯერჯერობით იშვიათობაა.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში არსებული  
საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული  
სახელმწიფოს, მათ შორის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და  
სასამართლოს ხელისუფლების საქმიანობასა და სურვილზე, რათა ამ  
გამოცდილებამ მოახდინოს გავლენა ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე  
და მისი მეშვეობით განმტკიცდეს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის  
სისტემა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი მიზნად ისახავს ადამიანის ეკოლოგიური  
უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის  
ფორმირებაზე საერთაშორისო სამართლის გავლენის განხილვას, ეს არ  
გამორიცხავს ნაშრომში ზოგადად გარემოს დაცვის სფეროში არსებული

საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზს, რაც განპირობებულია იმით, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხის განხილვა შეუძლებელია მთლიანად ეკოლოგიური სამართლის განვითარების დინამიკის შესწავლის გარეშე.

ამ ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

პირველ თავში მიმოიხილება ზოგადად ეკოლოგიური სამართლის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები, რამაც შემდგომში განაპირობა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებისა და მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. ამ თავში გაანალიზდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საფუძვლების წარმოქმნის მიზეზები მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა და, აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის მიზეზების გათვალისწინებით. ამ თავში მიმოიხილება ეკოლოგიური უფლებების ადგილი ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემაში;

მეორე თავი ეთმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ეკოლოგიური სამართლის, მათ შორის, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. მეორე თავში ხაზგასმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსაკუთრებული როლი ამ მიმართულებით. ამ თავში გაანალიზებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები და ამ სფეროში ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შემუშავების პერსპექტივა;

მესამე თავში ფართოდ მიმოიხილება ევროკავშირის და მისი ინსტიტუტების საქმიანობა და როლი ეკოლოგიური უფლებების განვითარებასა და დამცავი გარანტიების შექმნაში. ამ თავში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ევროკავშირის სახალხო დამცველის საქმიანობას ამ მიმართულებით;

მეოთხე თავი ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სპეციფიკურ დამოკიდებულებას ადამიანის ეკოლოგიური უფლებებისადმი და ამ სფეროში არსებულ სასამართლო პრაქტიკას. მოცემულ თავში გამოვლენილია ის საკვანძო საკითხები, რომლებიც უკავშირდება ევროპული კონვენციის მუხლების გამოყენებას ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით;

**მეხუთე თავში** გაანალიზებულია სხვა ქვეყნების, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სამართალი და პრაქტიკა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში;

**მექვეთ** თავში მიმოიხილება არასამთავრობო სექტორისა და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების საკმაოდ თავისებური და აქტიური საქმიანობა ადამიანის ეკოლოგიური უფლებებისა და ზოგადად გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლების განვითარებაში;

**მეშვიდე თავი** ეძღვნება საქართველოში ეკოლოგიური სამართლისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლის განვითარების მიმოხილვას. ამ თავში მიმოიხილება ის ფაქტორები, რომლებმაც უბიძგა ქართულ სამართლს დღის წესრიგში დაეყენებინა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხები. ამ თავში გაანალიზდება ის მწირი სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც საქართველოში არსებობს ამ მხრივ;

**დასკვნაში** გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება და რეკომენდაცია საქართველოში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლისა და პრაქტიკის შემდგომი სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით. მასში ჩამოყალიბებულია ეროვნული სასამართლო და აღსრულებითი პრაქტიკის გაუმჯობესების ღონისძიებები. დასკვნაში, აგრეთვე, გამოთქმულია მოსაზრებები ადამიანის უფლებათა ეკონომიკური სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სპეციფიკურ და განსხვავებულ მიდგომაზე ეკოლოგიურ უფლებებთან მიმართებით.

# 1. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საჭუპვლები ეკოლოგიური სამართლის განვითარების მიხედვით

სამეცნიერო თვალსაზრით, გარემოს დაცვის ობიექტური სამეცნიერო შეხედულებები ადამიანის გარემოს განუყოფელ ნაწილად აღიარების შემდეგ ჩამოყალიბდა, რადგან ფუჭია ადამიანის ყოველგვარი სოციალური პეთილდღეობა, თუ მას ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საშუალება არა აქვს. თანამედროვე კაცობრიობის მიერ ზემოაღნიშნული ფაქტის აღიარება წინგადადგმული ნაბიჯია გარემოს დაცვის შემდგომი მოქმედებების განსახორციელებლად, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას სინქრონულად სდევს თან. ბ. გრიჟეკი თვლის, რომ „პოლიტიკასა და სოფლის მეურნეობაში მოდგაწე ადამიანებისათვის საქმის ამგარი მოტრიალება არის მათ აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში მომხდარი ნამდვილი რევოლუცია“.<sup>1</sup>

გარემოს დაცვის სისტემის განვითარების ისტორიის ანალიზისას ნათელი ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა, ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განხილვისას, პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს ადამიანის უფლება მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია თავის საცხოვრებელ და საარსებო გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ასევე უფლება გარემოს დაბინძურების შემთხვევაში კომპენსაციის მიღების შესახებ. კაცობრიობის ეკონომიკურმა განვითარებამ, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ გააძლიერა ანტროპოგენული ზემოქმედება გარემოზე, რომლის განუყოფელი ნაწილი ადამიანია. უმრავლეს შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედება ნეგატიურ ხასიათს ატარებს, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ კანონმდებლობის დონეზე და პრაქტიკიდან გამომდინარე, მოხდეს ადამიანის გარემოზე ზემოქმედების რეგლამენტირება, არსებული ეკოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე და პირიქით.

გარემოს დაცვა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენება თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია ყველა სახელმწიფოს კოლექტიური ძალისხმევით, საერთო

<sup>1</sup> Б. Грижмек, Экологические Очерки о Природе и Человеке, 1988, 424.

საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მოგვარებაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული უნივერსალური პრინციპები და ნორმები, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და სხვა უნივერსალურ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. მათს რიცხვს მიეცუთვნება სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა, სახელმწიფოთა თანასწორობა, ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება და ყველა ის დანარჩენი პრინციპი, რომლებიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.

ისტორიული თვალსაზრისით საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სპორადულ ხასიათს ატარებდა, ცალკეული ბუნებრივი ობიექტების დაცვას ეხებოდა და მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობას ეფუძნებოდა. ერთ-ერთი პირველი ორმხრივი ხელშეკრულება იყო 1839 წლის 2 აგვისტოს მიღებული კონვენცია „დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ნაპირებთან ხამანჭკების ჭერის შესახებ.“ ხოლო, ერთ-ერთ პირველი მრავალმხრივი შეთანხმება იყო 1868 წელს გაფორმებული კონვენცია „რაინზე ნაოსნობის შესახებ“. კონვენცია მდინარის წყლების დაბინძურებისგან დაცვის მოთხოვნასაც ადგენდა. მნიშვნელოვანია, ასევე, 1897 წლის 6 ნოემბრის შეთანხმება რუსეთს, აშშ-სა და იაპონიას შორის „ზღვის კატების დაცვის შესახებ“. გარემოს დაცვის სფეროში პირველ მრავალმხრივ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს „ბუნების საერთაშორისო დაცვის კონფერენცია“, რომელიც ჩატარდა ბერნში (შვეიცარია) 1913 წლის 17-19 ნოემბერს. კონფერენციაზე მიღებული იქნა „შეთანხმება ბუნების საერთაშორისო დაცვის საკონსულტაციო კომისიის“ შექმნის შესახებ.

ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ხარისხის შესწავლა, რაც ხშირ შემთხვევაში ეკოლოგიური ჯაჭვის რდვევაში გამოიხატება, ნათელს ხდის, თუ როგორ იზრდებოდა და იზრდება ანტოპოგენული ზემოქმედება გარემოზე მსოფლიო მოსახლეობისა და მათ

მიერ ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდასთან ერთად. ამდენად, უნდა დადგინდეს სამეურნეო საქმიანობის ის ლიმიტი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას ისე, რომ „მდგრადობა“ და „განვითარება“ ერთ საფეხურზე დადგნენ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საკმაოდ რთულია წარმოიდგინო და აღიქვა საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის შექმნისა და განვითარების პროცესი გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით. ერთი და იმავე გარემოსდაცვის საკითხისადმი შესაძლებელია სრულიად განსხვავებული მიდგომა ჰქონდეს ინდუსტრიულად განვითარებულ „დასავლეთსა“ და განვითარებად „სამხრეთს“. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში იგულისხმება: ა.შ.შ. კანადა, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია.<sup>2</sup>

ერთი მხრივ, „დასავლეთის“ ინდუსტრიული პროგრესი მის ეკონომიკურ წინსვლაში აისახა, ხოლო მეორე მხრივ, ეს პროგრესი სწორედ ბუნებრივი რესურსების მზარდი მოხმარების შედეგია. „სამხრეთისაგან“ განსხვავებით, „დასავლეთი“ კარგად ჩამოყალიბებულ, ეფექტიან და წარმატებულ გარემოსდაცვით პოლიტიკას ფლობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება ბუნებრივი რესურსების უმთავრეს მომხმარებლად და გარემოს უმთავრეს დამაბინძურებლად. „სამხრეთი“ კი ეკონომიკურად სუსტია, მოსახლეობა ხშირად სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, მაგრამ, იმავდროულად, არსად მსოფლიოში ისე, როგორც „სამხრეთში“, არ არის შემონახული ბუნებრივი რესურსები პირვანდელი სახით.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების გზით „დასავლეთი“ ცდილობს „სამხრეთოან“ შეთანხმებით ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფას და გლობალური გარემოს შენარჩუნებას, მაშინ როცა, ხშირ შემთხვევაში, „სამხრეთი“, ეკონომიკური გაჭირვებიდან გამომდინარე ცდილობს ეკოლოგიური პრობლემების უკანა პლანზე გადადებას. სწორედ ამ პრობლემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკის მიზანია დაახლოოს და

<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს სახელმწიფო დასავლეთით არ მდებარეობს, „დასავლეთი“ მათ აღმნიშვნელ პირობით სახელად არის გამოყენებული, ისევე, როგორც „სამხრეთი“.

შესაბამისობაში მოიყვანოს „დასაფლეთსა“ და „სამხრეთს“ შორის არსებული ერთგვარი უთანხმოებანი.<sup>3</sup>

ეკოლოგიური უსაფრთხოება ყოვლისმომცველი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის სულ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება. იმ მომენტიდან, როდესაც სახელმწიფოებმა ეკოლოგიური პრობლემების გარშემო თანამშრომლობას ჩაუყარეს საფუძველი, მათ უსაფრთხოების საკითხებზეც დაიწყეს ფიქრი. სწორედ, ამ საკითხებს ეხებოდა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პირველი შეთანხმებები. მაგალითად, საომარი მოქმედებისას არა მარტო ნაგებობები, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოს ობიექტებიც ნადგურდება. მაგალითად, 1868 წელს მიღებული „პეტერბურგის დეკლარაცია“ კრძალვდა არასამხედრო ობიექტების მიმართ საომარი ოპერაციების წარმოებას. 1907 წლის პაგის კონვენციაში „სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ“ დადგენილია, რომ სახელმწიფო, რომელიც დაიკავებს რომელიმე ტერიტორიას, ვალდებულია შეინარჩუნოს საზოგადოებრივი ნაგებობების, უძრავი ქონების, ტყეების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ფასეულობა და მართოს ისინი ექსპლუატაციის დადგენილი ნორმების შესაბამისად (კონვენციის მუ-6 მუხლი). 1949 წლის „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ უკევის კონვენციის პირველ დამატებით ოქმში დადგენილია, რომ საომარი მოქმედებების წარმოებისას აუცილებელია ბუნებრივი გარემოს ფართო, ხანგრძლივი და სერიოზული ზიანისაგან დაცვა. საინტერესოა სხვა ხელშეკრულებებიც, მათ შორის, კონვენცია „გარემოზე ზემოქმედების საშუალებების სამხედრო ან ნებისმიერი სხვა სახის მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (1977); ხელშეკრულება „ანტარქტიკის შესახებ“ (1959) და ხელშეკრულება „კოსმოსური სივრცის, მათ შორის, მთვარის და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების პრინციპების შესახებ.“ ზემოხსენებული ხელშეკრულებების მთავარი ამოცანა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ეკოლოგიური უსაფრთხოება ეკოლოგიის განვითარების ახალი კონცეფციის მთავარი საყრდენია, იგი გარემოს დაცვისადმი არსებული ტრადიციული მიდგომების შეცვლას გულისხმობს. ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეს არის გარემოს მავნე ზემოქმედებისგან დაცვის სამართლებრივი

<sup>3</sup> М. Бринчук, Экологическое Право, Учебник, 1998, 635.

საორგანიზაციო და მატერიალური სახელმწიფო გარანტიების კომპლექსი, როდესაც ზემოქმედების წყარო ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ მდებარეობს.<sup>4</sup>

ყოველივე ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა ევალებათ როგორც ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს, ასევე მთელ კაცობრიობას და ამ პრობლემის საერთო პლანეტარულ მასშტაბში გადაწყვეტა ბუნების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვისა და ადამიანის ჯანსაღ პირობებში ცხოვრების უფლების განხორციელების საწინდარია.

ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების „უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი თავის სიტყვაში „დედამიწა სასწორზე“ გამოხატავს ისეთი პროგრამის შემუშავების სურვილს, რომელიც „მინიმუმამდე დაიყვანს და ნელ-ნელა ამოიდებს ხმარებიდან ძველ, მიუღებელ ტექნოლოგიებს და ამავე დროს, უზრუნველყოფს ეკოლოგიურად მისაღები და რთული შემცვლელების ახალი თაობის ტექნოლოგიების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვას.“ ამასთან დაკავშირებით, იგი სტრატეგიული ეკოლოგიური ინიციატივის შექმნის წინადადებით გამოვიდა.<sup>5</sup>

მსოფლიოში ფუნქციონირებს ორი სამართლებრივი რეჟიმი, ეროვნული და საერთაშორისო, რომლებიც არეგულირებს სამართალურო იერობებს გარემოს დაცვისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. ამგვარი მიდგომის არსებობისას და იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი აღიარებს საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალას ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით (ქართულ საკანონმდებლო იერარქიაში, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ, პირველი ადგილი უკავიათ<sup>6</sup>) ადგილი მისახვდრია, თუ რა როლს თამაშობს საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი ეროვნული კანონმდებლობის ტრანსფორმაციისა და განვითარების პროცესში. სწორედ ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას ითვალისწინებს 1969 წლის ვენის კონვენცია საერთაშორისო

<sup>4</sup> M.Dejeant-Pons, M.Pallmaerts, Human Rights and the Environment, 1999, 45.

<sup>5</sup> Эл Гор, Земля на Чаше Весов, Экология и Человеческий Дух, 1993, 35.

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხლი.

ხელშეკრულებების შესახებ<sup>7</sup>. კონვენცია ადგენს, რომ მხარე სახელმწიფო უფლებამოსილი არ არის ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უარი განაცხადოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე. თუმცა, საკითხის ამგვარი განმარტება არ იძლევა იმის საბაბს, რომ საერთაშორისო ეკოლოგიური პრობლებების გადაჭრის გზები და საშუალებები მხოლოდ საერთაშორისო სამართალში ვეძიოთ, რადგან სწორედ ეროვნულ დონეზე დაგროვილი გამოცდილება არის ის ფაქტორი, რომელიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარებას. ეროვნული საკანონმდებლო ბაზა რჩება ამ სფეროს განვითარების უმნიშვნელოვანეს და საკმაოდ დინამიკურ ასპექტად. ძლიერმა ეროვნულმა საკანონმდებლო სისტემამ შესაძლოა გაცილებით უფრო დახვეწილი, უსაფრთხო და ეფექტური პირობები შექმნას ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვისათვის, ვიდრე საერთაშორისო სამართლებრივმა ინსტრუმენტებმა, რომლებიც გათვლილია მილიონობით, მილიარდობით ადამიანზე და ათასობით ზოგად, გლობალურ გარემოებაზე. ამ შემთხვევაში, განსხვავება საერთაშორისო სამართალსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის მდგომარეობს შემდეგში: მაშინ, როცა საერთაშორისო სამართალი უფრო სულისკვეთებას და სურვილებს წააგავს, ეროვნული კანონმდებლობა მორგებულია უფრო რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებას და ხშირად სიტყვა-სიტყვით პასუხობს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც ირღვევა ადამიანის უფლებები. ეს ეგრეთ წოდებული სხვაობა, რეალურად, არ ქმნის ბარიერს სამართლის ამ ორ მიმართულებას შორის, ისინი მხოლოდ აბალანსებენ და, ხშირ შემთხვევაში, ავსებენ ერთმანეთს. ამდენად, იმის არგუმენტირება, რომ ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის გარეშე შეძლებს მსოფლიოში სამართლებრივი პარმონის უზრუნველყოფას, უტოპია იქნებოდა. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თითქმის 60-ზე მეტი სახელმწიფო თავიანთ კონსტიტუციებში გარემოსა და, მათ შორის, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ სფეროს აქტუალობას.

ნათელია, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ერთადერთი გზა მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა. ხშირ შემთხვევაში, უნიკალური ეკოსისტემები პირვანდელი სახით მხოლოდ განვითარებად ქვეყნებშია

<sup>7</sup> საქართველოში ძალაშია 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილება №730.

შემონახული და განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი სახსრებით შეუძლიათ დააფინანსონ ამ ეკოსისტემების შენარჩუნების აღმინისტრაციული ღონისძიებები და უზრუნველყონ ადგილობრივი ბიუჯეტები კომპენსაციით, რომელიც აღნიშნული ეკოსისტემების ექსპლუატაციაზე უარის თქმით იქნება გამოწვეული<sup>8</sup>.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივნის ანგარიში „განვითარება და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა“, რომელიც მან გაეროს 48-ე სესიაზე წარადგინა. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა ყოველთვის მჭიდრო კავშირშია მისი ეკონომიკური განვითარების დონესთან. მისი თქმით: „განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შესაძლოა ხანგრძლივი განვითარების პროცესი შეაფერხონ.“<sup>9</sup>

ხშირად განვითარებული ქვეყნები, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკოლოგიური საკითხების გადაჭრის გზების წინააღმდეგ გამოდიან. მაგალითად, მსოფლიო ბანკის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბანკის ფინანსურ დახმარებაზე უარი უთქვამთ განვითარებად ქვეყნებს, რადგანაც მსოფლიო ბანკი ამ დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლეოდა, თუ ამ თანხით, ეკონომიკურთან ერთად, ეკოლოგიური პროგრამებიც დააფინანსდებოდა. პრინციპში, განვითარებადი ქვეყნების ამგვარ მიდგომას გარკვეული გამართლება მაინც აქვს, თუ მორალურ მსარეს არ გავითვალისწინებთ. ამ შემთხვევაში ძნელია არ დავეთანხმოთ მეცნიერ ვ. ტროფიმოვს, რომელიც აღნიშნავს: „აუცილებელია შეგეგუოთ იმ გარემოებას, რომ ეკონომიკურ განვითარებას ეკოლოგიური ზარალი სდევს თან, მით უმეტეს, თუ, ამ შემთხვევაში სხვა სფეროებს წარმატება მოაქვთ .. .. და თუ შედეგები კატასტროფული არ არის.“<sup>10</sup>

თუმცა, როდესაც საუბარია ეკოლოგიურ ზარალზე, იქვე ჩნდება კითხვა, რა არის ამ ზარალის საწყისი და ბოლო ზღვარი? რა მომენტიდან დგება რეალური ეკოლოგიური საფრთხე?

შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთია და იგი ბუნებრივი რესურსების რაციონალური სარგებლობასა და

<sup>8</sup> М. Сулея, Б. Уилкоса, Биология Охраны Природы, 1983, 385.

<sup>9</sup> Ген. Сек. ООН Б.Б. Гали, გაეროს 48-ე სესიის ანგარიშიდან, Гос. и Право, 1995, 52-54.

<sup>10</sup> В. Трофимов, Военная и Экологическая Безопасность, 1991, 78.

მდგრად გამოყენებას ეფუძნება. ეველა შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა ეკოლოგიური და ეკონომიკური სფეროების ინტეგრაციაა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკონომიკა განვითარდეს გარემოს მართვისადმი უფრო რაციონალური მიდგომით და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციით. ზემოაღნიშნულმა იდეამ მსოფლიოში აღიარება პოვა და კონცეფციის დონეზე განხილულიც იქნა სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე. მაგალითად, უგანდაში 1989 წელს გარემოს განვითარების აფრიკულ კონფერენციაზე დელეგატების მიერ მიღებულ იქნა პროგრამა სახელწოდებით: „მოქმედებათა გეგმა: აფრიკის მდგრადი განვითარების გზაზე“, რომლის საფუძველზე საერთაშორისო განვითარების ბანკებისათვის შემუშავებულ იქნა ხუთწლიანი სამართლებრივი რეფორმების გეგმა<sup>11</sup>. ეს პროგრამა ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის გაძლიერების თვალსაზრისით გამყარებულ იქნა გარემოსა და განვითარების რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის კონფერენციაზე, სადაც მიღებულ იქნა „21 საუკუნის დღის წესრიგი.“ მასში გვითხულობთ „ეკონომიკისა და გარემოს დაცვის საკითხების განვითარება უნდა მოხდეს შეთანხმებულად.“

ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრაციის იდეამ აქტიური გამოხმაურება პოვა სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებშიც. მაგალითად, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ მომზადებულ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სტრატეგიაში გვითხულობთ: „გარემოს დაცვა საქმიანობის დამოუკიდებელი ერთეული არ არის, ის უნდა განიხილებოდეს კომპლექსში ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობებთან მიმართებით“.<sup>12</sup>

გარემოს დაცვა და შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში საქმაოდ რთული ამოცანაა და მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის განსხვავებულ დაგეგმვას, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ კულტურულ, მორალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან, რომლებთანაც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობაა დაპატირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად უნდა იქცნენ.

<sup>11</sup> Towards Sustainable Development in Africa: Agenda for Action, Environmental Policy and Law, 19/6. 1989.

<sup>12</sup> Regional Strategy for Environmental Protection and Rational Use of Natural Resources in ECE, 1988, 46.

ინტეგრაციის ამგვარ, კომპლექსურ, მიდგომას მხარი დაუჭირეს გერმანიის მრეწველთა ასოციაციის წევრებმა, მათ განაცხადეს: „სამომავლო ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა ინტეგრირდეს ეროვნულ პოლიტიკაში. პოლიტიკის განსხვავებული და, ზოგ შემთხვევაში, კონკურენტული მიმართულებები უნდა იქნეს ოპტიმიზირებული, რომელიმე მათგანის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. ეს თანაბრად ეხება გარემოს დაცვას, ენერგეტიკას, ტრანსპორტს და სოფლის მეურნეობას. მათი მიზნები და ამოცანები უნდა იქნეს დაბალანსებული და შემდგომ უნდა აისახოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებაში.“<sup>13, 14</sup>

გარემოსადმი ამგვარმა მიდგომამ ძალაუნებურად გამოიწვია ფასეულობების გადახედვის აუცილებლობა. გარემო უკვე განიხილება არა მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების მატერიალური ბაზა, არამედ, როგორც ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობა. პრაქტიკულად, ნათელია, რომ გარემოს დეგრადაცია ეკონომიკური და სოციალური კრიზისის საფუძველია, იგი აფერხებს საზოგადოებრივი განვითარების ტემპებს, ძალუბს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. არსებული სიტუაციის გამოსწორების პირველ ნაბიჯს კი, თვით ადამიანის მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიის შეცვლაა, რაც მისი შემდგომი, ეკოლოგიურად პოზიტიური საქმიანობის საფუძველია. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა ეკონომიკის რეფორმირება, ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების ინტეგრაცია, ამასთან ეკოლოგიისათვის უპირატესობის მინიჭება. გარემოსა და ადამიანის ურთიერთზემოქმედების ანალიზს შეიცავს ე. ფეოდოროვის შრომა<sup>15</sup>, ხოლო ეკოლოგიური სამართლის განვითარების თვალსაზრისით გარემოს ერთიანობის საკითხზე კვლევა ჩატარებული აქვს ო. კოლბასოვს.<sup>16</sup>

ეკოლოგიისა და ეკონომიკის ინტეგრაციის თეორია ფართოდაა განხილული გარემოსა და განვითარების საერთაშორისო, ეგრეტ წოდებული ბრუტლანდის კომისიის ანგარიშში: „ჩვენი საერთო მომავალი.“ შემდგომში აღნიშნულმა თეორიამ შეიძინა მდგრადი განვითარების კონცეფციის სახელწოდება<sup>17</sup>.

<sup>13</sup> Environmental Policy and Industry. Association of German Industry Report 1988-1990, Environmental Policy and Law, 1991, 104.

<sup>14</sup> J. Forrester, World Dynamics, 1971, 122; ასევე: D. Meadows and others, The Limits to Growth, 1971, 45.

<sup>15</sup> Е. Федоров, Экологический Кризис и Социальный Прогресс, 1977, 56.

<sup>16</sup> О. Колбасов, Экология: Политика - Право, 1976, 76.

<sup>17</sup> Пер. с англ. Л.Н. Кудряшева, Наше Общее Будущее, 1987, 19.

ანგარიშში კონსტატირებულია, რომ თანამედროვე საზოგადოება განვითარების პრობლემებს წააწყდა, რის მიზეზადაც გარემოს მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შეფერხებაა დასახელებული. ავტორთა აზრით, გარემოს დეგრადაცია გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების არასწორი ორიენტირებით. კაცობრიობის მოთხოვნილებების დასაქმაოფილებლად წარმოება ყველაზე მარტივ გზას ირჩევდა: რაც უფრო მეტია მოთხოვნილება, მით უფრო მეტია ბუნებრივი რესურსების მოხმარება. იმდენად, რამდენადაც ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას ეყრდნობა, განვითარების ამგვარი გზა, ავტორთა აზრით, უპერსპექტივოა, რადგან ეს ბუნებრივი რესურსები ისედაც საკმაოდ გამოფიტულია და მათი პირვანდელი სახით შენარჩუნება უკვე გამორიცხულია, რომ აღარაფერი ითქვას მათ შესაძლო განადგურებაზე. „მომავალ თაობებს ჩვენ დავესესხეთ „ეკოლოგიურ კაპიტალს,“ თუმცა, სამწუხაროდ, ვალის დაბრუნება უკვე აღარ ძალგვიძნება“.<sup>18</sup>

ანგარიშის ავტორები, მდგრადი განვითარების მიზნით, აქცენტს აკეთებენ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მასშტაბების შემცირებაზე, სოფლის მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნილების ერთგვარი რეგულირების გზით. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტერესების აუცილებლობასთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა, ხაზი გაესვას ეკონომისტ გერმან დეილის შეხედულებას, რომელიც გვთავაზობს ეკონომიკის განვითარების ახალ გზას, სასაქონლო პროდუქციისა და ენერგიის მოხმარების ზრდის გარეშე. სხვა სიტყვებით, იგი პროდუქციის ციკლური მეთოდით გამოყენებას გვთავაზობს, რასაც რეციკლირება, ანუ პროდუქციის მუდმივი გადამუშავება სდევს თან<sup>19</sup>. ამასთან დაკავშირებით, ნამდვილად აღიარებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნების წარმატებული პოლიტიკა, რომლებმაც გ. დეილის იდეები განახორციელეს და ნაწილობრივ გადაჭრეს გარემოს შენარჩუნების პრობლემა. თუმცა, ამ პრინციპის რეალიზაცია საკმაოდ მტკიცნეულია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამ ეტაპზე, მათ უმთავრესი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება იმდენად აქტუალური არ არის, რომ არაფერი ითქვას პროდუქციის

<sup>18</sup> Пер. с англ. Л.Н. Кудряшева, Наше Общее Будущее, 1987, 20.

გადამუშავებასთან დაკავშირებულ დიდ ფინანსურ დანახარჯებზე. უფრო მეტიც, ხშირად განვითარებადი ქვეყნები ფინანსური დაინტერესების გამო უარს არ ამბობენ საკუთარ ტერიტორიაზე მავნე ნარჩენების განთავსებაზე, რაც რეალურ საფრთხეს ქმნის ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.<sup>20</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ თანამედროვე ფილოსოფიური, ეთიკური და ეკონომიკური მოსაზრებები ბუნებაში ადამიანის მდგომარეობისა და ადგილის შესახებ საფუძველს უდებს შეხედულებების გადაფასებას. კერძოდ, ჯანსაღი გარემო ეს არ არის ადამიანის მატერიალური და ეთიკური ფუფუნების საგანი, არამედ იგი მისი არსებობის აუცილებელი და შეუცვლელი კომპონენტია.

დღესდღეობით თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში ეკოლოგიური უფლებების დაცვის ცნებამ უკვე სათანადო ადგილი დაიკავა. მისი ფორმირება საზოგადოებრივი ურთიერთობების გადაფასების საფუძველზე მიმდინარეობს, რომლებიც თავის დროზე მხოლოს ბუნების დაცვისკენ იყო მიმართული.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება იგივეა, რაც გარემოს დაცვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი მიმართულია უკვე სახეცვლილი ბუნების დაცვისაკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

<sup>19</sup> Под ред. М. Сулея, Б. Уилкиса, Биология Охраны Природы, 1983, 78.

<sup>20</sup> М. Битадзе, Права Человека, Здоровье и Защита Окружающей Среды, Жур. Международное Право и Проблемы Интеграции, Баку, 2005, 57.

## 1.1. სამართლებრივი უფლებების აღზიდი ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში

სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს წარმოშობის დროის მიხედვით განსხვავებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ტრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც ადამიანის უფლებების სამ თაობას განსაზღვრავს. პირველად, იდეა ადამიანის უფლებების სამი თაობის შესახებ ფრანგმა მეცნიერმა პ. ვასაკმა გამოთქვა. პირველ თაობად მიიჩნევა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომლებსაც დასაბამი ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დაუდეს. მეორე თაობად მიიჩნევა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რომლებსაც საფუძვლად სოციალისტური ტიპის სწავლები უდევს. უფლებათა მესამე თაობა, ეგრეთ წოდებული კოლექტიური უფლებები, განვითარებადი სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს ეხებიან. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტ აღიარებას პოვებს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ეგრეთ წოდებული კოლექტიური ანუ სოლიდარული უფლებები ხალხებს და ერებს გაუთვინით და ისინი მათს უფლებებს უნდა განეკუთვნებოდნენ<sup>21</sup>.

ადამიანის უფლებების სამ თაობად დაყოფას ყველა არ ეთანხმება. ზოგიერთი მეცნიერი უფლებების მესამე თაობის წინააღმდეგ გამოდის, აცხადებს, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ ინდივიდს შეიძლება გააჩნდეს და არავითარ შემთხვევაში ერს ან კოლექტივს. „რაც შეეხება მესამე თაობის უფლებებს“, წერს პ. ტომუშატი, „ინდივიდუალური ელემენტი აქ საერთოდ გამორიცხულია“<sup>22</sup>. მეცნიერთა უმეტესობა, სრულიად სამართლიანად, ხალხების უფლებებს ადამიანის უფლებებს მიაკუთვნებს. მაგალითად, ამერიკელი პროფესორი ლ. სონი წერს: „საერთაშორისო სამართალი აღიარებს არა მარტო ინდივიდების განუყოფელ უფლებებს, არამედ გარკვეულ კოლექტიურ უფლებებსაც, რომელთა რეალიზაციაც ადამიანების დიდ ჯგუფებში გაერთიანებული ინდივიდების (მათ შორის, ერების და ხალხების) მიერ ერთობლივად ხორციელდება. ეს უფლებები ადამიანის უფლებებს განეკუთვნება. კოლექტიური უფლებების ეფექტიანი განხორციელება, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური, სხვა უფლებების განხორციელების

<sup>21</sup> K. A. Vacak 30-year struggle/UNESCO Courier. 1977, 19.

<sup>22</sup> C. Tomuschat, Human Rights in a Worldwide Framework: Some Current Issues, 1985, 570-571.

წინაპირობაა.<sup>23</sup> ამ უფლებებიდან მრვალი ავტორი ერის თვითგამორკვევის უფლებას და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას გამოყოფს.

რ. მიულერსონს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა მესამე თაობას შეიძლება ადამიანის და ხალხების უფლებები ეწოდოს, „მშვიდობის პირობებში, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა საშუალებოან ერთად არის ყველა ადამიანის და ერის, უფრო მეტიც, მთლიანად კაცობრიობის უფლება.“<sup>24</sup> ჩამოთვლილ უფლებებს, პ. ვასაკიც მესამე თაობას მიაკუთვნებს<sup>25</sup>. უდავოა, რომ აღნიშნული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა კონკრეტულ ადამიანს ეკუთვნის. თუმცა, ამ უფლებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კოლექტიურია და მათი განხორციელება შეუძლიათ არა ცალკეულ ინდივიდებს, არამედ კოლექტივებს, გაერთიანებებს, ასოციაციებს. ამ თვალსაზრისით, ეკოლოგიური უფლება ინდივიდის საკუთრებაა, ხოლო ხალხების უფლება განვითარებაზე ან თვითგამორკვევაზე კოლექტიურია და მათი განხორციელება ძალუბო არა ცალკეულ პირებს, არამედ პირთა გაერთიანებებს. რა თქმა უნდა, ცალკეული ინდივიდები ასეთი უფლებების განხორციელებაში მონაწილეობენ, მაგრამ ეს მონაწილეობა დამოკიდებულია მათს გუნდურ დამოკიდებულებაზე და არა ინდივიდუალურ სტატუსზე.

ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებებს შორის ურთიერთკავშირი არსებობს. ამ ურთიერთკავშირს საფუძვლად უნდა ედოს პრინციპი, რომლის თანახმადაც, კოლექტიური უფლებების განხორციელება არ უნდა ზღუდავდეს ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს პრინციპი, განსაკუთრებით მკაფიოდ კლინდება კოლექტიური და ინდივიდუალური უფლებების ანალიზისას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ შეოფლიოში.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განვითარების გზაზე გამოიკვეთა რამდენიმე მიღეომა, რომლებიც ეკოლოგიური უფლებების განმარტების მეთოდებსა და მათი უფლებების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხებს შეეხება. არსებობს სამეცნიერო მოსაზრებები, რომ ეკოლოგიური უფლებები განიმარტოს, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ან

<sup>23</sup> R. Kiwanuka, The Meaning of People in the Africa Charter on Human and People's Rights/ Amer J. International Law. 1988, 85.

<sup>24</sup> Р. Мюллერсон , Права Человека: Идеи, Нормы, Реальность, 1991, 30.

<sup>25</sup> K. A.Vasak, 30-year struggle/UNESCO Courier, 1977, 30.

როგორც ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებები.<sup>26</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები თავისი შინაარსით ეკოლოგიური პოლიტიკასაც არეგულირებენ. ისეთი უფლებების განხორციელება, როგორიცაა, საზოგადოებრივი გაერთიანების, აზრის გამოხატვის, პირადი თავისუფლების, თანასწორობის, ზარალის სამართლიანი ანაზღაურების უფლებები, პირდაპირ ხელს აძლევენ დაინტერესებულ პირებს თუ პირთა ჯგუფებს მიიღონ შესაბამისი ზომები გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ხშირად ხდება გარემოსდამცელების დევნა და მათთვის აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის საჯაროობის უფლებების შეზღუდვა. ისეთი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლისა და საკუთრების, სამართლიანი მართლმსაჯულების და ინფორმაციის თავისუფლების უფლება, ასევე მნიშვნელოვნად არეგულირებს ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხს, რადგანაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ იმ სოციალურ სპექტრს, რომელშიც შესაძლებელია აღმოცენდეს ესა თუ ის ეკოლოგიური საკითხი.

მაშინ, როცა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები პირდაპირ უზრუნველყოფენ ადამიანის მონაწილეობას გარემოს დაცვის პროცესებში, მეორე თაობის უფლებები, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ფაქტობრივად აუცილებელს ხდიან გარემოს დაცვას უშუალოდ ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება შეიცავს ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ისეთი უფლებების დაცვას, როგორიცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ჯანსაღი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს უფლება. ამასთან, ყველა ზემოჩამოთვლილი უფლება უშუალოდ უკავშირდება გარემოს დაცვას, რაც ადამიანის კეთილდღეობისათვის უსაფრთხო პირობების შენარჩუნებაში უნდა აისახოს.

შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ ეკოლოგიური უფლებების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებად ფორმულირება უფრო გაადგილებს მათ რეალიზაციას იმ მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც საზოგადობრივი ურთიერთობების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში წარმოიქმნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური უფლებები თავისი შინაარსით სამოქალაქო და

<sup>26</sup> T. Mariana Acevedo, The Intersection of Human Rights and Environmental Protection in the European

პოლიტიკური უფლებების ჯგუფსაც შეესაბამებიან და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკისათვის ეკოლოგიური უფლებების ამგვარი განმარტებაც შესაძლებელია<sup>27</sup>.

წარმოდგენილი ანალიზის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის ერთიან საერთაშორისო პოლიტიკაში შესაძლებელია გაიმიჯნოს სამი ძირითადი მიღება: ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით არსებული უფლებების მობილიზაცია; არსებული უფლების გადასინჯვა მათში ეკოლოგიური უფლებების ცალკე გამიჯვნის მიზნით; ახალი საერთაშორისო დოკუმენტის შექმნა ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია გაანალიზებულ იქნეს თითოეული მიღება.

არსებული უფლებების მობილიზაციის განხილვისას შეიძლება ითქვას, რომ არსებული უფლებები იმდენად გამჭვირვალე და ნათელია, რომ მათში ახალი ეკოლოგიური უფლებების გამიჯვნა, თითქოს, ზედმეტიცაა. მაგრამ, ამ არგუმენტის სიმყარე დამოკიდებულია თვით არსებული უფლებების გამოყენების სპექტრზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, როგორც აღინიშნა, მოიაზრებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, შემდეგ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. და, რა თქმა უნდა, ამ უფლებებს შორის მოიაზრება თვითგამორკვევის უფლებაც. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები თავისი შინაარსით ეკოლოგიური პოლიტიკასაც რომ არეგულირებენ, ეს არაერთგზის იქნა აღნიშნული, რადგან ისეთი უფლებების განხორციელება, როგორებიცაა, საზოგადოებრივი გაერთიანების, აზრის გამოხატვის, პოლიტიკაში მონაწილეობის, პირადი თავისუფლების, თანასწორობის, ზარალის სამართლიანი ანაზღაურების უფლებები უშუალო კავშირშია ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან. ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, პირდაპირ უზრუნველყოფენ ადამიანის მონაწილეობას გარემოს დაცვის პროცესში. რაც შეეხება თვითგამორკვევის უფლებას, უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამორკვევის უფლება თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების პირველივე მუხლში არის ჩამოყალიბებული და მისი გამოყენება გარემოს დაცვასთან მიმართებით ორი მიმართულებით არის შესაძლებელი. ერთი მხრივ,

---

Court of Human Rights, 2001, 26.

<sup>27</sup> T. Mariana Acevedo, The Intersection of Human Rights and Environmental Protection in the European Court of Human Rights, 2001, 28.

მსოფლიო კოლონიალიზმის ნგრევის შედეგად დაირღვა დოგმაც, რომ ბუნებრივი რესურსები მხოლოდ იმპერიალიზმის საკუთრება იყო. მცირე და დიდმა ახლადგამორკვეულმა ერებმა აღმოაჩინეს, რომ მათი სამშობლო, ისევე როგორც იქ არსებული ბუნებრივი რესურსები, მხოლოდ მათი საკუთრებაა და მათ სრული უფლება აქვთ მათი სახელმწიფოებრივად განკარგვისათვის. ამგვარად, კოლონიალიზმის შემდგომ პერიოდში დადგა განთავისუფლებული ერების მიერ ბუნებრივი რესურსების დამოუკიდებლად მართვის საკითხიც, რასაც ადეკვატურად მოჰყვა უცხოური ინგესტიციები, რომელთა სარგებლიანობა უკვე განხილვის სულ სხვა თემაა.

მეორე მხრივ, სახელმწიფოებს შიგნით არსებულ ეთნიკურ ჯგუფებს სახელმწიფოებმა შესაძლოა მიანიჭონ გარკვეული უპირატესი ეკონომიკური და სოციალური უფლებები.<sup>28</sup> სწორედ, ამგვარ მიზნებს ემსახურება ადგილობრივი ხალხების აღიარებული უფლებები, რომლებიც 1989 წლის ხელშეკრულებით არის გამყარებული.<sup>29</sup> ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს და ითანამშრომლონ მათთან ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას, მათ შორის მათი ეკოლოგიური უფლებების დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლების განხორციელების სფეროებში.

რაც შეეხება მეორე მიდგომას, იგი შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ უფლებათა გადასინჯვას მათში ეკოლოგიური უფლებების ცალკე გამიჯვნის მიზნით. არსებული საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ბუნდოვანია ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა დაცვასთან მიმართებით და ერთგვარად ირიბი, ნაგულისხმევი სახით აწესრიგებს მას. მეცნიერთა ერთი ნაწილი აუცილებლად მიიჩნევს სრულიად ახალი კანონმდებლობის ჩამოყალიბებას ადამიანთა ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში, რომლებიც თავისთავად შესაძლებებია ორ: პროცესუალურ და მატერიალურ უფლებებად გაიმიჯნონ.<sup>30</sup>

პროცესუალურმა უფლებებმა უნდა დაარეგულირონ ადამიანის ეკოლოგიური უფლებები როგორც საერთაშორისო სამართლის, ისევე ეროვნული კანონმდებლობის დონეზე. ამ კატეგორიაში უნდა შევიდეს ისეთი უფლებები,

<sup>28</sup>R. Pathak, The Human Rights System as a Conceptual Framework for Environmental Law, 1991, 233.

<sup>29</sup>ILO Convention No.169, Indigenous and Tribal Peoples in Independent Countries, 27.06.1989.

<sup>30</sup>D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1330.

როგორიცაა: ინფორმაციის თავისუფლების უფლება, ეკოლოგიური საფრთხის წინასწარ შეტყობინების უფლების გათვალისწინებით; საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ეკოლოგიური საკითხების განხილვისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება; გარემოზე ზემოქმედების შეფასების უფლება; ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების უფლება და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება. პროცესუალური მიღების იძლევა იმედს, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა მოხდება საჯაროობისა და დემოკრატიის საფუძველზე. რ. ჩერჩილის აზრით, ამ არგუმენტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული პროცესი თავისთვად ბიძგს მისცემს სასურველი ეკოლოგიური პოლიტიკის განვითარებას,<sup>31</sup> ანუ უშუალო მონაწილეობა ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარკვეულწილად დააკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს და მაქსიმალურად დაიცავს ისეთი კატეგორიის უფლებებს, რომელთა არსებობა თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან. ამდენად, თუ ის საზოგადოება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, იგივე იქნება, ვინც გადაიხდის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და ვინც უშუალოდ მოიმკის ეკოლოგიურ შედეგებს, მაშინ გარემოს სრულყოფილი დაცვა სრულიად რეალური გახდება.

მატერიალური უფლებების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ისეთი უფლებები, რომელთა გარეშეც ფაქტობრივად წარმოუდგენელია დემოკრატიული ეკოლოგიური სამართლის განვითარება. ეს ის უფლებებია, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ადამიანი, როგორც ინდივიდი.

წინამდებარე პკლევის სრულყოფილად განხორციელებისათვის სასურველია გაანალიზდეს ის უფლებები, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებში არის გამოყენებული ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით. იმდენად, რამდენადაც, ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა უმრავლესობა გაჩნდა უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა ადამიანისა და გარემოს მჭიდრო ურთიერთობის საერთაშორისო აღიარება, თითქმის არც ერთი ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არ აღიარებს ჯანსაღი გარემოს უფლებას. გამონაკლისია ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციის

<sup>31</sup> R. Churchill, Environmental Rights in Existing Human Rights Treaties in Boyle & Anderson, 99.

(1997 წლიდან კონვენცია ძალაში აღარ არის) 1988 წლის სან სალვადორის ოქმი და აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებების ქარტია. სან სალვადორის ოქმის მე-11 მუხლი ადგენდა: „ყველას აქვს უფლება იცხოვოს ჯანსაღ გარემოში და უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი მომსახურებით; ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ გარემოს დაცვა, მისი შენარჩუნება და გაუმჯობესება.“

ასევე, საინტერესოა აფრიკის „ადამიანის და ხალხთა უფლებათა დაცვის ქარტიის“ 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „ყველა ხალხს აქვს უფლება იცხოვოს მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ და დამაკმაყოფილებელ გარემოში“.

**სიცოცხლის უფლება** - საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, აღიარებს ადამიანის სიცოცხლის უფლებას და მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან ამ უფლების სათანადო დაცვას. ასე მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-6 მუხლი ადგენს: „სიცოცხლის უფლება. თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. მას იცავს კანონი. არავის არ შეიძლება წაართვან სიცოცხლის უფლება.“<sup>32</sup>

**ჯანმრთელობის უფლება** - 1993-1995 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ გამოცემული რეზოლუციები ადგენენ: „ჯანსაღი გარემოს სტიმულირება ხელს უწყობს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელობის უფლების დაცვას.“<sup>33</sup>

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს: „შეთანხმების ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ ადმიანის უფლებას ისარგებლოს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობისათვის შესაბამისი პირობებით. ამ შეთანხმების სრულყოფილად შესრულების მიზნით მხარეები იღებენ გალდებულებას: . . . ა)გააუმჯობესონ ეკოლოგიური და სამეწარმეო ჰიგიენა ყველა მიმართულებით; ბ)აიცილონ, გააკონტროლონ და აღმოფხვრან ეპიდემიური, ენდემური და სხვა სახის დაავადებები“<sup>34</sup>.

<sup>32</sup> საქართველოში პაქტი ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

<sup>33</sup> UN Commission on Human Rights, Res. 1993/90; 1994/65; 1995/14.

<sup>34</sup> საქართველოში პაქტი ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება - ეს არის ადამიანის კიდევ ერთი უნივერსალური უფლება, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით: „არავინ არ უნდა განიცადოს თვითხებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში . . თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს:

„ყოველი ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია.“<sup>35</sup>

კონვენციის თანახმად, აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოების უსაფრთხოებას, ეროვნულ უშიშროებას, ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას, ასევე სხვა უფლებებისა და თავისუფლებების, ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე საუბრისას სასურველია უფრო ღრმად იქნეს გაანალიზებული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი ევროპული სასამართლოს როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. კონვენციის მოქმედების პირველ წლებში სასამართლო არ ღებულობდა სარჩელებს ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით, რადგან თვლიდა, რომ კონვენცია არ შეიცავდა მუხლებს ეკოლოგიური უფლებების დაცვის შესახებ და შესაბამისად სარჩელი ამგვარი უფლებების დაცვის მოტივით უსაფუძვლოდ მიიჩნეოდა. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის (პრეცედენტული სამართლის) შემდგომმა განვითარებამ, კაცობრიობის ეკონომიკურმა პროგრესმა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებამ ცხადყო, რომ კონვენციის დებულებების განმარტება მრავალი, მათ შორის, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც არის შესაძლებელი. ამდენად, ნათელი გახდა, რომ კონვენციით დაცული უფლებების მრავალმხრივ ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი ეფექტიანად ასამოქმედებლად. დღესდღეობით ეკოლოგიური საკითხები არის კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და ამდენად კავშირი ადამიანის უფლებებისა და გარემოს

<sup>35</sup> საქართველოში ძალაშია 1999 წლიდან.

დაცვას შორის სავსებით თვალნათელია.<sup>36</sup> ისიც მეტად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტები, ეროვნული კონსტიტუციები და პრეცედენტული სამართალი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანის ეკოლოგიური უფლებებების აქტუალიზაციის საკითხს.<sup>37</sup>

არც ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია და არც მისი დამატებითი ოქმები, პირდაპირ არ ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს. თუმცა, კონვენციით დაცული უფლებების მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებად გამიჯვნის შემთხვევაში, მათი განმარტების უფრო ფართო შესაძლებლობა ვლინდება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც გამოიყენება. კონვენციის მატერიალურ ნორმებში ერთიანდებიან კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (ფიზიკური ხელშეუხებლობა), მე-5 (უფლება თავისუფლებაზე და უსაფრთხოებაზე) და მე-8 (პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება) მუხლები, ასევე პირველი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება). პროცესუალური ნორმებია მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), მე-13 მუხლი. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა ევროპული პრეცედენტული სამართლი სწორედ ზემოაღნიშნული მუხლების ინტერპრეტაციაზეა აგებული და სწორედ მათი მრავალმხრივი განმარტების შედეგად სასამართლოს მიერ იქნა გამოტანილი ისეთი ცნობილი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა, ანნა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Anna Maria Guerra and others v. Italy*)<sup>38</sup>, ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*)<sup>39</sup> და სხვა.<sup>40</sup>

ზემოაღნიშნული ნაწილის ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც უმრავლესობა საერთაშორისო

<sup>36</sup> მ. ბითაძე, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორაკელია, თბილისი 2006 წელი, გვ. 11.

<sup>37</sup> M. Dejeant-Pons, M. Pallemarts, Human Rights and the Environment (Prefaces - W. Schwimmer former Sec. General of the COE), 2002, 3.

<sup>38</sup> *Anna Maria Guerra and others v. Italy*. Гл. Ред. Р. Готрон, *Свобода - Искатели и Иски*, 2000, т. 24-25.

<sup>39</sup> *López Ostra v. Spain*, Case 41/1993, judgment of 9 December 1994.

<sup>40</sup> მ. ბითაძე, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორაკელია, თბილისი, 2006 წ. გვ. 14.

ხელშეკრულებებსა არ შეიცავს პირდაპირ გარანტიებს ეკოლოგიური უფლებების დაცვისათვის, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ მათი უმრავლესობა შემუშავებულ და მიღებულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე მსოფლიოში აქტუალური გახდებოდა ზოგადად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის საკითხი.

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ძირითადად აქცენტს აკეთებენ ამ უფლებების დაცვაზე, როგორც ინდივიდუალურ უფლებებზე, მაშინ როცა ეკოლოგიური უფლებები, გარდა ინდივიდუალური უფლებებისა, ხშირად კოლექტიურ უფლებებს მოიცავენ. მაგალითად, ოუ ჰაერი ან წყალი ბინძურდება, ოუ ნადგურდება ტყის საფარი, ამით არა მარტო ადგილობრივი, კონკრეტული მოსახლის ინტერესი ილახება და უფლება ირღვევა, არამედ ირღვევა ადამიანის უფლებები უფრო მასშტაბურად, რადგან, იმავე ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებას მოსდევს ამ ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი გაფრქვევაც კი. წარმოებისას ეკოლოგიურად გაუმართლებელი ტექნოლოგიების გამოყენება იწვევს ოზონის შრის დაშლას, კლიმატის ცვლილებას, რაც ასევე, კოლექტიური უფლებების დარღვევას იწვევს.

## 1.2. ჯანსაღ ბარემოში ცხოვრების უფლება

როგორც წინამდებარე კვლევიდან ჩანს, შესაძლებელია ადამიანის უფლებათა შორის უშუალოდ ცალკე გაიმიჯნოს „ეკოლოგიური უფლებები“, რომლებიც დაეფუძნება ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორიცაა ჯანმრთელობის, სუფთა გარემოს, სუფთა წყლის, პაერის და სხვა ამგვარი უფლებები. იდეას, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიღება უფრო გააძლიერებს და განვითარებს თუნდაც ტექნიკურ მიღებას ეკოლოგიური სამართლისადმი, ჯერ კიდევ ყველა გარემოსდამცველი არ იზიარებს, რადგანაც თვლიან რომ თანამედროვე შიდასახელმწიფოებრივი მიღება უფრო შეესატყვისება ეკოლოგიური რესურსების გლობალურ მართვასა და დარგის გრძელვადიანი პოლიტიკის განვითარებას.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, ითვლება თუ არა ადამიანის უფლებები გლობალური გარემოსდაცვით პრიორიტეტია, ის მაინც რჩება ამ დარგის მდგრადი განვითარებისა და ზოგადად მისი ყოფის მამოძრავებელ ძალად. ეკოლოგიურ კატასტროფას ყოველთვის უფრო მწვავე ხასიათი აქვს ისეთ ქვექნებში, სადაც ადამიანის უფლებების დარღვევას ხშირი ხასიათი აქვს. იქ, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა არასათანადოდ ხდება, სამოქალაქო საზოგადოება, რადა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ეკოლოგიური საკითხების ეფექტიან განხორციელებას. უფლება საზოგადოებრივ გაერთიანებაზე, სასამართლო დაცვაზე, ინფორმაციის თავისუფლებაზე, სიტყვის თავისუფლებაზე და სხვ., ეს ის უფლებებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლისათვის.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების სოციალური მნიშვნელობის და ეფექტიანობის გაცნობიერებისთვის, მიზანშეწონილი იქნებოდა, პირველ რიგში, იმის გარკვევა, თუ რა ადგილი უკავია ამ უფლებას ადამიანის ზოგადი უფლებებისა და თავისუფლებების სისტემაში. ამ საკითხის ანალიზი საკმაოდ რთულია, რადგან ადამიანის მრავალფეროვანი უფლებების და თავისუფლებების სხვადასხვა სტრუქტურული სისტემები არსებობს. როგორც ნებისმიერ სოციალურ მოვლენას, ადამიანის უფლებების ინსტიტუტსაც განვითარების თავისი ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეტროსპექტული გამოკვლევა. აშკარაა, რომ ამ უფლების

რეალურად ჩამოყალიბება და განვითარება თანამედროვე პერიოდს განეკუთვნება. თუკი, თავად ადამიანის უფლებების იდეის ჩამოყალიბება ჩ.წ.ა. მე-4, მე-5 სს-ებში მოხდა, ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაფიქსირების პირველი მცდელობა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. გ. სტარუშენკოს აზრით, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას საფუძვლად თვითგამორკვევის უფლება უდევს<sup>41</sup>.

ადამიანის თითოეული უფლების სოციალური ინსტიტუტის ჩამოყალიბებას წინ ადამიანური ცივილიზაციის განვითარების გარკვეული ეტაპი უძღვის. მაგალითად, უაზრობა იქნებოდა შუა საკუნეების საქართველოში სოციალურ უზრუნველყოფასა ან ინკვიზიციის პერიოდის ესპანეთში რელიგიის თავისუფლებაზე ელაპარაკათ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების წარმოქმნისა და განვითარების მსოფლიოში უკანასკნელ 20-25 წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირება. სხვაგარად რომ ითქვას, განვითარებადი სამყარო ჯერ კიდევ იმ სტადიაზე იმყოფება, როცა ამ სახელმწიფოებში მინიმალურ დონეზე მაინც ისეთი ფუნდამენტალური უფლებების დაცვაა აუცილებელი, როგორიცაა სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის და ა.შ.<sup>42</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაკავშირებას ბუნებითი სამართლის თეორიასთან. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებების ბუნებითი სამართლის თეორიის ნაწილად აღიარებას საფუძვლად უდევს ნატურალური, განუყოფელი უფლებების შესახებ წარმოდგენა. სწორედ, ამ თეორიამ მისცა მძლავრი ბიძგი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, მან განსაზღვრა ადამიანის უფლებების პრიორიტეტების ორიენტირები და სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ახლებური ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

<sup>41</sup> Курс Международного Права, Отв. Ред. И. Лукашук, Основные Принципы Международного Права, 1989, 56.

<sup>42</sup> მაგალითად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თანამედროვე რუანდის მოსახლეობას, რომელიც უსასტიკეს ტომთაშორისი ომის მორევშია ჩათრეული, ძალიან აწუხებდეს „ნგორო-ნგოროს“ ნაკრძალში სპილოების პოპულაციის შემცირების ან დასავლეთი ევროპის სუპერმარკეტებში ნიტრატებიანი პროდუქტების მოძალების საკითხები. ამავე დროს, საყოველთაო ეკოლოგიზაცია სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკურ-ეკოლოგიურ განვითარებაში.

ბუნებითი სამართლის დოქტრინის პოსტულატებმა 1789 წლის „ადამიანის უფლებათა დეკლარაციაშიც“ პოვეს ასახვა. ადამიანის ძირითადი უფლებების ჩამონათვალს დეკლარაციამ თავისუფლების, საკუთრების დაცვის, უსაფრთხოებისა და ჩაგვრისთვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხები შეჰქმატა.<sup>43</sup>

იმავდროულად, ბუნებითი სამართლის განვითარების პარალელურად, პოზიტიური სამართლის საფუძვლებიც ვითარდებოდა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის უფლებები და შინაარსი სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება. სახელმწიფო „ჩუქნის“ მათ პიროვნებას და მის მიმართ სამომხმარებლო ფუნქციებს ახორციელებს<sup>44</sup>.

მიუხედავად პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ არსებული განსხვავებული მიდგომებისა, თანამედროვე მეცნიერება ნებატიურად აფასებს ზემოხსენებული მიდგომებების მკვეთრად პოლარიზების მცდელობას. ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ განუყოფელი უფლებები ადამიანს დაბადებიდან ეკუთვნის, მათი დაცვის გარანტიებს სწორედ სახელმწიფო უზრუნველყოფს<sup>45</sup>.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე კვლევის კონტექსტში იბადება შეკითხვა: არის თუ არა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ბუნებრივი უფლება? საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, განუყოფელ და უკელასთვის დაბადებიდან ბოძებულ უფლებებს, ეგრეტ წოდებულ ძირითად უფლებებს მიაკუთვნებს. ხოლო, კონსტიტუციის კონკრეტული დებულებები აკონკრეტებენ ამ უფლებების შინაარსსა და მათი შეზღუდვის შესაძლებლობებს.

ზოგიერთი ავტორი „ძირითად უფლებებში“ იმ უფლებებს მოიაზრებს, რომლებიც სახელმწიფოს კონსტიტუციაში და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებშია დაფიქსირებული<sup>46</sup>. პროფესორ გიორგი ხუბუას აზრით, ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია ხდება, მისი მიზნიდან გამომდინარე, მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, შინაარსობრივი კრიტერიუმის მიხედვით და სხვა. კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული სახეა ძირითადი უფლებების დაყოფა სოციალურ-ეკონომიკურ, პირად და

<sup>43</sup> The Declaration of the Human Rights and Citizens, 1789, Art.2

<sup>44</sup> Общая Теория Прав Человека, Ответственный редактор Е. Лукашева, 1996,11.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> Р. Мюллэрсон, Права Человека: Идеи, Нормы, Реальность, 1991, 10-11.

პოლიტიკურ უფლებებად; თავისუფლების უფლებებად; დამცავ უფლებებად და სხვ.<sup>47</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების, როგორც ბუნებრივი და განუყრელი უფლების, იდენტიფიცირების სერიოზული მცდელობა იყო ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური ექსპერტების ჯგუფის მიერ 1994 წლის მაისში „ადამიანის უფლებების და გარემოს შესახებ დეკლარაციის“ პროექტის შემუშავება. ამ პროექტის მე-2 პუნქტმა დააფიქსირა, რომ „ყველა ადამიანს გააჩნია უსაფრთხო, ჯანსაღ და ხელსაყრელ გარემოში არსებობის უფლება. ეს და ადამიანის სხვა უფლებები, მათ შორის, სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური, უნივერსალური, ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელია.“<sup>48</sup> აღნიშნულ პროექტში მკაფიოდ არის გამიჯნული ადამიანის თითოეული ეკოლოგიური უფლება და აღიარებულია მათი უმაღლესი იურიდიული ძალა. მაგრამ, არსებობს ისეთი დებულებები, რომლებმაც პროექტს მოწინააღმდეგებიც შესძინა და მას დღესდღეობით მხოლოდ პროექტის სახე აქვს.

საინტერესოა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ადგილის განმსაზღვრელი ის მიდგომა, რომელიც ამ უფლების დამოუკიდებლად განვითარებას განიხილავს. 40-60 წლებში კავშირი ცნებებს „ადამიანის უფლება“ და „ხელსაყრელი გარემო“ შორის უკვე ცხადად ვლინდება საერთაშორისო ასპარეზზე.

ფ. ტარნავსკის მტკიცებით, ამ კავშირის ჩანასახები უკვე გაეროს გენერალური ასამბლეის მე-3 სესიის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ და 1966 წლის 19 დეკემბრის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ დებულებებში ვლინდება<sup>49</sup>. ამ კავშირის დადგენა ა. ტარნავსკის მიერ მოყვანილი დებულებების საფუძველზე საკმაოდ ძნელია.

„ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის“ მე-3 მუხლი ახდენს ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის

<sup>47</sup> ლ. იზორია, პ. კორკელია, პ. აუბლაშვილი, გ. ხებუა, საქართველოს კონსტიტუციის კომიტეტის, 2005. გვ.13.

<sup>48</sup> Draft Declaration of Principles on Human Rights and the Environment, final report prepared by Mrs. Fatma Zohra Ksentini, Special Rapporteur, UN Doc. E/CN.4/Sub. 2/1994/9.

<sup>49</sup> А. Тарнавский, Право Граждан на Благоприятную Окружающую Среду, Советское Государство и Право, 1990, 103.

უფლებების დეკლარირებას. ამ უფლებებს, ერთი შეხედვით, უფრო სოციალური და არა ბიოლოგიური ხასიათი გააჩნიათ. ხოლო იმავე დეკლარაციის 25-ე მუხლის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ მის დებულებებში მართლაც აღმოჩენილ იქნეს ასეთი კავშირი. განსახილველი დებულება აყალიბებს უფლებას იცხოვრო ისეთ დონეზე, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნული ანალიზი, მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის, იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ამ უფლებებს დაცვის მსგავსი, მაგრამ მაინც განსხვავებული ობიექტები გააჩნიათ: „ჯანსაღი გარემო“ და „ადამიანის ჯანმრთელობა.“ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ლ. მაკფარლეინიც, რომელიც თვლის, რომ ჯანმრთელობის დაცვის უფლებას თავისი განსაკუთრებული, ბუნების დაცვისაგან განსხვავებული საკითხების წრე გააჩნია<sup>50</sup>. 25-ე მუხლი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება „ცხოვრების დონეში, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად“. რა თქმა უნდა, აქ შეიძლება ნაგულისხმები იყოს შრომის, განათლების, გადაადგილების, ხელსაყრელ გარემოში ცხოვრების უფლებებიც, მაგრამ ყოველივე ეს იძლევა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების არაპირდაპირი დაცვის საშუალებას, რადგან არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ფორმა.

ანალოგიური დასკვნების გაკეთება შეიძლება „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-11 (უფლება გაგაჩნდეს სათანადო ცხოვრების დონე) და მე-12 (უფლება გაგაჩნდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია, გარემოს პიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესების მეშვეობით) მუხლების ანალიზის საფუძველზე. მე-11 მუხლი აქაც უფრო სოციალურ საკითხებს ფარავს. რაც შეეხება მე-12 მუხლს, მისი დებულებები გარემოს პიგიენაზე ამახვილებენ უურადღებას. ამ შემთხვევაში კავშირი ცნებებს „ადამიანის უფლებები“ და „ჯანსაღი გარემო“ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე აქცენტი გაპეთდა 1987 წელს გამართულ გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე. 1972 წლის „გარემოს ადამიანისათვის“ სტოკოლმის კონფერენციის „პრინციპების დეკლარაციაში“

<sup>50</sup> L. Macfarlane, The Theory and Practice of Human Rights, 1985, 120-125.

განსაზღვრულია გარემოსა და განვითარების პარმონიზაციის შესახებ, ისევე როგორც ამ სფეროში განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების დაცვის აუცილებლობის შესახებ. კერძოდ, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება არაპირდაპირი გზით იქნა დაფიქსირებული: „ადამიანს გააჩნია სრული უფლება იყოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და პქონდეს არსებობის ხელსაყრელი პირობები გარემოში, რომლის ხარისხიც აძლევს მას დირსეული და კეთილდღეობით აღსავსე ცხოვრების წარმართვის საშუალებას; ადამიანს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებაზე, ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.“<sup>51</sup>

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, როგორც წინა თავში აღინიშნა, აგრეთვე ასახულია „ადამიანის და ხალხების უფლებების აფრიკის ქარტიაში“.<sup>52</sup> მის 24-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა ადამიანს უნდა პქონდეს უფლება იარსებობს დამაკმაყოფილებელი ხასიათის, ხელსაყრელ, მისი განვითარებისთვის შესაფერის გარემოში.“

„ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ადამიანის ზოგადი უფლებების ერთ-ერთი ელემენტია და ამ სისტემის განვითარების ნათელი მაგალითია. თუმცა, ალბათ აზრი ექნებოდა მის დამოუკიდებელ ცნებად გამოყოფას და მისი მოქმედებისთვის და დაცვის მექანიზმისთვის იმპერატივის მინიჭება“, აცხადებს რ. ხაბიროვი<sup>53</sup>. მისი აზრით, ნაწილი მეცნიერებისა თვლიან, რომ გარემოს დაცვაზე და მის ოაციონალურ გამოყენებაზე მიმართული საერთაშორისო სამართლის ნორმები ძირითადად, ეგრეთ წოდებული „soft law-ს“, ანუ რბილი სამართლის პრინციპებით რეგულირდებიან და, უმეტეს შემთხვევაში, მათ სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ. რა თქმა უნდა, ეკოლოგიური კრიზისის გაღრმავების პირობებში, „რბილი სამართლის“ ნორმები უსარგებლო იქნება და საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად საქმარისი არ იქნება, რადგან მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ძალუბს ტრანსასაზღვრო კონტესტში გადაჭრას ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის საკითხი. ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი

<sup>51</sup> М. Битадзе, Права Человека, Здоровье и Защита Окружающей Среды, Жур. Международное Право и Проблемы Интеграции, Баку, 2005, 53.

<sup>52</sup> The African Charter on Human and Peoples' Rights.

<sup>53</sup> Р. Хабиров, Международно-правовое Регулирование Права Человека на Благоприятную Окружающую Среду: Теоретические Основы Формирования Экологического, Аграрного, Земельного, Предпринимательского Законодательства в Субъектах РФ., Сборник научных трудов, 1997, 97.

ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების დაცვას, ოღონდ ისევ არაპირდაპირი გზით, როგორც სამამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ უფლებებს. მათ შორისაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1945 წლის 26 ივნისის ქარტია (სან-ფრანცისკო, აშშ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ; 1973 წლის 3 მარტის კონვენცია გადაშენების პირას მყოფი გელური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო გაჭრობის შესახებ (ვაშინგტონი, აშშ); 1992 წლის 9 მაისის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (ნიუ-იორკი, აშშ); 1998 წლის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჟუსი, დანია); 1972 წლის 16 ივნისის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია: გარემო ადამიანისათვის (სტოკოლმი, შვედეთი) და სხვა.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები ადგენერ ისეთ გარანტიებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დასაცავად, როგორიცაა, ჯანსაღი სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გარემოს პიგიენა და მრეწველობაში შრომის პიგიენა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, დაავადებებთან ბრძოლა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხელმისაწვდომი განათლება, ცნობიერების ამაღლება, პოტენციალის ზრდა და ეს ყველაფერი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის გათვალისწინებით მათი რასის, სქესის, მრწამსის და სხვა ნიშნების მიუხედავად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სტოკოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპია, რომელიც ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს გააჩნია ფუნდამენტალური უფლება იყოს თავისუფალი, თანასწორი და იცხოვოს მისი არსებობისათვის ადეკვატურ გარემოში, ისე რომ სათანადოდ დაცული იქნეს მისი კეთილდღეობა და ღირსება„. აღნიშნული ფორმულირება ფაქტობრივად ავსებს 1966 წლის გაეროს ეკონომიკური,

სოციალური და გულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიზნებს, რომლის მე-11 და მე-12 მუხლებში, როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია, რომ „ადამიანს უფლება აქვს იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს ... პარადეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე ...“ და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „... გარემოს პიგიენისა და მრეწველობაში შრომის პიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესება“.

2. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ეროვნულ ნორმებზე ზემოქმედების მშობე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და ინსტიტუტები

## 2.1 ბაერთიანებული მრების ორგანიზაციის როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ეკოლოგიური უფლებების განვითარებასა და დაცვაში ძალზე დიდია. სწორედ მათი დახმარებით გვარდება წარმოქმნილი ძირთადი ეკოლოგიური პრობლემები საერთაშორისო მასშტაბით. ამდენად, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს იმის დადგენას და გაანალიზებას, თუ რაში მდგომარეობს ამ ორგანიზაციების საქმიანობა, რა არის ის ძირითადი დონისძიებები, რომლებიც ამ ორგანიზაციების ეგიდით იქნა გატარებული ამ მხრივ.

როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა დარგების განვითარებაში, ასევე ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბება-განვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეკოლოგიური კრიზისისა და გარემოს მდგომარეობის გლობალური გაუარესების აღმოფხვრის დონისძიებების შემუშავებას მიეძღვნა გაეროს 1972 წლის სტოკოლმის კონფერენცია<sup>54</sup>, რომელზედაც მიღებულ იქნა გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპების დეკლარაცია, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაციულ-ფინანსური გადაწყვეტილებები და რეკომენდაცია გაეროს ეკოლოგიური პროგრამის შექმნის თაობაზე. სტოკოლმის კონფერენციის გახსნილად გამოცხადების შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ ამ კონფერენციის მთავარი მიზანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საფუძვლის შექმნა და ეკოლოგიური საკითხების ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახვა უნდა ყოფილიყო. სტოკოლმის დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას. მისი შექმნის პერიოდში ეკოლოგიური მოძრაობა ახალწამოწყებული იყო და ქვეყნები, რომლებიც აღიარებდნენ გარემოსდაცვით პრობლემებს, იყვნენ მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები.

<sup>54</sup> Stockholm Declaration of the United Nations Conference on the Human Environment, 16 June 1972, U.N. Doc. A/CONF.48/14/Rev.1 at 3 (1973).

პრობლემები, რომლებსაც ისინი საჯაროდ აცხადებდნენ, იყო ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოშობილი ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა, წყლის დაბინძურება და ბოლნისლი. იმ დროისათვის არ არსებობდა არანაირი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომელიც უზრუნველყოფდა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. სტოკოლმის კონფერენციამ კი, საფუძველი ჩაუყარა გარემოს დაცვის საერთაშორისო პროგრამას და პირველმა დააარსა ეკოლოგიური ურთიერთობების რეგულირების საერთაშორისო სამართლებრივი პრეცედენტი. 1972 წლის კონფერენციის მნიშვნელოვანი მიღწევა, როგორც აღინიშნა, არასავალდებულო ხასიათის (non-binding statement), 26 პრინციპისაგან შემდგარი სტოკოლმის დეკლარაციაა.<sup>55</sup>

სტოკოლმის კონფერენცია გაეროს მიერ ოდესმე ჩატარებული კონფერენციებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. ას ოცდაათი სახელმწიფოს წარმომადგენელი, მათ შორის, ინდოეთისა და მასპინძელი შვეციის სახელმწიფო მეთაურები ესტრებოდნენ კონფერენციას. შეხვედრა ჩატარდა ცივი ომის პერიოდში, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა მასზე, თუმცა პოსტ-სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, დღეს აქტიურად იზიარებენ სტოკოლმის კონფერენციის შედეგებს. სტოკოლმის კონფერენციის შედეგად დადგინდა სამი ძირითადი ფაქტორი: გარემოს დაცვის მოქმედებათა გეგმა, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა და გარემოს დაცვის ფონდი. სტოკოლმის მოქმედებათა გეგმამ გამოააშკარავა ას სამოცი პრიორიტეტული ეკოლოგიური რეკომენდაცია. მათ შორის, გარემოს მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილებების მართვა და დაგეგმვა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულების ზუსტი განსაზღვრა; საერთაშორისო მნიშვნელობის დამაბინძურებლების განსაზღვრა; ეკოლოგიური საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და ინფორმაციული საკითხების განსაზღვრა და გაძლიერება; გარმოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციის განვითარება. მოქმედებათა გეგმამ შექმნა საფუძველი გლობალური გარემოს შეფასების პროგრამის (Earthwatch) დაწყებისათვის, რომლის მთავარი მიზანია ბიოსფეროზე დაკვირვება. ამასთანავე, გეგმამ საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ბევრ შემდგომ გარემოსდაცვით ხელშეკრულებაზე. მაგალითად,

<sup>55</sup> K. Alexandre, An introductory Note on Human Rights to Environment, 1991, 199.

გეგმის ოცდამეცამეტე რეკომენდაცია: „ყველა სახელმწიფომ . . . სასწრაფოდ . . . დაიწყოს ხელშეკრულების მომზადება ვეშაპების დაცვის საერთაშორისო კომისიის მხარდაჭერით (IWC) და შემდგომი 10 წლის განმავლობაში აკრძალონ ვეშაპებზე ნადირობა.“ მოქმედებათა გეგმის სწორედ ამგვარი კონკრეტული მითითების შედეგად შემუშავდა ბონის კონვენცია მიგრირებადი სახეობების შესახებ, კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და კანონი ზღვის შესახებ<sup>56</sup>. ამასთანავე, მოქმედებათა გეგმამ ხელი შეუწყო გაეროს ეკოლოგიური პროგრამის ძირითადი სამოქმედო ასპექტების გამოვლენას. ეკოლოგიური პროგრამა დაფუძნდა, როგორც ეკოლოგიური საკითხების მარეგულირებელი უმთავრესი სპეციალიზებული ორგანიზაცია. ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს პლენარულ სხდომებზე იხილება და წყდება გარემოს დაცვის სფეროში არსებული ძირითადი საკითხები.

ამგვარად, 1972 წლის სტოკოლმის დეკლარაცია იყო პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიური საკითხების ურთიერთკავშირს. დეკლარაციის პირველი პრინციპი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ფუნდამენტალური უფლება იყოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, იცხოვროს შესაფერის, უსაფრთხო გარემოში. ამასთანავე, დეკლარაცია განსაზღვრავს ადამიანის გალდებულებას გაუფრთხილდეს და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. დაახლოებით ოციოდე წლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ერთგვარად გამოეხმაურა სტოკოლმის დეკლარაციის დებულებებს და დაადგინა (რეზოლუცია №49/94), რომ ადამიანი უფლებამოსილია იცხოვროს მისი ჯანმრთელობისათვის და კეთილდღეობისათვის უვნებელ გარემოში. ზოგადად, კი რეზოლუციის მიზანი უკეთესი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა.<sup>57</sup>

საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის პრინციპების ჩამოყალიბება „ბუნების მსოფლიო ქარტიაში“ განაგრძო. ეს ქარტია მოწონებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ და გამოცხადებული იქნა 1982 წლის 28 ოქტომბრის რეზოლუციაში. მასში რამდენიმე პრინციპია განსაზღვრული:

<sup>56</sup> D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 92.

<sup>57</sup> Environment and Human Rights Doc. 9791 16 April 2003 Report, Committee on the Environment, Agriculture and Local and Regional Affairs. Rapporteur: Mrs Cristina Agudo, Spain, SOC.

საჭიროა ბუნების პატივისცემა და დაუშვებელია მისი ძირითადი პროცესების დარღვევა. დაუშვებელია დედამიწაზე არსებული სიცოცხლის გენეტიკური საფუძვლის საფრთხის ქვეშ დაყენება; საჭიროა სიცოცხლის ყველა ფორმის (შინაური თუ გარეული) პოპულაციის შენარჩუნება, სულ მცირე, ისეთ დონეზე, რომელიც აუცილებელია მისი გადარჩენის უზრუნველსაყოფად; აუცილებელია მინიმალური საარსებო პირობების შენარჩუნება; განსაკუთრებული დაცვა ესაჭიროებათ უნიკალურ რაიონებს, იშვიათი ან გადაშენების პირას მდგარი სახეობების საბინადრო არეალების და ეკოსისტემების ყველა ტიპებს; ადამიანის მიერ გამოყენებული ეკოსისტემები და ორგანიზმები, ისევე როგორც ხმელეთის, ზღვის და ატმოსფეროს რესურსები უნდა იმართებოდნენ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ოპტიმალური და მუდმივი წარმადობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ოღონდ მათთან თანაარსებული ეკოსისტემებისა და სახეობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.<sup>58</sup>

ამგვარად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე მიდგომა, რომელიც ადამიანის ეკოლოგური უფლებებისა და გარემოს დაცვას ეხება. დადგინდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს საქმიანობის დაგემვისას და განხორციელებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ ბუნების დაცვა ამ საქმიანობის შემადგენელი ელემენტია. ეკონომიკურ განვითარებასთან, მოსახლეობის ზრდასა და საარსებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას, აუცილებელია ბუნებრივი სისტემების შესაძლებლობების (არსებობის ხანგრძლივი უზრუნველყოფის და ადამიანების განთავსების თვალსაზრისით) გათვალისწინება, თანაც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს, რომ სათანადო სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების გამოყენებისას, სავარაუდოა, ეს შესაძლებლობები საგრძნობლად გაიზარდოს. ადამიანის მიერ მიწის ნაკვეთების გარკვეული მიზნებით გამოყენება გეგმის საფუძველზე უნდა ხდებოდეს და ამ დროს აუცილებელია ფიზიკური შეზღუდვების, ბიოლოგიური პროდუქტიულობის და მრავალფეროვნების და ამ ნაკვეთების ბუნებრივი სილამაზის სათანადო დონეზე გათვალისწინება. დაუშვებელია ბუნებრივი რესურსების გაფლანგვა. აუცილებელია ბუნებაზე პოტენციურად მავნე ზემოქმედების მქონე საქმიანობების კონტროლი. საჭიროა

<sup>58</sup> Экологическое Право России, Учебник, Под ред. В. Ермакова, А. Сухарева, 1997, 121.

სიტუაციისადმი ყველაზე მორგებული ტექნოლოგიების გამოყენება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ბუნებაზე მავნე ზემოქმედების რისკი. სტიქიური უბედურებების, პარაზიტების და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების, კონტროლის ან შეზღუდვის ზომები უნდა მიიღებოდნენ მხოლოდ ასეთი მოვლენების შედეგებთან საბრძოლველად და არ უნდა ახდენდნენ მეორეულ დამღუპველ ზემოქმედებას გარემოზე. აუცილებელია ბუნების შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელება ყველა შესაძლო საშუალებით. ნებისმიერი გეგმის შედგენისას აუცილებელია მის ერთ-ერთ კომპონენტად ბუნების დაცვის სტრატეგიის ჩართვა, ეკოსისტემების ატლასის შედგენა და დაგეგმილი პოლიტიკის ან საქმიანობის ბუნებაზე შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა. აუცილებელია ყველა ამ ელემენტის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის შესაბამისი ფორმით და სათანადო ვადებში მიწოდება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ საკუთარი აზრის ეფექტიანად გამოთქმა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. ბუნების დაცვის მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინასური სახსრების უზრუნველყოფა, პროგრამების და ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა. აუცილებელია ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაზე, ეკოსისტემებსა და სახეობებზე თვალყურის დევნება, რათა, რაც შეიძლება ადრე აღმოვაჩინოთ მათი დეგრადაციის ან მათვის შექმნილი საფრთხის ნებისმიერი შემთხვევა.

სტოკოლის კონფერენციის ლოგიკურ გაგრძელება 1992 წლის 3-14 ივნისის გაეროს კონფერენცია რიო-დე-ჟანეიროში, რომელზედაც მიღებულ იქნა დეკლარაცია „გარემოსა და განვითარების შესახებ“, ასევე ცნობილი დედამიწის სამიტის სახელით. დეკლარაციის მიღების პერიოდში მსოფლიოს „ცივი ომი“ თუ „მსოფლიო ომი“ დასასრულს უახლოვდებოდა და ის აღიანსი, რომელიც მანამდე არსებობდა მსოფლიო სახელმწიფოებს შორის უკვე აღარ იყო იმდენად აქტუალური. იმთავითვე ჩაითვალა, რომ რიოს კონფერენცია ყველაზე მასშტაბური ეკოლოგიური შეკრება იყო, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 1972 წლის სტოკოლმის დეკლარაციის ძირითადი მიზნები. აი რას წერს კონფერენციის თაობაზე „ნიუ-იორკ თაიმსის“ იმდროინდელი უურნალისტი: „. . . არასდროს არ ჩატარებულა ისეთი მასშტაბური კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, როგორიც „გარემო და განვითარება“ იყო. 115 სახელმწიფოს მეთაური ესწრებოდა ამ

„კოფერენციების დედას“, 178 ეროვნებას მიეცა საშუალება, რომ თავიანთი დელეგაციები გაეგზავნა ამ დიდებულ ღონისძიებაზე რიოში. დაახლოებით ცხრა ათასი ჟურნალისტი დაქსწო კონფერენციას, რომელიც უმაღლეს ღონებები გაშუქდა გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის ხელშეწყობით. 1 400-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაზე იყო წარმოდგენილი კონფერენციაზე, როგორც გლობალურ ფორუმზე. მოგვიანებით კი რიოს ცენტრში, ფლამინგოს პარკში გაიმართა არასმთავრობო ორგანიზაციების შეკრება. საერთო ჯამში კი დაახლოებით 20 ათას ეკოლოგს, ახალგაზრდების გაერთიანებას, საქმიანი ადამიანების, მუშების, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს მიეცათ კონფერენციაზე დასწრების და მასში მონაწილეობის მიღების საშუალება . . .<sup>59</sup>

იმ ძირითადი, ოცი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ეკოლოგიური მიზნებიდან, რომლებიც დაფიქსირდა რიოს კონფერენციაზე, ხაზი შეიძლება გაესვას შემდეგ ოთხს: სათანადოდ შესწავლილ იქნეს გარემოს მდგომარეობა და ცვლილებები სტოკოლმის დეკლარაციის შემგომი პერიოდის განმავლობაში; გონივრულ გადაში იდენტიფიცირებულ იქნეს რეგიონული და გლობალური ეკოლოგიური სტრატეგიები ერთიან გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებით; განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს იმ რეკომენდაციების ნუსხა, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს განვითარებას; განვითრებადი ქვეყნების ინტერესებისა და სტოკოლმის დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით ხელი შეეწყოს საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ზუსტად განისაზღვრება სახელმწიფოთა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში.

საბოლოო ჯამში რიოს კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმებები: რიოს დეკლარაცია - „გარემო და განვითარება“; ორი კონვენცია, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების შესახებ“; 21-ე საუკუნის მდგრადი განვითარების პრინციპები, 21-ე საუკუნის დღის წესრიგი; ტყის სექტორის მართვის პრინციპები; შეთანხმება შესაბამისი შემდეგი კონვენციების შესამუშავებლად, გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია, ზღვის ხმელეთიდან დაბინძურების კონვენცია და თევზის მარაგების კონვენცია; შეთანხმება

<sup>59</sup> D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy , 1999,102.

მდგრადი განვითარების კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც მონიტორინგს განახორციელებდა რიოს შეთანხმებებისა და 21-ე დღის წესრიგის შესრულებაზე.

ამდენად, სტოკოლმის დეპლარაციისაგან განსხვავებით, 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციამ „გარემო და განვითარება“, უკვე პროცედურულად განსაზღვრა კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის. აირას ადგენს დეპლარაციის მე-10 პრინციპი:

„ეკოლოგიური საკითხების მართვა უმჯობესია განხორციელდეს ყველა დონეზე და ყველა მოქალაქის საერთო ძალისხმევით. ეროვნულ დონეზე, ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელში მყოფი ნებისმიერი ინფორმაციით, თუნდაც მავნე ნივთიერებებისა და საქმიანობების შესახებ. მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფონი ვალდებული არიან უზრუნველყონ ინფორმაციის საჯაროობა და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთათვის სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებაზე ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც მათთვის ზიანის ანაზღაურება და შესაფერისი დახმარება“.<sup>60</sup>

ამგვარად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის და შესაფერისი გარემოთი სარგებლობის უფლებებმა ჩამოაყალიბეს რიოს დეპლარაციის მიზნების ძირითადი დერძი. ზემოაღნიშნული მე-10 პრინციპის გარდა, დეპლარაცია აყალიბებს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების ისეთი ნაწილების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორებიც არიან ქალები (მე-20 პრინციპი), ახალგაზრდობა (21-ე პრინციპი), მკვიდრი მოსახლეობა და ადგილობრივი თემები (22-ე პრინციპი). სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენზიაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების - „21-ე დღის წესრიგში“. 23-ე თავის პრეამბულა ადგენს: „მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოსდაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფების და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლუატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ მათოვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით ღონისძიებებს.“<sup>61</sup>

21-ე დღის წესრიგის 23-ე თავი ადგენს, რომ ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები და ორგანიზაციები შესაბამისი ოფიციალური ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ გარემოსა და განვითარების, ეკოლოგიური ღონისძიებების შესახებ არსებული ინფორმაციით და მონაცემებით წარმოებული საქმიანოებების და საქმიანობების შედეგების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. 21-ე დღის წესრიგი ავალდებულებს სამთავრობო დაწესებულებებს საკანონმდებლო დონეზე დაადგინონ სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უზრუნველყოფენ შესაბამისი დაცვითი მექანიზმებით მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. 23-ე თავის მესამე ნაწილი განსაზღვრავს საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებიც ჩართულნი უნდა იქნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ქალები, ახალგაზრდები, მკვიდრი მოსახლეობა, ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ოფიციალური ორგანოები, სოციალური მუშაქები, ბიზნესმენები, მეწარმეები, მეცნიერები და ფერმერები. აღნიშნული პირების მონაწილეობა გულისხმობს მათ ჩართვას საზოგადოებრივ განხილვებში, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებელი ნაწილია. სამთავრობო დაწესებულებები ვალდებულებას კისრულობენ დაარსონ ინფორმაციის გაცვლის და საზოგადორებაში მისი გავრცელების გარკვეული პროცედურული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიური

<sup>60</sup> მ. ბითაძე, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ჟურ. საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი. გვ.15.

<sup>61</sup> მ. ბითაძე, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ჟურ. საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 160.

ინფორმაციის საჯარობას და გამჭვირვალობას. ამდენად, ამ დოკუმენტმა ფაქტობრივად საფუძველი დაუდო გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმის ამოქმედებას საზოგადოების მონაწილეობის გათვალისწინებით, როგორც გარემოს დაცვის განუყოფელ ელემენტს.<sup>62</sup>

ამრიგად, რიო-დე-ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე პირველად შემუშავდა გლობალური საპროგრამო დოკუმენტი, რომლის ორმოცამდე ნაწილი, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში საქმიანობების მიმართულებების აღწერას შეიცავს. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები მდგრადი განვითარების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებში, რომლებიც რესურსების მირითად მომხმარებლებს და დაბინძურების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, წარმოების და მოხმარების ზრდის შეზღუდვას. დეკლარაციის მიხედვით, ყოველი სახელმწიფო, თავისი ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ვალდებულია შეიმუშავოს საკუთარი ეკოლოგიური კანონმდებლობა, მათ შორის კანონები დაბინძურების ან სხვა ეკოლოგიური ზიანის კომპენსაციის სფეროში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის და საზოგადოების მონაწილეობა ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საჭიროა გარემოსდაცვით საქმიანობაში მოსახლეობის ყველა კატეგორიის ჩართვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი გარემოს დაცვის ეკონომიკურ მექანიზმებს, ახალი ეკოლოგიური ტექნიკის და ტექნოლოგიების გადაცემის ნებისმიერი დაბრკოლებების მოსპობას და საერთაშორისო ვაჭრობაში ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვას. ამდენად ნათელია, რომ ეკოლოგიური პრობლემები სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის საფუძველზე უნდა წყდებოდეს. განსაკუთრებით ეს ტრანსსასაზღვრო და გლობალური შედეგების ან სტიქიების გამომწვევი ანტროპოგენული ქმედებების შედეგების თავიდან აცილებასთან ან გამოსწორებასთან დაკავშირებული ზომების შემუშავებას და გამოყენებას ეხება.

საინტერესოა, რომ გაეროს ეგიდით, გარემოს დაცვის სფეროში შემუშავებული ყველა ხელშეკრულება, განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად, ეკოლოგიური

<sup>62</sup> The Global Environment: Institutions, Law, and Policy (Global Environment) by Norman J. Vig (Editor),

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს აღიარებს, ადგენს ამგვარი ინფორმაციის მაქსიმალური საჯაროობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფართო საზოგადების ფენების ჩართვის ვალდებულებას. ერთი მხრივ, ზოგიერთი ხელშეკრულება შეიცავს არსებით უფლებებს, რომლებიც ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფას შეეხება. მეორე მხრივ, ხელშეკრულებები დარღვეული უფლებებისათვის კომპენსაციის ვალდებულებას ადგენენ (1993 წლის „გარემოსათვის საშიში საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“, ლუგანოს კონვენცია, ჯერ ძალაში არ არის).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შემუშავებული კონვენციები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეკოლოგიური ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრების საკითხებსაც. საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა მიყენებული ქონებრივი ზარალის კომპენსაციაა. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, დამნაშავე სახელმწიფო, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მუქარის ქვეშ, ვალდებულია ნებაყოფლობით განახორციელოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები კონკრეტული შეთანხმებების შესაბამისად. თუ ასე არ ხდება, საკითხი გადადის საერთაშორისო დავის კატეგორიაში და წყდება დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთი დავების გადაწყვეტის მეთოდი, როგორც წესი, შესაბამისი კონვენციის ან ხელშეკრულების მიერ განისაზღვრება. ამასთან, დავების გადაწყვეტის წესები შეიძლება საქმაოდ განსხვავებული იყოს, მოლაპარაკებებიდან და კომპრომისებიდან, არბიტრაჟში, მათ შორის, გაეროს საერთაშორისო სასამართლოში, მიმართვის ჩათვლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების როლი ეკოლოგიური ხელშეკრულებების შემუშავება-განხორციელებაში ფასდაუდებელია, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს ორგანიზაცია საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარების საყრდენად იქნეს აღქმული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გარემოსდაცვით კონვენციების ისტორია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „პირველი

თაობის“ ეკოლოგიური კონვენციები, სტოკოლმის დეკლარაციის სულისკვეთებით გაჯერებულნი, ძირითადად წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემების დარეგულირების მიზნით გაჩნდა. ეკოლოგიური ხელშეკრულების შექმნის პროცესმა ფართო მასშტაბი მიიღო და ბევრი ორგანიზაციაც ჩაერთო ამ საქმიანობაში. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ზღვის დაბინძურებასთან მიმართებით კონვენციების ჩამოყალიბებას (მარპოლის, ლონდონის კონვენცია, 1972). სტოკოლმის კონფერენციის შედეგად ახლად შექმნილმა იუნეპის ორგანიზაციამ აქტიური როლი ითამაშა სხვადასხვა ეკოლოგიური ხელშეკრულებების შექმნის პროცესში და გაიმყარა თავისი პოზიციები, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციამ. განსაკუთებით მისი აქტიურიობა დაფიქსირდა 1974 წლის პარიზის, ხმელეთზე არსებული ობიექტებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ კონვენციის მიღებისას და რეგიონული საზღვაო პროგრამების განვითარებისას. გაერო-ს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ უზრუნველყო ატმოსფერული ჰაერის დიდი ოდენობით ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის შემუშავება. ველური სამყაროს სახეობების დაცვის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია 1970-იან წლებში. გლობალური კონვენციები ამ სფეროში მოიცავენ 1973 წლის კონვენციას გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის შესახებ; კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ (1971), უფრო კარგად „რამსარის“ კონვენციის სახელით ცნობილი, რადგანაც სწორედ ირანში, ქალაქ რამსარში მოხდა მისი რატიფიცირება. კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ (1972), რატიფიცირებული გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ეგიდით და 1979 არასამთავრობო ორგანიზაცია - გარემოს დაცვის მსოფლიო კავშირის ეგიდით ხელმოწერილი კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ. ამ დროის განმავლობაში აგრეთვე მიღებულ იქნა რეგიონული ხელშეკრულებები ველური სამყაროს დაცვის სფეროში, მაგალითად, 1979 წლის კონვენცია ევროპის ველური სამყაროს დაცვის შესახებ.

„მეორე თაობის“ ეკოლოგიური კონვენციები სათავეს 1980-იან წლებში იღებენ. ისინი უფრო გლობალური და ყოვლისმომცველი ხასიათით გამოირჩევიან. 1980-1990-იან წლებში მიღებული უმრავლესობა სახელმწიფოთაშორის კონსენსუსს

მოითხოვდა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ და მონრეალის ოქმი აღნიშნულ კონვენციაში შესაბამისი ცვლილებების შესახებ. 80-იანი წლების კონვენციათა შორის ნიშანდობლივია ხაზი გაესვას კონვენციას საზღვაო სივრცის შესახებ, რომელმაც საფუძველი დაუდო ოკეანისა და ზღვის გარემოს დაცვას; ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის თაობაზე (1989); კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (1992) და კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992).

ზემოაღნიშნული კონვენციების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის დაცვის ობიექტი პლანეტა დედამიწა. დაცვის ძირითადი ობიექტის გარდა, არსებობს დაცვის სამართლებრივ რეჟიმში მოქცეული ამ ობიექტის შემადგენელი ნაწილები, ისეთები, როგორიცაა მსოფლიო საზღვაო სივრცე, მატერიკები, ატმოსფერული ჰაერი და კოსმოსი. ამგვარად, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა გაამყარა გაეროს ხელშეკრულებებმა, რამაც საფუძველი სამართლის ამ დარგის სპეციალიზებული ინსტიტუტების განვითარებას ჩაუყარა, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის, ტერიტორიული წყლების, ზღვების დაცვის, ნარჩენების მართვის, წიაღისეული გამოყენების, დაცული ეკოსისტემების სფეროში, რამაც თავისთავად ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებიც გაამყარა. დღესდღეობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რჩება ყველაზე მძლავრ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით უზრუნველყოფს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიების შემუშავებასა და განვითარებას. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ის ასეულობით ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელიც გაეროს ეგიდით სწორედ გარემოს დაცვის სფეროში იქნა მიღებული.

**2.1. ეპოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის,  
გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების  
მონაწილეობისა და მართლმასაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება**

საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ ინფორმაციის (გარდა კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებისა) საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანების ელემენტია და თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია, დაუბრკოლებლად და სრულყოფილად გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის, მათ შორის, რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციის ძირითადი ღერძი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაა. მე-10 პრინციპის გარდა დეკლარაცია აყალიბებს მთელ რიგს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენციაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“, რომლის პრეამბულა ადგენს: „„მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობებს ინდივიდუების, ინდივიდთა ჯგუფების და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფახვის პროცესში, კერძოდ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლუატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი აღმინისტრიული ორანჟების მიღების - 51 -

ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით დონისძიებებს. “

ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის საკითხს მთლიანად ეძღვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით, 1998 წელს ქალაქ ორქუსში (დანია) მიღებული კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. კონვენცია 40-მდე სახელმწიფომ, მათ შორის, საქართველომ, აღიარა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დონეზე განსაზღვრა ან უკვე განსაზღვრული პქონდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი მნიშვნელობა.

1997 წლის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობა მუდმივად განიცდიდა და განიცდის გაუარესებას სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორის მავნე ზემოქმედების გამო, რაც იმავე კლიმატის ცვლილებით თუ წყალმომარაგებით გამოიხატება.<sup>63</sup> მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ აღნიშნლი მავნე ზემოქმედება გამოირჩევა მაღალი მდგრადობით, რაც მას განსაკუთრებით საშიშს ხდის. თუმცა ბოლო წლებში როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადების ჩართვისა თუ მათი შესაძლო საფრთხის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის სფეროში.

დღესდღეობით საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში საქმაოდ აქტუალურია საკითხი ურთიერთობანამშრომლობის შესახებ, რაც განსაზღვრავს სახლმწიფოთა ვალდებულებას, გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში მაქსიმალურად ჩართოს მთელი საზოგადოება, მათ შორის, კერძო და არასამთავრობო სექტორი. აღნიშნული ვალდებულების შესრულებით მაქსიმალურად მიღწევადი იქნება ადამიანის უმთავრესი ეკოლოგიური უფლების განხორციელება, რასაც ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს

<sup>63</sup> WHO report „Health and the Environment in Environmentally Sustainable Development: Five Years After the Earth Summit“, (1997).

შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჰქვია. გარდა ზემოთქმულისა, არსებობს სამართლებრივი ვალდებულებაც ამგვარი ინფორმაციის შეგროვების, გავრცელების და გაცვლის შესახებ, რაც აღნიშნულ სუბიექტებს შორის დიალოგის განვითარებას, საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და ზიანის ანაზღაურების ადეკვატური მექანიზმების დანერგვას უქმნის შესაფერის საფუძველს. ორპუსის კონვენცია ადგენს: „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ განკარგულებაში არსებული მოქლი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, რაც მას მისცემს საშუალებას, მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად. “<sup>64</sup>

ორპუსის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის უახლესია და მიზნად ისახავს, მომავალი თაობებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი. იგი აღიარებს მოქალაქეთა უფლებებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის, მონაწილეობისა და მართლმსაჯულების სფეროში და ასევე მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალეობის დონის ზრდის ხელშეწყობას. კონვენცია განიხილება როგორც გარემოს, ისე დემოკრატიის დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტად, რომელსაც დიდი გლობალური მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, მას შეიძლება მიუერთდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა. იგი ხშირად მოიხსენიება როგორც რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპის განხორციელების მოდელი. კონვენცია ეფუძნება საზოგადოების მონაწილეობის სამ პრინციპს, რომელთაც ხშირად სამ საყრდენს უწოდებენ: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.<sup>65</sup>

<sup>64</sup> კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>65</sup> 1992 წლის 3-14 ივნისს, რიო-დე-ჟანეიროში, ჩატარებული გაეროს კონფერენციაზე „გარემო და განვითარება“ მიღებული დეკლარაციის მე-10 პრინციპი.

ორპუსის კონვენცია არის პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც პირდაპირ აყალიბებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებზე დაფუძნებულ მიღებობას. კონვენციის პირველი მუხლი ადგენს კონვენციის ძირითად მიზნებს და განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყონ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის უფლებების განხორციელება და დაცვა.

ორპუსის კონვენცია ადგენს ზემოაღნიშნული უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და არ ზღუდავს მხარეებს, განახორციელონ დონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფრო ფართო ხელმისაწვდომობას და გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და სამართალწარმოებაში საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას.<sup>66</sup> ამასთანავე, კონვენციის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნული, მოქალაქეობრივი ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით.

ორპუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე, ყველა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოსა (მათ შორის, მუნიციპალურ, სატრანსპორტო და სხვა) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. ორპუსის კონვენცია საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებებსა და რეალურ შესაძლებლობებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, კონკრეტულ თუ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მისაღებად. ახდენს მათ აღჭურვას სასამართლო დაცვის საშუალებებითა და მართლმსაჯულებაზე გამარტივებული ხელმისაწვდომობით. მთავრობებზე ამ სფეროში მკაფიო ვალდებულებათა დაკისრებით, კონვენცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მეტ გამჭვირვალობას, მის უფრო ეფექტურ ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას, რაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, რეალური გავლენა მოახდინონ გარემოსთან

<sup>66</sup> კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი შესაძლებლობები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვნენ და მეტი ცოდნა მიიღონ გარემოს პოტენციურ რისკებსა და საშიშროებებზე, რომლებიც მათ, მათს ოჯახებსა თუ ადგილობრივ თემს ემუქრება. კონვენცია ასევე იძლევა სახელმწიფოს მონიტორინგის, ინსპექტირებისა და აღსრულების გაძლიერების, გარემოსდაცვითი დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობას საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვის ხარჯზე.<sup>67</sup>

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოთა ვალდებულება გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით იყოფა ორ ნაწილად: საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

კონვენცია ადგენს, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, თუკი მასზე არ ვრცელდება კონვენციით დადგენილი გამონაკლისები<sup>68</sup>. ამასთანავე, კონვენცია ადგენს, რომ სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობის ჩარჩოებში ვერ ჯდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, შეაგროვონ და განაახლონ მონაცემები გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ, რაც გულისხმობს წერილობით, აუდიოვიზუალურ, ელექტრონულ ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობას, როგორებიცაა: ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.<sup>69</sup>

<sup>67</sup> ორპუსის კონვენციის განხორციელება, სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის, 2004, გვ. 43.

<sup>68</sup> ორპუსის კონვენცია, მე-4.3. და მე-4.4 მუხლები.

<sup>69</sup> ორპუსის კონვენცია, მე-2.3 მუხლი.

გარდა ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისა, ორპუსის კონვენცია ადგენს ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულებას. კონვენცია საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტს სამ სხვადასხვა კატეგორიად მიჯნავს<sup>70</sup>: საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ნებართვები, ლიცენზიები); საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული; საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

კონვენციის თანახმად თითოეული მხარე ვალდებულებას კისრულობს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრულ საქმიანობებზე ლიცენზიებისა და ნებრთვების გაცემისას გამოიყენოს კონვენციის დებულებები და მოახდინოს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატური ინფორმირება.<sup>71</sup> ამასთანავე, კონვენცია ადგენს საზოგადოების მონაწილეობის რეალური განხორციელებისათვის სავალდებულო მოთხოვნილებებს, რაც დაინტერესებული საზოგადოების დროულ და ეფექტური ინფორმირებაში, მათ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე ჩართვაში უნდა გამოვლინდეს. კონვენციის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია „მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების“ და „გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში“<sup>72</sup>.

გარემოს მართვისადმი სამართლებრივი რეგულირების შემოღების საფუძველი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაა. საზოგადოების მონაწილეობა ამგვარი ნორმატიული დოკუმეტების შემუშავების ადრეულ ეტაპზე რეალურად შექმნის მათი მაქსიმალურად სრულყოფილი სახით შემუშავების შესაძლებლობას. ამ მხრივ კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს ხელი შეუწყონ საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ

<sup>70</sup> ორპუსის კონვენცია მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები.

<sup>71</sup> ორპუსის კონვენცია მე-6 მუხლი.

<sup>72</sup> ორპუსის კონვენცია მე-7 მუხლი.

ნორმატიული დოკუმენტების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე, ამისათვის დაადგინონ გონივრული გადები, უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის დროული მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის და მისცენ მათ შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით, რომლებიც შეძლებისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.<sup>73</sup>

ორპუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის გარდა, ადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების რეგულირების მექანიზმებს. კონვენცია მიჯნავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის სამ ძირითად საფუძველს: თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; თუ დაინტერესებულ მხარეს უსამართლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე; თუ დაინტერესებულ მხარეს ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმციის შესახებ.

კონვენციაში დამატებით განსაზღვრულია ის დარღვევები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს ორპუსის კონვენციის დებულებათა შესაბამისად: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა; გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების დარღვევა; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა ზოგადად. კონვენცია ადგენს, რომ ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს საჯარო დაწესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება დაირღვა და რომელიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა, თავისდავად, ეს არის ბერკეტი გარემოსდაცვითი სამთავრობო დაწესებულებების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რაც მათ აიძულებს იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობის ფარგლებში.<sup>74</sup>

<sup>73</sup> ორპუსის კონვენცია მე-8 მუხლი.

<sup>74</sup> R.Eckersley, Greening Liberal Democracy: The Rights Discourage Revisited, in Brian Doherty and Marius de Geus (eds.), *Democracy and Green Political Thought*, 230 (1996).

კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების დარღვევის გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოში, ან სხვა, კანონით დადგენილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში. ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული პროცედურის შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს შესასრულებლად ინფორმაციის მფლობელ საჯარო დაწესებულებისათვის. კონვენციით განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულებები მართლმსაჯულების პროცედურებთან დაკავშირებული ფინანსური თუ სხვა სახის დაბრკოლებების აღკვეთის თაობაზე. საინტერესოა, რომ ორჟუსის კონვენციის ფუძემდებლებს მართლსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპის გარანტიების ხელშეკრულებაში გამტკიცებისათვის რეალური საფუძვლები ჰქონდათ, ერთი მხრივ, ეს იყო ადმინისტრაციული და სასამართლო გარჩევების პროცედურების ვადების დარღვევა, ხოლო მეორე მხრივ, იმ გადასახადების არაგონივრული ოდენობები, რომლებიც პროცესის მხარეებს უნდა გადაეხადათ, რაც თავისთავად მათთვის დამატებით დაბრკოლებას ქმნიდა. სწორედ ამ დაბრკოლებები აღმოფხვრის მიზნით, კონვენციამ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების პროცედურა არ უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის უკიდურესად ძვირადღირებულ ღონისძიებას, პროცედურები უნდა იყოს დროული, ხოლო მათ შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.<sup>75</sup>

ამგვარად, ორჟუსის კონვენცია არის პირველი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც გლობალურ დონეზე განსაზღვრა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ძირითადი მიმართულებები და კომპილირება გაუქეთა ყველა, მანამდე არსებულ საერთაშორისო თუ რეგიონულ დოკუმენტს ამ სფეროში, რომლებიც, მართალია, გარკვეულ დებულებებს ადგენენ ამ მიმართულებით, მაგრამ მაინც საქმაოდ ზოგადი ხასიათის გამო ნაკლებად გამოიყენებიან თეორიასა და პრაქტიკაში.

საინტერესოა, რომ ორჟუსის კონვენციამ შექმნა მანამდე არარსებული სტანდარტი და სამართლებრივი მექანიზმი ეკოლოგიური უფლებების

<sup>75</sup> ორჟუსის კონვენცია მე-9 მუხლი.

დასაცავად. ამ კონვენციასა და გაეროს ეგიდით შემუშავებულ სხვა ხელშეკრულებებს შორის შედარებითი ანალიზისას თვალწათელია, რომ ორპუნქტუალური კონვენცია არის პირველი უნივერსალური ინსტრუმენტი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. რამეთუ, ინდივიდისთვის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ფლობს ობიექტურ ინფორმაციას მისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ, თუ იგი ჩართულია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადრეულ ეტაპზევე და თუ მას მისი ეკოლოგური უფლებების დარღვევისას ხელი მიუწვდება მართლმსაჯულებისადმი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კონვენცია არ ზღუდავს ინდივიდებს სხვადასხვა ბიუროკრატიული მექანიზმებით და მათთვის ინფორმაციის საჯაროობას თვით სახელმწიფო უმაღლეს ორგანოთა უშუალო მოვალეობად მიიჩნევს. ამასთანავე, კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს უფლებას აძლევს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრონ დამატებითი ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს გაამყარებენ.

## 2.12. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ღოკუმენტის შემუშავების პრესენტივა

გარემოს დაცვის სფეროში გაეროს ეგიდიო შემუშავებული ათეულობით ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიუხედავად და იმის გათვალისწინებით, რომ კაცობრიობა ქვეცნობიერად ყოველთვის ისწრაფოდა და კვლავ მიისწრაფვის ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში დამოუკიდებელი საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავებაა საჭირო.<sup>76</sup> დღესდღეობით კაგშირი ეკოლოგიასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის, როგორც წინამდებარე კვლევაში დადასტურდა, ძალზე აქტუალურია საერთაშორისო სამართალში, ამდენად დღის წესრიგში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით ახალი საერთაშორისო დოკუმენტების შექმნის საკითხიც დადგა (Lex Ferenda).

წიგნში „საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი და პოლიტიკა“<sup>77</sup> დეტალურადაა განხილული, თუ როგორ შეიძლება გაჩნდეს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა დაცვის სრულიად ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტი „სუფთა გარემოს პრინციპის“ აქტუალიზაციაზე დაფუძნებით.

სტოკოლმის დეკლარაციის მეშვეობით საერთაშორისო საზოგადოებამ საყოველთაოდ აღიარა ეკოლოგიური უფლებები. დეკლარაციის პირველივე პრინციპმა განსაზღვრა, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია ფუნდამენტალური უფლება იყოს თავისუფალი, თანასწორი და იცხოვროს მისი არსებობისათვის ადეკვატურ გარემოში, ისე რომ სათანადოდ დაცული იქნეს მისი კეთილდღეობა და ლირსება. ხოლო, 1992 წლის რიოს დეკლარაციის პირველი მუხლი განსაზღვრავს: „მდგრადი განვითარების საფუძველი ადამიანია. მას მინიჭებული აქს გარემოსთან ჰარმონიზებული ჯანმრთელობისა და პროდუქტიული არსებობის უფლება.“ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალისა და პოლიტიკის შესახებ წიგნის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს ფრაზა მეტის-მეტად ზოგადია და კეთილ სურვილებს უფრო წააგავს, ვიდრე რაიმე სამართლებრივ საფუძველს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მიიჩნევენ, რომ ეს პრინციპი მნიშვნელოვანი წინაპირობაა შემდგომი შესაბამისი სამართლებრივი

<sup>76</sup> D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1325.

ურთიერთობების წარმოქმნისათვის. თუმცა, უფრო ეფექტიანი და ეკოლოგიურად გამართლებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნისა და განვითარებისათვის საჭიროა უფრო მკაფიოდ და სათანადოდ გაიმიჯნოს უშუალოდ ეკოლოგიური უფლებები და მას დამოუკიდებელი ფორმულირება მიეცეს, როგორც ადამიანის უფლებების სამართლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. მაგრამ, ამ საკითხის აღმოცენებასთან ერთად, ხშირად ჩნდება მრავალი შეკითხვა – როგორ უნდა განიმარტოს ეკოლოგიური უფლება? – რა განზომილებები უნდა იქნეს დაცული და რომელი გარემოვლენა იქნეს ჩათვლილი უსაფრთხოდ? გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზისას თვალწათელია, რომ სიტყვა „გარემოს“ ყოველთვის თან სდევს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა - „სუფთა“, „ჯანმრთელი“, „დამაკმაყოფილებელი“, „ეკოლოგიურად გაწონასწორებული“, „შესაფერისი“, „სიცოცხლისუნარიანი“ და „მდგრადი“. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეკოლოგიური და ეკონომიკური უფლებები ურთიერთ დაბალანსების საფუძველზე უნდა განვითარდეს, თუ ეკოლოგიური უფლებები მხოლოდ მაშინ უნდა გავააქტიუროთ, როცა ეს ეკონომიკურ ურთიერთობებს სრულებით არ შეეხება?

ზემოაღნიშნული წიგნის ავტორები აანალიზებენ იმ ზოგად ნორმატიულ საფუძვლებს, რომლებიც ეკოლოგიურ უფლებათა შესახებ ცალკე დოკუმენტს საფუძვლად უნდა დაედოს. მათი აზრით, ეკოლოგიური უფლება, გარდა სამართლებრივი ინსტრუმენტისა, მორალურ, დაუწერელ უფლებადაც გვევლინება. ეკოლოგიური უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის მკაფიოდ გამიჯვნის მიზნით, ავტორები ამ მიმართულებით ოთხი ძირითად პოზიციას გამოყოფენ: ა) შესაფერის გარემოში ცხოვრების უფლება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია; ბ) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური უფლებები გარემოს დაცვის საფუძველია; გ) ხელშეკრულებები, მათ შორის, ეკოლოგიური, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებთ დაიცვან ხელშეკრულებებით განსაზღვრული დებულებები, მათ შორის, ეკოლოგიური უფლებები; დ) ამ ეტაპზე არ არსებობს არანაირი საერთაშორისო

<sup>77</sup> D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1328-1335.

მრავალმხრივი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებს უველა მიმართულებით განსაზღვრავდა.<sup>78</sup>

ამ მიზნით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქვეკომისიის მიერ 1994 წელს შემუშავებულია პრინციპების პროექტი ადამიანის ეკოლიგიური უფლებების დაცვის სფეროში<sup>79</sup>, რომელიც ანგარიშის სახით იქნა მომზადებული. ეს ანგარიში მიჯნავს კავშირს ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვის საკითხებს შორის და ადგენს, რომ შეუძლებელია ადამიანმა სრულყოფილად ისარგებლოს საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებებით, თუ მას ელემენტარულად ჯანსაღ გარემოში ჯანსაღი ცხოვრების და მუშაობის შესაძლებლობა არ გააჩნია. ანგარიშში მომხსენებლის მიერ ხაზგასმულია, რომ დეკლარაციის ეს პროექტი „დაეხმარება გაეროს . . . დამაკმაყოფილება გარემოში ცხოვრების უფლების შესახებ კონსოლიდირებული დოკუმენტის შედგენისას.“<sup>80</sup> პროექტი მთლიანად ეყრდნობა რიოსა და სტოკოლმის დეკლარაციების პრინციპებს და ადგენს - „უველას აქვს უფლება იცხოვოს უსაფრთხო, ჯანსაღ და ეკოლოგიურიად სუფთა გარემოში.“

ანგარიში განხილულ იქნა გაეროს მიერ, მოწონებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქვეკომისიის მიერ, მაგრამ არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მხოლოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის სახელმწიფოთა სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე განხილვის შესახებ.<sup>81</sup>

ნათელია, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის პროცესში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ იქნა ათეულობით ნორმატიული დოკუმენტი. თუმცა, ამან, არ გამორიცხა ამ სფეროში ახალი დოკუმენტის შემუშავების დღის წესრიგში დაყენების საკითხი. მარგამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ინიციატივა წარმოიშვა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შემუშავებული არ იყო ორპუსის კონვენცია, რომელმაც პრაქტიკულად

<sup>78</sup> D.Hunter, J.Salzman, D.Zaelke, International Environmental Law and Policy , 1999, 1327.

<sup>79</sup> Human Rights and the Environment, Final report prepared by Mrs Fatma Zohra Ksentini, Special Rapporteur, UN Doc. E/CN.4/Sub.2/1994/9.

<sup>80</sup> M. Dejeant-Pons, M. Pallemans, Human Rights and the Environment (Prefaces, W. Schwimmer former Sec. General of the COE), 2002, 14.

<sup>81</sup> იქვე. 15.

დაარეგულირა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ძირითადი მიმართულებები ისე რომ, არ გამოურიცხავს სხვა ხელშეკრულების დადების საკითხიც.

დასკვნის სახით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ რეალურად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში ახალი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტის შემუშავება განსაკუთრებულ საჭიროებას არ ქმნის, რამეთუ, გარდა ორჟუსის კონვენციით პირდაპირ განსაზღვრული ეკოლოგიური უფლებებისა, არსებობს ათეულობით უნივერსალური და რეგიონული ხელშეკრულება, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც ადგენენ ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს.



## 2.2. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საფუძვლები ეპოგასთიანების სამართლის მიხედვით

ეკოლოგიური უფლებების საერთაშორისო მასშტაბით განხილვისას უერადსალებია ევროპის გაერთიანების სამართლის მიმოხილვაც, რადგან სწორედ ევროკავშირმა ჩამოაყალიბა და განავითარა გარემოსდაცვითი სამართლი იმ სახით, რათა მოხდეს ბუნებრივი რესურსების ისეთი მდგრადი მოხმარება, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი არ შეუშალოს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვას.

ევროპის გაერთიანების შექმნის დასაწყისად მოიაზრება პარიზის 1951 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა, და აგრეთვე 1957 წლის რომის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ექვსმა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ეგრატომის დამფუძნებელ დოკუმენტებს.<sup>82</sup> მათი შექმნის მიზანს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა წამოადგენდა. რომის ხელშეკრულების დადებიდან ორმოცდაათამდე წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა თავი დაიმკვიდრა როგორც მსოფლიოს წამყვანმა ძალამ და მისი ამჟამინდელი საქმიანობა სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს წევრი ქვეყნების მოქალაქეების ცხოვრებაზე. ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოთათვის სამართლებრივ დონზე დადგენილია გარკვეული მოთხოვნები, რომელთა სათანადო აღსრულებასა და პატივისცემაზეა დაფუძნებული მოელი გაერთიანების სამართლებრივი სისტემა. ევროპის კავშირი, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნის სანიმუშო მაგალითი, წევრ სახელმწიფოებს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის პრინციპის პატივისცემას უსახავს მიზნად, რისი უგულებელყოფა მკაცრად კონტროლდება და ისჯება ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი სამართლით.

რომის ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული არანაირი იურიდიული ნორმა გარემოს დაცვის და, მით უმეტეს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის ერთიანი პოლიტიკის შესახებ. თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია ევროპის

ერთიანი პოლიტიკის განვითარებისათვის გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიმართულებით.<sup>83</sup> გარდა პოლიტიკის განვითარებისა, აქტიურად დაიწყო ევროპული ეკოლოგიური სამართლის განვითარებაც, რაც მეტწილად ევროპული პრეცედენტული სამართლის ზეგავლენით იყო განპირობებული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციები ხშირ შეთხვევაში მოიცავენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს<sup>84</sup>, მაშინ როცა ევროგაერთიანების არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი ამგვარ სამართლებრივ საფუძვლებს არ ადგენს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულება აცხადებს, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას<sup>85</sup> და ერთმანეთის კონსტიტუციებს.<sup>86</sup> თუმცა, სამწუხაროდ, ევროპული კონვენცია არ შეიცავს ეკოლოგიური უფლებების დაცვის პირდაპირ გარანტიებს და არც წევრი სახელმწიფოები კონსტიტუციების შესაბამისი მუხლები გამოირჩევიან შეუვალი სიმკაცრით.

მიუხედავად არსებული სამართლებრივი ხარვეზებისა, დღევანდელი საერთო ევროპული სამართალი მაინც რჩება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტად, რადგან ადგენს იმგვარ პირობებს მათ დასაცავად, რომელთა განუხორციელებლობის შემთხვევაში თვით ევროკავშირის დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარების პერსპექტივები დადგება ეჭვება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის საქართველო, მთელი თავისი საკანონმდებლო სივრცით, მიისწრაფვის ევროკავშირისაკენ, მეტად საინტერესოა მიმოხილულ იქნეს ის ევროპული სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა საერთო ევროპულ სივრცეში.

<sup>82</sup> მდროისთვის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ: ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და დასავლეთ გერმანია.

<sup>83</sup> S. Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union, Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson, 1996, 109.

<sup>84</sup> მაგალითად, ესპანეთისა და პორტუგალიის კონსტიტუციები.

<sup>85</sup> ECHR. Rome, 1950.

<sup>86</sup> Treaty of European Union, Official Journal C 191, 29 July 1992. Article F (2).

არ არის გასაკვირი, რომ ამ სფეროში ევროგაერთიანების კომპეტენციის განსაზღვრის არარსებობის გამო გაერთიანების პოლიტიკა გარემოს დაცვის სფეროში ვითარდებოდა ნაკლებად შესამჩნევი, თავისებური სახით. მინისტრთა საბჭომ მხოლოდ 1985 წელს შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა გაერთიანებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. და მაინც, 1973 წლიდან მოყოლებული, საბჭომ მიიღო ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამების სერია, რომელმაც დაბინძურების სერიოზული პრობლემებისადმი სასწრაფო საპასუხო ქმედებებს, საბოლოოდ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთო სტრატეგიის ფორმა მისცა. ძირითადად სფეროებში, რომლებზედაც ევროკავშირმა განსაკუთრებით გაამახვილა ურადღება, შედის: წყლის დაბინძურება, ატმოსფეროს დაბინძურება, ხმაური, ქიმიური პროდუქტები, ნარჩენები.

ევროკავშირი არის 1979 წლის ბერნის კონვენციის წევრი, რომელიც ველური ბუნების შენარჩუნებას ეხება. წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს რეკომენდაცია შეუერთდნენ 1971 წლის რამსარის კონვენციას. მინისტრთა საბჭომ მიიღო რამდენიმე დირექტივა გარეული ფრინველების დაცვის სფეროში, ამასთანავე მიღებულ იქნა დირექტივები, რომლებიც ახდენენ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების, მოტოციკლების, ტრაქტორების, ზოგიერთი თვითმფრინავის, გაზონების გასაკრეპტი მანქანების და სამშენებლო ტექნიკის ხმაურის მაქსიმალური დონის დადგენას.

1977 წელს ჩრდილოეთ იტალიაში სევეზოს კატასტროფის შემდეგ, რამაც მაღალი ტოქსიკურობის დიოქსინით დიდი ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვია, გადადგმულ იქნა სერიოზული ნაბიჯები ქიმიური ნივთიერებების წარმოებით და გავრცელებით შექმნილი რისკის შესამცირებლად. 1986 წლიდან მოქმედებს არსებული ქიმიური ნივთიერებების ინგენტარიზაციის ევროპული სამმართველო, რომელიც აქვეყნებს ბაზარზე არსებული ქიმიური პროდუქტების სიას, რაც შესაძლებელს ხდის მათ დაქვემდებარებას შეტყობინების, შეფასებისა და კონტროლის საზოგადო პროცედურებისადმი. ასევე მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები ქლოროფლუროკარბონატის წარმოებიდან ამოღების შესახებ.

ამასთანავე, ევროკავშირში გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამ მიზნით შემოღებულ იქნა დასაშვები ნივთიერებების სია და სისუფთავის ევროპული

სტანდარტები ისეთი საკვები დანამატებისა, როგორებიცაა: საღებავები, აქტიოქსიდანტები, ემულგატორები, სტაბილიზატორები და შემსქელებლები. ამდენად, ევროპის ხალხთა ისტორიულმა მიღწევებმა, მათმა კულტურამ, ენერგიამ და ადაპტაციის უნარმა უზრუნველყო გარემოს დაცვის სფეროში მათი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოში, რომელშიც სხვა ხალხები და რეგიონებიც სავსებით სამართლიანად მიისწრაფვიან ამ სფეროში მათი როლის სრულფასოვნად შესრულებისაკენ.

## 2.2.1. ეპოგასთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით

ადამიანის უფლებების დაცვა ეპოგასთირის სამართლის და პოლიტიკის უმნიშვნელოვანების ელემენტია. ზოგადად ადამიანის უფლებების კონცეფცია საკმაოდ დინამიკურია. ის მუდმივად იცვლება და ფაროვდება, რაც ეპოგის გაერთიანების სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების ისტორიამაც დაადასტურა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ურყავი იდეა, რომ ყოველ ადამიანს აქვს განუყოფელი და სამართლებრივად დაცული უფლებები.

დღესდღეობით მეცნიერთა შორის საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა უფლებების სხვადასხვა „თაობებისადმი“ მიკუთვნების შესახებ. განსხვავება ამ უფლებებს შორის მართლაც შესამჩნევია. პირველ თაობას მიეცუთვნება ადამიანის დაცვა სახელმწიფო ჩარევისაგან, მეორე თაობას ეპუთვნის სოციალური უფლებები, მაგალითად, შრომისა და განათლების უფლება. არსებობს მესამე თაობის უფლებებიც, რომელთა შორისაა მშვიდობის უფლება, თვითგამორკვევის უფლება, განვითარების უფლება, უმცირესობათა უფლებები და ეკოლოგიური, იმავე ჯანსაღ გარემოში არსებობის უფლება.

„ეპოგელებს აქვთ უფლება იცხოვონ სუფთა და ჯანსაღ გარემოში“ - აცხადებენ ეპოგელი გარემოსდამცველები და ამ უფლებას ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებს შორის მოიაზრებენ.<sup>87</sup> თუმცა, ეპოგელების წინაშე დღესდღეობით აქტიურად დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების იმგვარი გამოყენება, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებები სათანადოდ იქნეს დაცული. ამ აზრამდე ეპოგელები სწორედ ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენებით და გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მიიყვანეს, რამაც ეპოგელ გარემოს და ეპოგელების ჯანმრთელობას საკმაოდ სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ეკოლოგიური უფლებების დაცვისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ცნობილმა მეცნიერმა მაქვილონ დეჟან-პონმა განაცხადა, რომ - „ადამიანის უფლებათა ეპოგელი სასამართლო აკეთებს ყველაფერს და კიდევ უფრო მეტს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სასამართლო

<sup>87</sup> C. Harper, Environment and Society: Human Perspectives on Environmental Issues, 1996, 39.

წესით დაცვა იმ საშუალებებით, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს“. ამის ნათელი მაგალითია საქმეები ნარჩენების გაფრქვევის შესახებ ესპანეთში, მეთანის აფექტება თურქეთში, ხმაური ლონდონის საპაერო ტერიტორიაზე.<sup>88</sup> თუმცა, სამწუხაროდ, მრავალი საქმე, მხოლოდ იმის გამო, რომ კონვენცია პირდაპირ არაფერს ადგენს ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ევროპული სასამართლოს განხილვის მიღმა დარჩა. თუმცა ერთი საკითხი უდავოა და ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს, ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ევროპელისთვის,<sup>89</sup> „უფლება იცოდე არსებობს, თუმცა მისი სათანადო აღსრულება გერ ხერხდება“ - აცხადებს ლუდვიგ კლარკი, ევროკომისიიდან.<sup>90</sup>

ეკოლოგიური უფლებების დასაცავად ევროკავშირის ტერიტორიაზე ბევრი რამ კეთდება, მიუხედად იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც სამართლებრივ დონეზე მაინც არსებობს აღმოუფხვრელი. ამ მიმართულებით ევროკავშირის ინსიტუტების საქმიანობაში სამი მიმართულება იგეთხა - გარემოს თვისობრივი შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება; ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა; ბუნებრივი რესურსების გონიერული და რაციონალური გამოყენება.

ამ სფეროში ევროგაერთიანების კომპეტენციის სათავეებიდან დაუდგენლობის გამო გაერთიანების პოლიტიკა ვითარდებოდა ნაკლებად შესამჩნევი, თავისებური სახით. 1973 წლიდან მოყოლებული მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამების სერია, რომლებმაც დაბინძურების სერიოზული პრობლემებისადმი სასწრაფო საპასუხო ქმედებებს, საბოლოოდ, გარემოს და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთო სტრატეგიის ფორმა მისცა. ძირითად სფეროებში, რომელთა ხელყოფა განსაკუთრებით საშიშროებას უქმის ადამიანის ჯანმრთელობას და რომლებზედაც ევროკავშირმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება, შედის:

წყლის დაბინძურების - ამ მხრივ ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ იქნა მრავალი დირექტივა, რომლებიც ეხება ზედაპირული, მიწისქვეშა, მტკნარი თუ მლაშე წყლის დაცვას დაბინძურებისაგან, რაც ხშირად ადამიანების დაავადებას

<sup>88</sup> Green Week Session: Your Environmental Rights, Environment for Europeans, Magazine of the Directorate-General for the Environment, Issue 17, 2006, 43.

<sup>89</sup> Council Directive 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990); Resolution of 19 October 1987 on the continuation and implementation of a European Community policy and action programme on the environment (1987 to 1992).

<sup>90</sup> იქვე.

იწვევს. შემოდგებულ იქნა ხარისხის სტანდარტები საბანაო, სასმელ წყალზე. მკაცრად კონტროლდება წყალში ტოქსიკური ნივთიერებების ჩაღვრა.<sup>91</sup>

ატმოსფეროს დაბინძურება - გარემოს დაბინძურების პირველწყარო, რაც ძირითადად ევროპის ინდუსტრიული პროგრესით არის გამოწვეული. გამონაბოლქვი ქარხნებიდან, მანქანებიდან იწვევს ტყეების მასშტაბურ განადგურებას მეავე წვიმებით და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მხოლოდ 1987 წლის ივლისში, საგანგებო ევროპული აქტის მიერ გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა დირექტივების სერია ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების შესახებ.<sup>92</sup>

ხმაური - ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა დირექტივები, რომლებიც ახდენენ მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, თვითმფრინავების, გაზონების საკრეჭი მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის ხმაური მაქსიმალური დონის დადგენას.<sup>93</sup>

ქიმიური პროცესები და ნარჩენები - 1977 წელს ჩრდილოეთ იტალიაში სევეზოს კატასტროფის შემდეგ, რამაც მაღალი ტოქსიკური დიოქსინით დიდი ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვია, გადადგმულ იქნა უკიდურესი ნაბიჯები ქიმიური ნივთიერებების წარმოებით და გავრცელებით წარმოქმნილი რისკის შესამცირებლად.<sup>94</sup> ამ მიზნით 1982 წლიდან მიღებულ იქნა მთელი რიგი დირექტივებისა. 1975 წლიდან ძალაში შევიდა გაერთიანების წესები ნარჩენების

<sup>91</sup> Council Decision of 7 October 1997 on the conclusion of the Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic; Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy; The Council in its resolution of 28 June 1988(5) asked the Commission to submit proposals to improve ecological quality in Community surface waters; Council Directive 80/68/EEC of 17 December 1979 on the protection of groundwater against pollution caused by certain dangerous substances.

<sup>92</sup> 2001/379/EC: Council Decision of 4 April 2001 on the approval, on behalf of the European Community, of the Protocol to the 1979 Convention on Long-range Transboundary Air Pollution on Heavy Metals.

<sup>93</sup> Corrigendum to Directive 2004/40/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (electromagnetic fields) (18th individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC) (Official Journal of the European Union L 159 of 30 April 2004); Directive 2003/10/EC of the European Parliament and of the Council of 6 February 2003 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (noise) (Seventeenth individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC).

<sup>94</sup> Corrigendum to Directive 2004/26/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 amending Directive 97/68/EC on the approximation of the laws of the Member States relating to measures against the emission of gaseous and particulate pollutants from internal combustion engines to be installed in non-road mobile machinery (OJ L 146, 30.4.2004).

შეგროვების, განთავსების, გადამუშავების და ხელახალი გამოყენების შესახებ.<sup>95,96</sup>

1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა ევროგაერთიანების მიერ გარემოს მართვისადმი და, შესაბამისად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვისადმი უფრო განსაზღვრული და სისტემური მიღების შემოღების აუცილებლობა. 1991 წელს მასტრიხტის სამიტზე მიღწეული ევროკავშირის ხელშეკრულებით რომის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ახალი ნაწილი გარემოს დაცვის შესახებ, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროგაერთიანების კომპეტენცია. 1997 წლის ივნისის ამსტერდამის ხელშეკრულებამ „გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების და დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა“ გაერთიანების მიზნის დონემდე აამაღლა და ევროპარლამენტის ძალაუფლება განავრცო გარემოს დაცვის, მათ შორის, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში.<sup>97</sup> ხელშეკრულება 35-ე და 37-ე მუხლებში ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის სტანდარტებს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გაერთიანების პოლიტიკისა და შესაბამისი საქმიანობების განხორციელების შესაბამისად. ხელშეკრულებაში აგრეთვე ხაზგასმულია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და პრიორიტეტი.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განვითარებაში ევროგაერთიანების როლზე საუბრისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და სასამართლო პრაქტიკას, რაზედაც მომდევნო თავებში სათანადო ყურადღებაა გამახვილებული. ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით ევროპულმა პრეცედენტულმა სამართალმა დაადასტურა, რომ კონვენციის ზოგიერთი მუხლის სხვადასხვა ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლებელია ამ უფლებების დაცვა, მაგრამ, სამწუხაოდ, არა ყოველთვის.<sup>98</sup> ამგვარი იყო საქმეები ლოპერა თხებრა ესპანეთის წინააღმდეგ

<sup>95</sup> დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, 2002, გვ. 267-269.

<sup>96</sup> REGULATION (EC) No 850/2004 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 April 2004 on persistent organic pollutants and amending Directive 79/117/EEC; Commission Decision 2000/532/EC of 3 May 2000 replacing Decision 94/3/EC establishing a list of wastes pursuant to Article 1(a) of Council Directive 75/442/EEC on waste and Council Decision 94/904/EC establishing a list of hazardous waste pursuant to Article 1(4) of Council Directive 91/689/EEC on hazardous waste (OJ L 226, 6.9.2000, 3). Decision as last amended by Council Decision 2001/573/EC (OJ L 203, 28.7.2001, 18).

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> ევროპული კონვენციის მე-2, მე-8, მე-10, დამატებითი პირგელი ოქმის პირველი მუხლი.

(*López Ostra v. Spain*)<sup>99</sup>, და ფაუკლი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)<sup>100</sup>. ამ საქმეებში მოსარჩელეების მტკიცებით გარემოს მდგომარეობის გაუარესება (ხმაური ლონდონის ჰისროუს აეროპორტიდან, სუნითა და კვამლით ჰაერის დაბინძურება) მათს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახებოდა და შესაძლებელი იყო ასახულიყო<sup>101</sup>. მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებული მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათს პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობას. საინტერესოა საქმე ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ (*Fredin v. Sweden*)<sup>102</sup>, სადაც მოსარჩელე მხარის განცხადებით, სახელმწიფომ დაარღვია მისი საკუთრების უფლება და გაუუქმა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწიდან წიაღისეულის მოპოვების ნებართვა. ამ საქმეზე სასამართლომ სახელმწიფოს პოზიცია გაამართლა და მისი ქმედება გარემოს, როგორც საზოგადოების ჯანმრთელობის უმთავრესი გარანტის, დაცვით ახსნა. ამ საქმიდან ნათლად ჩანს, რომ საერთო ევროპული მიდგომა ეკოლოგიური უფლებებისადმი არაერთგვაროვანია და ხშირად, დემოკრატიული და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ზღუდავს ინდივიდუალურ ინტერესებს.

---

<sup>99</sup> *López Ostra v. Spain*, Case 41/1993, judgment of 9 December 1994.

<sup>100</sup> *Powell and Rayner v. the United Kingdom*, Application № 9310/81.

<sup>101</sup> D.Garcia San Jose, Environmenatl Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 11.

<sup>102</sup> ECHR, Ser.A, No.192, 1991, 6; ასევე: Desgagne, *Environmental Values and Human Rights In Europe*, 89 AJIL. 1995, 263.

## 2.2.2. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ეპრობაერთიანების სამართლის მიხედვით

ზოგადად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ეკოლოგიურობის სამართლებრივი დაკვირვებისას თვალწიფლივ ჩანს, რომ გაერთიანება სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ დონეზე ქმნის მაქსიმალურ ბერკეტებს, რათა მოხდეს ამ უფლებების რეალიზება და სამართლებრივი გარანტირება. ამასგვერ ადასტურებს ეკოლოგიური პრეცედენტული სამართლიც, რომელიც ისეთივე ახალგაზრდაა, როგორც თვითონ ეკოლოგიური სამართლი და, მით უმეტეს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის ინსტიტუტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, რომ ეკოლოგიურობაში შექმნილი და მოქმედი ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა დაცვის სტანდარტები სხვა სახელმწიფოებრივი მაც, მათ შორის, საქართველომაც, გაითავისონ და შექმნან მათი დანერგვისა და აღსრულების რეალური საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მექანიზმები.

პარადოქსულია, მაგრამ ადამიანის საკეთილდღეოდ ბიოსფეროსა და ზოგადად ბუნების შენარჩუნების ცნობიერება კაცობრიობის განვითარებას მუდამ თან სდევდა, თუმცა ცოტა რამ თუ კეთდებოდა ამ მიმართულებით. დღეს, როდესაც განვითარებულმა ეკორკავშირმა ადამიანის უფლებების, მათ შორის, ეკოლოგიური უფლებების დაცვის უმაღლეს დონეებს მიაღწია, დანარჩენმა სამყარომაც უნდა გაითავისოს ეს გამოცდილება და ისე, როგორც არასდროს, ერთად უნდა დადგეს გარემოს დასაცავად ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

ეკორკავშირის გამოცდილებაზე საუბრისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს იმის გარკვევას, თუ კონკრეტულად რა ადგილი უკავია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას ეკოლოგიურ სამართლში. ამ მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, იდენტიფიცირებული უნდა იქნეს ის ძირითადი მიმართულებები და სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც გაერთიანება მართავს ამ მეტად დელიკატურ და სათუთ სფეროს. ძირითად მიმართულებებში იგულისხმება ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების გამიჯვნა იმ ძირითადი ასპექტების მიხედვით, რომელიც საბოლოოდ ერთ მთლიანობას ქმნის.

რომლებია ეს ასპექტები? რა უდევს მათ საფუძვლად? საგარაუდოდ ეს ასპექტებია:

- უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ;
- უფლება სამართლიან და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე;
- უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ამგვარი დიფერენციაცია იმის დასტურია, რომ ეს უფლება, ევროკავშირის სამართლის მიხედვით აღიარებულია როგორც არსებითი უფლება, რომელიც ინდივიდის აქტიური და პოზიტიური უფლებების რეალიზაციაში გამოიხატება. ამგვარი მიღგომა ნათლად ადასტურებს ევროგაერთიანების დემოკრატიულ მიზნებს, რომლის უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა.

თავისთავად ევროგაერთიანების ეკოლოგიური სამართალი ახალი და სწრაფად განვითარებადი სფეროა. 1960 წლის შემდეგ დაიწყო პირველი დირექტივების გამოცემა ამ მიმრთულებით, რომლებიც ძირითადად 1957 წლის რომის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ეყრდნობოდნენ, რადგან ამ დროისათვის არ არსებობდა სპეციალური სამართლებრივი აქტები ამ მიმართულებით. მხოლოდ 1972 წლის გაეროს ეგიდით ჩატარებული სტოკოლმის კონფერენციის შემდეგ (კონფერენცია - გარემო ადამიანისათვის), ევროგაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა პარიზის კონფერენციაზე მიიღეს დეკლარაცია, რომელიც სპეციფიკურ ევროპულ ეკოლოგიურ სამართალს ქმნიდა. „ევროპული ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გარემოს დაცვას, რაც მიზნად კაცობრიობის საერთო ინტრესების დაცვას ისახავს“.<sup>103</sup> ამის შემდგეომ საერთო ევროპული მიღგომა გარემოს დაცვის სფეროსადმი დაფიქსირდა 5 სამოქმედო გეგმაში.<sup>104</sup>

უფრო მეტიც, 1986 წლის ცვლილებებმა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების 1957 წლის ხელშეკრულებაში დაამატა სპეციალური VII თავი, რომელმაც ევროპული საზოგადოების ეკოლოგიური მიზნები განსაზღვრა. მაასტრიხტის

<sup>103</sup> EC Commission, 6th General Report, 1972, 8.

1992 წლის ხელშეკრულების 130-ე მუხლა კი, რომელმაც ამ უკანასკნელშიც ცვლილებები შეიტანა და ჩამოყალიბა გაერიანების ეკოლოგიური პოლიტიკის შემდეგი მიმართულებები:

- გარემოს მდგომარეობის შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება;
- ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალური და გონივრული გამოყენება;
- საერთაშორისო დონეზე ეკოლოგიური საქმიანობების ხელშეწყობა.

ამასთანავე ზემოაღნიშნული მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ უსაფრთხოების უმაღლესი დონის შენარჩუნება, რაც პრევენციულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული და აამოქმედონ საერთაშორისო ეკოლოგიური უმნიშვნელოვანების პრინციპი „დამაბინძურებელი იხდის“. ამასთანავე, ხელშეკრულება არ ზღუდავს მხარეებს ეროვნულ დონეზე კიდევ უფრო მკაცრად დაარეგულირონ აღნიშნული საკითხები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეკოლოგიური საკითხები ხშირად სცილდება სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებს, მათი დარეგულირება უკეთ ხერხდება საერთო ეკოროპული პილიტიკისა და სამოქმედო გეგმების ფარგლებში. ამდენად, ეკოროგიურთიანების სამოქმედო არეალი ამ მიმართულებით საკმაოდ ფართოა, თუმცა როგორც ბევრი მეცნიერი თვლის, საქმიანობა, ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არასაკმარისად მკაფიოდ.<sup>105</sup>

გარდა ეკოროგიურთიანების ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტებისა, ეკოროგიურის ფარგლებში შემუშავებულ იქნა და მოქმედებს უამრავი რეგულაცია თუ დირექტივა, რომლებიც თითოეულ კონკრეტულ სფეროში ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს.

აღნიშნული დოკუმენტები ადგენენ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარულ და ამასთანავე უმნიშვნელოვან გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს დასაცავად.<sup>106</sup> ისინი განსაზღვრავენ მშრომელთა ეკოლოგიურ უფლებებს და იმ

<sup>104</sup> First Action Programm, OJ C 112/1; Second Action Programm, OJ C 139/1; Third Action Programm, OJ C 46/1; Fourth Action Programm, OJ C 328/1; Fifth Action Programm, OJ C 138/5.

<sup>105</sup> S. Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union, Participatory Democracy Or Democratic Deficit? Human Rights Approaches to Environmental Protection, Edited by Alan Boyle and Michael Anderson, 1996, 115.

<sup>106</sup> Council Directive 76/160/EEC of 8 December 1975 concerning the quality of bathing water; 82/501/EEC: Council Directive of 24 June 1982 on the major-accident hazards of certain industrial activities; 83/477/EEC: Council Directive of 19 September 1983 on the protection of workers from the risks related to exposure to asbestos

რისკ-ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მათ, ან მათი შთამომავლების ჯანმრთელობას, განსაზღვრავენ ხმაურისა და ვიბრაციის დონის დასაშვებ ინდექსებს, ადგენენ ეკოლოგიური ინფორმაციის მიღების გარანტიებს, განსაზღვრავენ ოფიციალური სტრუქტურების ვალდებულებას ამ მხრივ. დოკუმენტებში მკაცრად კონტროლდება ევროგაერთიანებაში მრეწველობის ის მიმართულებები, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს შეუქმნან, დადგენილია გარემოს დაბინძურების ნორმები, მაგნე ნივთიერებათა გამოყენების სტანდარტები. განსაზღვრულია ეკო-მარკირებისა, ეკო-აუდიტისა და დაბინძურების აღკვეთის სქემები. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველანაირი პირობა, რათა მაქსიმალურად მოხდეს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა ისე, როგორც ეს დემოკრატიის და თანამედროვეობის უნიკალურ სიმბოლოს - ევროპის გაერთიანებას შეეფერება.<sup>107</sup>

---

at work (second individual Directive within the meaning of Article 8 of Directive 80/1107/EEC); Council Directive 84/360/EEC of 28 June 1984 on the combating of air pollution from industrial plants; Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work; Council Directive 89/618/Euratom of 27 November 1989 on informing the general public about health protection measures to be applied and steps to be taken in the event of a radiological emergency; Council Directive 90/219/EEC of 23 April 1990 on the contained use of genetically modified micro-organisms; Council Directive 90/313/EEC of 7 June 1990 on the freedom of access to information on the environment.

<sup>106</sup> Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work; Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work (Sixth individual Directive within the meaning of Article 16 (1) of Directive 89/391/EEC); Council Regulation (EEC) No 1210/90 of 7 May 1990 on the establishment of the European Environment Agency and the European Environment Information and Observation Network; Council Regulation (EEC) No 880/92 of 23 March 1992 on a Community eco-label award scheme; Council Regulation (EEC) No 1836/93 of 29 June 1993 allowing voluntary participation by companies in the industrial sector in a Community eco-management and audit scheme.

<sup>107</sup> Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work; Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work (Sixth individual Directive within the meaning of Article 16 (1) of Directive 89/391/EEC); Council Regulation (EEC) No 1210/90 of 7 May 1990 on the establishment of the European Environment Agency and the European Environment Information and Observation Network; Council Regulation (EEC) No 880/92 of 23 March 1992 on a Community eco-label award scheme; Council Regulation (EEC) No 1836/93 of 29 June 1993 allowing voluntary participation by companies in the industrial sector in a Community eco-management and audit scheme.

## 2.2.3. უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ გვრცებასთიანების სამართლის მიხედვით

თითოეულ სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების გზაზე სხავადასხვა ეტაპის გავლა უწევს, რომელთა შორის უმთავრესი ადამიანის უფლებების დაცვაა. მაგრამ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ მისი ყველა მოქალაქე სათანადოდ არ იქნა ინფორმირებული. ინფორმაციის ფლობა და მასზე ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად ადამიანის უფლებების დაცვის საკვანძო წერტილია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საუბრისას, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც თავისთავად იგულსხმება, რადგან სწორედ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია ქმნის იმ რეალურ ბერკეტს, რომელიც მოქალაქეს საკუთარი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ჯანსაღი სახით შენარჩუნებაში უწყობს ხელს. როგორ ხდება ამ ინფორმაციის გავრცელება? - რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სახელმწიფო ორგანოების დახმარებით, რომლებიც ავრცელებენ და უნდა გაავრცელონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ. თუმცა არსებობს პრობლემა, რაც კერძო სექტორს ეხება და რომელიც, წარმოების გათვალისწინებით, გარემოს რეალური დამაბინძურებელია. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უფლება არა აქვს უხეშად ჩაერიოს კერძო სექტორის ბიზნეს-საქმიანობაში, თუმცა აქც არსებობს თქროს შუალედი, რაც გარემოსდაცვით ეკოლოგიურ უქსაერტიზაში, ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებასა და ეკოლოგიური საქმიანობის ლიცენზირებაში გამოიხატება. ყველა ეს პირობა ქმნის იმის საფუძველს, რომ სახელმწიფომ, როგორც კონტროლისა და მონიტორინგის განმახორციელებელმა უმთავრესმა გარანტმა, სათანადო დონეზე მოახდინოს მოსახლეობის ეკოლოგიური თვალსაზრისით ინფორმირება და ამასთანავე, სადაც ამას სამართლის ნორმა მოითხოვს, ჩართოს დანტერესებული პირები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ევროგაერთიანების ფარგლებში გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას სამართლებრივად ადგენს 1990 წლის

დირექტივა,<sup>108</sup> რომლის დებულებების გამკაცრების ინიციატივით არა ერთხელ გამოსულან ევროპარლამენტისა და ევროკომისის წევრები. ევროპავშირის ეკოლოგიური მოქმედებების მე-5 პროგრამამ დაადგინა, რომ არსებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები სათანადო და ადეკვატური არ არის იმ ეკოლოგიური დეგრადაციისა, რომელიც გარემოში არსებობს და რომ საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა.<sup>109</sup> აღნიშნული დირექტივა ადგენს უამრავ პირობას, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მათვის საინტერესო ეკოლოგიური ინფორმაცია. დირექტივის სავალდებულო ძალის მიუხედავად, წევრი სახელმწიფოებისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა მისი ადაპტირება და ჰარმონიზირება ეროვნულ კანონმდებლობასთან, რადგან ეს საკმაოდ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვდა. ამ მხრივ თავი პორტუგალიამ და ესპანეთმა გამოიჩინეს, რომლებმაც ეროვნული კონსტიტუციების დონეზე აღიარეს უფლება ეკოლოგიური ინფორმაციის მიღების თავისუფლებასა და ეკოლოგიურიად უსაფრთხო გარემოზე.<sup>110</sup>

<sup>108</sup> Council Directive 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990).

<sup>109</sup> V. Kramer, Focus on European Environmental Law, London, 1992, 291.

<sup>110</sup> M. Shelton, Environmental Rights in the European Community, 16 Hastings ICLR, 573.

**2.2.4. უფლება ბარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით  
გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მონაწილეობის შესახებ  
ეპონგაპროცესის სამართლის მიზანებით**

მართალია, ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის უფლება საკვანძო უფლებაა, მაგრამ ფუჭია მხოლოდ ინფორმაციის ფლობა, თუ დაინტერესებულ პირებს უფლება არა აქვთ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიიღონ მონაწილეობა. ამ საკითხისადმი ეპროგაერთიანების ოფიციალურ სტრუქტურებს არაერთგვაროვანი მიღობა პქონდათ. ამასთანავე მძლავრობდა კერძო სექტორის გავლენა ამ ოფიციალურ სტრუქტურებზე, რომლებიც ცდილობდნენ ნაკლებად მომხდარიყო ფართო ფენების ჩართვა მიშვნელოვანი ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში. უფრო მეტიც, ხშირად ეპროკომისია გადაწყვეტილებებს სრულიად საიდუმლოდ იღებდა და მოქალაქეები მხოლოდ ფაქტის წინაშე დგებოდნენ. ამგვარი მიღობა, რა თქმა უნდა, არასწორია და ნაკლებად ემსახურება დემოკრატიულ მიზნებს.

ამ საკითხის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ<sup>111</sup>, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს შესაბამის სტრუქტურებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვას, აგრეთვე ადგენს კერძო სექტორის ვალდებულებას საჯარო გახსადოს ყველა ის პროექტები, რომლებიც გარემოზე ზემოქმედებას იქნიებენ.

ამასთანავე ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ ეროვნული კანონმდებლობის დონეზე გახადა სავალდებულო დაინტერესებული პირების თუ ჯგუფების ჩართვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დანიამ, უნგრეთმა, პოლანდიამ დაადგინა იმგვარი სამართლებრივი ბერკეტები, რომლებიც დაინტერესებულ ჯგუფებს უფლებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ უმნიშვნელოვანები ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფრო მეტიც, მათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელებაზე და ბუნებრივი რესურსებით

<sup>111</sup> EC Directive 85/337 on Environmental Impact Assessment.

სარგებლობის ლიცენზირებაზეც მიუწვდებათ ხელი, რა თქმა უნდა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.<sup>112</sup>

---

<sup>112</sup> S. Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union, Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson, 1996, 120.

## 2.2.5. უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით სამართლიან და გვიპტიან გართლესაჯულებაზე უპოგაერთიანების სამართლის მიხედვით

უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ, უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების შესახებ - არის ის უფლებები, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდის და ინდივიდთა ჯგუფის ეკოლოგიურ ინტერესებს და უფლებებს იცავს, მაგრამ ამ ორი უფლების რეალიზება გერანაირად სრულყოფილი ვერ იქნება, თუ იმავე სუბიექტებს სამართლიან და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე ხელი არ მიუწვდებათ. ზოგადად უფლება სამართლიან და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა და თანაბრად ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას, მათ შორის, გარემოსდაცვითს.

ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არსებობს ერთი „დაბრკოლება“ გაერთიანების მოქალაქეებისათვის, რასაც ევროკავშირის დირექტივები ჰქვია. როგორც ცნობილია, დირექტივები ადგენერ ქცევის წესებს თვით წევრი სახელმწიფოებისათვის და არა უშუალოდ ინდივიდებისათვის და ამდენად, დაინტერესებული პირებისათვის, თუ პირთა ჯგუფისათვის გარკვეულწილად პრობლემაა საჩივრის წარდგენა ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს.

თუმცა ამასთანავე, სასამართლოს დებულების 37-ე მუხლი ადგენს, რომ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი პოზიცია იმ საქმეებში, რომლებიც წარდგინება სასამართლოს, თუ მათ ეს აინტერესებთ. თუმცა დღემდე აღნიშნული დებულება თითქმის არასდროს ყოფილა გამოყენებული იმ სუბიექტების მიერ, რომლებსაც ეკოლოგიური საკითხები აინტერესებს.<sup>113</sup> ევროგაერთიანების სამართალი ინდივიდებს იმის საშუალებას აძლევს, რომ წარადგინონ საჩივრები ევროკომისიაში იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიან, რომ ეკოლოგიური ნორმები იქნა დარღვეული და ეკოლოგიური

<sup>113</sup> S. Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union, Participatory Democracy Or Democratic Deficit? Human Rights Approaches to Environmental Protection, Edited by Alan Boyle and Michael Anderson, 1996, 121.

უფლებები არ იქნა სათანადოდ დაცული. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს და შეისწავლოს საჩივარში აღწერილი ფაქტები და მათი დადასტურების შემთხვევაში აამოქმედოს მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილი ხორმები.<sup>114</sup> თუმცა დაიწყებს თუ არა აღნიშნულ პლევას კომისია, ეს მისი დისკრეციული უფლებაა, ისევე როგორც მისთვის არასავალდებულოა საკუთარი დასაბუთებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება.

მაასტრიხტის ხელშეკრულება ადგენს კიდევ სხვა საშუალებას, რომელიც დაინტერესებულ სუბიექტებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე უხსნის გზას, მართალია, გრძელს, მაგრამ მაინც არსებულს. ხელშეკრულების თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლო შტო ვერ სწყვეტს საკითხს, წარადგინოს ეს საქმე ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე. აგრეთვე, ხელშეკრულება საშუალებას აძლევს წევრი სახელწიფოების სუბიექტებს, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე წინასწარი განხილვისათვის წარადგინონ ის საჩივრებიც, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ინსტიტუციური წარმონაქმნების არამართლზომიერ ქმედებებს შეეხება.<sup>115</sup>

ევროგაერთიანების ფარგლებში ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული უმთავრესი პრობლემაა ის, რომ ხშირად ეროვნულ დონეზე არ ხდება დირექტივებით დადგენილი დებულებების დროული იმპლემენტაცია, რაც ხშირად ინდივიდებს უზღუდავს უფლებებს ან მათი განხორციელების გზაზე გარკვეულ პრობლემებს უქმნის. ამ საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რადგან ეს უფლებები უფრო ახალგაზრდა უფლებებია და ხშირად დგანან გზაჯვარედინზე სამრეწველო და ეკონომიკური ინტერესების პირისპირ. მაგრამ, ამგვარი პრობლემების არსებობის მიუხედავად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ დირექტივებს, მიუხედავად იმისა, ხორციელდებიან თუ არა ეროვნულ დონეზე, მაინც აქვთ იმის უპირატესი იურიდიული ძალა, რომ მათ შესაბამისად მოხდეს ადამიანის უფლებების

<sup>114</sup>Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties Establishing the European Communities and Related Acts, ACTS. Official Journal C 340, 10 November 1997. Article 226 (Article 16).

<sup>115</sup> იქვე. Article 234 (ex Article 177.)

დაცვა.<sup>116</sup> ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი უფლებების დასაცავად ინდივიდები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ დირექტივებით დადგენილი ნორმების ამოქმედება დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ არა სხვა ინდივიდებისა და კერძო სექტორის წინააღმდეგ.<sup>117</sup>

ზოგადად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მეტად მრავალფეროვან ინტერპრეტაციას უკეთებენ ევროდირექტივებით დადგენილ მოთხოვნებს. საინტერესოა გადაწყვეტილება ფრანკოვიჩის საქმეზე (*Francovich and Bonifacci v. Italy*),<sup>118</sup> სადაც პრობლემას იტალიის მიერ დირექტივის შეუსრულებლობას ნიშნავდა. ამ საქმეზე სასამართლომ განსაზღვრა ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც, წევრი სახელმწიფო ვალდებულია აუნაზღაუროს ინდივიდებს მისი ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული ზიანი. აღნიშნული გადაწყვეტილება გაამყარა და უფრო მკაფიო გახადა სხვა გადაწყვეტილებებმაც.<sup>119</sup>

<sup>116</sup> *Marshall v. Southampton A.H.A.*, Case 152/84, ECR (1986).

<sup>117</sup> *Marshall v. Southampton A.H.A.*, Case 152/84, ECR (1986); *Faccini Dori v. RECREB Srl.*, Case 91/92.

<sup>118</sup> *Francovich and Bonifacci v. Italy*, Case 679/90, 1993.

<sup>119</sup> *R. v. Secretary of State for Transport ex parte FactorTame; Brasserie du Pecheur S.A v. Federal Republic of Germany Joined Cases 4678/93.*

## 2.2.6. ეგრობაერთიანების სახალხო დამცველის როლი ეპოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების გვროპული სტანდარტების განხილვისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს ეგროგაერთიანების სახალხო დამცველის საქმიანობას ამ მიმართულებით. ეგროგაერთიანების სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსებისას ბევრს მიაჩნდა, რომ იგი განუსაზღვრელი უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი და ექნებოდა სრული მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ეგროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნებისმიერ ოფიციალურ სტრუქტურაზე. თუმცა, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო და ეგროპის სახალხო დამცველის ინსტიტუტის დებულებამ დაამტკიცა, რომ მისი კომპეტენცია საკმაოდ ვიწროა და შემოიფარგლება ეგროპული ინსტიტუტების მონიტორინგით ადამიანის უფლებების, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. სახალხო დამცველის ოფისი მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი) და აქვს კიდევ ერთი განყოფილება ბრიუსელში (ბელგია).

საკმაოდ ვიწრო კომპეტენციის მიუხედავად, ეგროპის გაერთიანების სახალხო დამცველს უფლება აქვს მონიტორინგი ჩაუტაროს ეგროკომისიის საქმიანობას ეგროგაერთიანების ხელშეკრულების დაცვის მოტივით, რითაც თავისთავად იგი დგას ეგროგაერთიანების პოლიტიკის და სამართლის დაცვის სადარაჯოზე, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც, თუ ხდება მათი დარღვევა წევრი სახელმწიფოების მიერ.

ეკოლოგიური უფლებების დაცვა თავისი შინაარსით ძალიან სფერიფიკური სფეროა და მეტ ყურადღებას მოითხოვს. ეკოლოგიური უფლებები ენიჭება როგორც ინდივიდებს, ისევე ინდივიდთა ჯგუფებს ერთობლივად, რადგან თვით გარემო არ შეიძლება იყოს ვინმეს საკუთრება და მასზე მიუწენდებული ზიანი უარყოფითად აისახება ძირითადად ადამიანთა ჯგუფებზე და არა კონკრეტულად ინდივიდებზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეგროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების სასამართლო სისტემის სუსტი მხარის შესახებ, რაც ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით წარდგენილი საჩივრების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში გამოიხატება. სწორედ აქ ვლინდება სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითადი არსი,

რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს ამ პრობლემებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ყოველწლიური და სპეციალური ანგარიშები, რომლებიც წლების განმავლობაში (1998 წლიდან დღემდე) სისტემატურად ქვეყნება სახალხო დამცველის ოფისის მიერ.<sup>120</sup> თუმცა, როგორც სტატიის წინა ნაწილებში აღინიშნა, მხოლოდ ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაში შედის ამგვარი საკითხების (ინდივიდუალური სარჩელების) განხილვა. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის დამოუკდებელი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს უწევს ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების ინსტიტუტებს. მაინც რას საქმიანობს ევროგაერთიანების სახალხო დამცველი გაერთიანების ფარგლებში ევროპის ეკოლოგიური სამართლის ნორმების უკეთ აღსრულების მიზნით?

ერთი მხრივ, მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია იმ ნაკლოვანებების მონიტორინგი, რომელიც არსებობს წევრი სახელმწიფოებისა და გაერთიანების სამართალს შორის. მეორე მხრივ, სახალხო დამცველი იხილავს იმგვარ საჩივრებს, რომლებიც გაერთიანების ინსტიტუტების არაგამართულ საქმიანობას ეხება. ამ მხრივ, სახალხო დაცველი აკონტროლებს, თუ რამდენად გამჭვირვალედ ახორციელებენ საჯუთარ საქმიანობას ეს ინსტიტუტები, მათ შორის, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ. მეტად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის ოფისი განსაკუთრებულ ყურადღებას გამჭვირვალე საქმიანობასა და ოფიციალური სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას აქცევს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ, რადგან ადეკვატური და ობიექტური ინფორმაციის ფლობა თავისთავად ეკოლოგიური უფლებების დაცვას ნიშნავს. ამასთანავე, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა იმის დადგენა, თუ რამდენად ადეკვატურ ზომებს იღებენ შესაბამისი ინსტიტუტები საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ ევროგაერთიანების სახალხო დამცველის ოფისს საჩივრით შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა (მოქალაქე ან მუდმივად

<sup>120</sup> Reports on the Activities of the European Ombudsman, Committee on Petitions;

მცხოვრები პირი) და იურიდიულმა პირმა, ხოლო საჩივრიც წარდგენა შესაძლებელია ევროგაერთიანების ნებისმიერი ინსტიტუტის წინააღმდეგ ამასთანავე, თუ საქმე შეეხება ეროვნულ ინსტიტუტებს, სახალხო დამცველი საქმეს შესაბამის ეროვნულ სტრუქტურებს გადაუგზავნის.

## 2.3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა აღამიანის უფლებათა ეპონაული სასამართლოს არაცენტრული სამართლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ეკოლოგიული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, როგორც უკვე აღინიშნა, არაფერს აღგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ. კონვენციის მიღების დროს (1950-იანი წლები) აქტუალური არ იყო გარემოს დაცვის საკითხები და ამდენად სასამართლოს წინაშე წარდგენილი ყველა სარჩელი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არსებით განხილვაზეც არ იქნა დაშვებული. ასე, მაგალითად, უარყოფილ იქნა სარჩელი დოქ. *b. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Dr S. v. the Federal Republic of Germany)*<sup>121</sup>; *ib. და o. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (X and Y v. the Federal Republic of Germany)*<sup>122</sup> და ა.შ.

თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მალე გააცნობიერა, რომ არაჯანსაღი გარემო უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას იწვევს.<sup>123</sup> ამდენად, კომისიამ ამ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ დასაშვებად გამოაცხადა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სარჩელები. ასე, მაგალითად, არონდეილი გაერთიანებული სამუფოს წინააღმდეგ (*Arrondelle v. the United Kingdom*) (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>124</sup>; ბაგ ზეი გაერთიანებული სამუფოს წინააღმდეგ (*Bagges v. the United Kingdom*) (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>125</sup>; პაული და რაინერი გაერთიანებული სამუფოს წინააღმდეგ (*Powell and Rayner v. the United*

<sup>121</sup> *Dr S. v. the Federal Republic of Germany*, Application №715/60, 1969.

<sup>122</sup> *X and Y v. the Federal Republic of Germany*, Application №7407/76, 1976

<sup>123</sup> 1998 წლის 1 ნოემბრამდე მოქმედებდა კონვენციის ორსაფეხურიანი საზედამხედველო სისტემა: ადამიანის უფლებათა ეკოლოგიული კომისია და ადამიანის უფლებათა ეკოლოგიული სასამართლო. კომისია იხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო ეკოლოგიული სასამართლო არსებითად იხილავდა მას. საზედამხედველობის სისტემის გადატვირთულობის გამო, 1994 წელს მიიღეს კონვენციის მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ეკოლოგიულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ეკოლოგიული სასამართლო; ასევე იხ. პ.კორპელია, ი.ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი ადამიანის უფლებათა ეკოლოგიული კონვენციის მიხედვით, 2004 წ., გვ. 10.

<sup>124</sup> *Arrondelle v. the United Kingdom*. Application №7889/77, 1980.

<sup>125</sup> *Bagges v. the United Kingdom*, Application № 9310/81, 1985.

*Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>126</sup>; *ვეარნკომბის და სხვების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Vearncombe and others v. the Federal Republic of Germany)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>127</sup>; *Jlb. საფრანგეთის წინააღმდეგ (X v. France)* (ხმაურთან და სხვა დისკომფორტთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>128</sup>; ზანდერ შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden) (წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული სარჩელი)<sup>129</sup> და სხვა. აღნიშნული სარჩელები, ძირითადად შევიდა სასამართლოში კონვენციის მე-8<sup>130</sup> და მე-10 მუხლების<sup>131</sup>, დამატებითი 1 ოქმის პირველი მუხლის დარღვევის მოტივით<sup>132</sup>. ევროპული კონვენციის წინაშე წარდგენილ საქმეებს შორის საინტერესოა (1979 წლის 4 დეკემბერი) საქმე ჰაკასონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ (Hakasson and Sturesson v. Sweden)<sup>133</sup>, რომელიც ეხებოდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, რაც მოსარჩელის ინფორმაციით მის კუთვნილებაში არსებული მიწის ჩამორთმევით იყო განპირობებული. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ეკოლოგიური უფლებების დარღვევის კონტექსტში დაადგინა<sup>134</sup>, რომ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შეზღუდვა.

მსგავსი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ (Fredin v. Sweden)<sup>135</sup>. მოსარჩელე აცხადებდა, რომ დარღვეულ იქნა მისი საკუთრების უფლება კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ დარღვევას ადგილი არ ჰქონდა, რადგან მოსარჩელე აწარმოებდა მის კუთვნილ ტერიტორიაზე ისეთი ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაციას, რომელიც ბუნების კონსერვაციის მიზნით აკრძალული იყო ეროვნული კანონმდებლობით. მსგავსი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე „pain valley developments ltd“ და

<sup>126</sup> Powell and Rayner v. the United Kingdom, Application № 9310/82, 1986.

<sup>127</sup> Vearncombe and others v. the Federal Rupublic of Germany, Application # 12816/87, 1989.

<sup>128</sup> X v. France, Application № 13728, 1990.

<sup>129</sup> Zander v. Sweden, Application № 14282/88, 1992.

<sup>130</sup> მე-8 მუხლი, პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება.

<sup>131</sup> მე-10 მუხლი, გამოხატვის თავისუფლება.

<sup>132</sup> D. Garcia San Jose, Environmenatl protection and the European Convention on Human Rights, 2005, 8.

<sup>133</sup> Hakasson and Sturesson v. Sweden, judgment of 23 January 1990.

<sup>134</sup> მიწის შესყიდვისას მოსარჩელესთან დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომ იგი მოახდენდა ამ მიწის სოფლის მეურნეობის მიზნით გამოყენებას და რაციონალურად გარშემო მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებშიც იყო.

ამგვარად, ევროპული პრეცედენტული სამართლის მიერ შექმნილი იქნა არაპირდაპირი გზა („par ricochet“) ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით. როგორც პრ. მაქვილონ დეჯანტ-პონსი აღნიშნავს, ევროპულ კონვენციასთან მიმართებით ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლებრივმა გზებმა ორი მიმართულებით პოვა განვითარება: ერთის მხრივ, კონვენციით გარანტირებული ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დაცვა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფას უშუალოდ ამ უფლებების რეალიზაციისათვის.<sup>137</sup> ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს მასში ჩამოყალიბებულ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიზღუდოს კონვენციის მე-8, მე-9<sup>138</sup>, მე-10, მე-11<sup>139</sup> და სხვა მუხლები ადამიანისათვის ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების მიზნით. კონვენციის მუხლების ეკოლოგიური უფლებების და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით შეზღუდვის ნათელი მაგალითებიდან საქმეები - კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Coster v. the United Kingdom), ზვოლსკი და ზვოლსკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Zvolsky and Zvolsy v. Czech Republic), პაპასტავროუ და სხვები საბერძეთის წინააღმდეგ (Papastavrou and others v. Greece)<sup>140</sup>.

კონვენციით დაცული უფლებების შეზღუდვის ნათელი მაგალითია ასევე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მურიელ პერიელ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Muriel Herrick v. the United Kingdom). საქმე ეხებოდა მოსარჩევე მხარის მიერ მისი კუთვნილი სათავსოს გამოყენების

<sup>135</sup> *Fredin v. Sweden*, judgment of 22 January 1991.

<sup>136</sup> *Pine Valley Developments Ltd. and others v. Ireland*, judgment of 23 October 1991.

<sup>137</sup> M.Dejant-pons, L'insertion du droit de l'homme à l'environnement dans les systèmes régionaux de protection des droits de l'homme, 1991, 461.

<sup>138</sup> მე-9 მუხლი, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

<sup>139</sup> მე-11 მუხლი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

<sup>140</sup> *Coster v. the United Kingdom*, judgment of 2 October 2001, *Zvolsky and Zvolsy v. Czech Republic*, judgment of 12 November 2001, *Papastavrou and others v. Greece*, judgment of 10 April 2003.

აკრძალვას, რომელიც ჯერსის კუნძულზე მდებარეობდა.<sup>141</sup> მოსარჩევეს ადგილობრივი მთავრობის მიერ (და შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებითაც) აკრძალა ამ სათავსოს გამოყენება, რადგან ჩაითვალა, რომ იგი მდებარეობდა ჯერსის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, ეგრეთ წოდებულ „მწვანე ზოლში“ და ამით ირღვეოდა საზოგადოების ინტერესები<sup>142</sup>.

გამომდინარე მურიკლ ჰერიკის საქმიდან, ნათლად ჩანს, თუ როგორ და რა ფორმით განიხილება გარემოს დაცვის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ჯერსის ლანდშაფტური განვითარების და გარემოს დაცვის საკითხები მეტად აქტუალურია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეზღუდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, რათა მოეხდინა გარემოს არაპირდაპირი დაცვა. კომისიამ ჩაითვალა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება ინდივიდუალურ უფლებად ითვლება, ის მაინც რჩება კოლექტიური დაცვის ობიექტად და ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა გამართლებულია.<sup>143</sup>

ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს დისკრეციულ უფლებას, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა ადამიანის კონკრეტული უფლების შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ შეზღუდონ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ იმ კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომლებიც პირდაპირ არიან გათვალისწინებული სენატული მუხლის მეორე პუნქტით (აქ. ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის)<sup>144</sup>. მურიკლ ჰერიკის საქმის მსგავსი გადაწყვეტილებები იქნა-

<sup>141</sup> *Muriel Herrick v. the United Kingdom*, Decision on admissibility of 13 March 1985.

<sup>142</sup> კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად „... სხვათა ინტერესების დაცვის მიზნით, როცა ეს ინტერესები აშკარად რისკს ექვემდებარება“, European Commission's Decision on admissibility of 13 March 1985, DR (Decisions and Reports), 280.

<sup>143</sup> D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 9.

<sup>144</sup> W. Gormley, The Right to a Safe and Decent Environment, 1989, 29.

გამოტანილი საქმეებზე - გილოუ გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (Gillow v. the United Kingdom)<sup>145</sup>, სპორრონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonnroth v. Sweden) და ა.შ.<sup>146</sup>

საქმე - ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain), რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, იყო ბიძგი, რათა კონვენციით გარანტირებული უფლებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის კონტექსტში ყოფილიყო გამოყენებული. ამ საქმის შემდგომ მოხდა სასამართლო პრაქტიკის გაძლიერება ამ მიმართულებით და შემდგომა საქმეებმა დაატასტურა, რომ კონვენცია საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ არაპირდაპირი გზით იქნეს დაცული ადამიანის ეკოლოგიური უფლებები. ამგვარ საქმეებს განეკუთვნება - ფაუნა და რაინჟრი გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom), ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others v. Italy), ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (L.C.B. v. the United Kingdom), ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. the United Kingdom), მაკინლი და იგანი გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (McGinley and Egan v. the United Kingdom), თხერილდოზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey) და მორენო გომეს ესპანეთის წინააღმდეგ (Moreno Gomez v. Spain).<sup>147</sup>

საქმეები - ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)<sup>148</sup> და ფაუნა და რაინჟრი გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)<sup>149</sup> იყო პირველი სარჩელები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-3, მე-8, მე-11, მე-13 მუხლებით და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მოტივით, რაც, მოსარჩელების მტკიცებით, გარემოს მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწეული<sup>150</sup>. მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებული მდგომარეობა

<sup>145</sup> D. Garcia San Jose, Environment Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 10.

<sup>146</sup> Sporrong and Lonnroth v. Sweden, judgment of 23 September 1982, Series A, No. 52; Erckner and Hofauer v. the United Kingdom, judgment of 23 April 1987, Series A, No. 117; Allan Jacobsson v. Sweden, judgment of 25 October 1989, Series A, No. 163.

<sup>147</sup> McGinley and Egan v. the United Kingdom judgment of 9 June 1998. Oneryildiz v. Turkey, judgment of 18 June 2002. Moreno Gomez v. Spain, judgment of 16 November 2004.

<sup>148</sup> López Ostra v. Spain, Case 41/1993, judgment of 9 December 1994.

<sup>149</sup> Powell and Rayner v. the United Kingdom, Application N° 9310/81.

<sup>150</sup> D. Garcia San Jose, Environment Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 11.

უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათს პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული მუხლებით უზრუნველოფილი უფლებებით სარგებლობას. სარჩელებში გამოყენებულ იქნა ეგრეტ წოდებული „par picochet“ (რიკოშეტის) პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკოლოგიური უფლებების დაცვა ხდება არაპირდაპირი გზით.

საქმეზე ფაუკლი და რაინერი გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)<sup>151</sup> – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ, რომელსაც იწვევდა საპაერო მიმოსვლა პისროუს აეროპორტში, შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მოსარჩე რიჩარდ ჯონ პაუელის სახლი მდებარეობდა იმ ზონაში, რომელიც დადგენილი ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით, (NNI)<sup>152</sup> ნაკლებად მავნე ზონაში იმყოფებოდა. მეორე მოსარჩელის მაიკლ ანტონი რაინერის სახლი, კი ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით მაღალი საშიშროების ზონაში იმყოფებოდა. სარჩელი სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-6, მე-8, მე-13 მუხლების და დამატებითი ოქმის I-ლი მუხლის დარღვევის მოტივით.<sup>153</sup> საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა:

„მავნე ზემოქმედების განსხავებული ხარისხის მიხედვით, ხელყოფილ იქნა მოსარჩელეების პირადი ცხოვრება იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოწვეული იქნა პისროუს აეროპორტის ექსპლუატაციის გამო“<sup>154</sup>

თუმცა, სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში დაადგინა ზღვარი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და დაადგინა, რომ მოსარჩელეების უფლებები ნაკლებად პრიორიტეტულია საზოგადოებრივ ინტერესებთან (აეროპორტით სარგებლობის საჭიროება) შედარებით. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები.

<sup>151</sup> Powell and Rayner v. the United Kingdom, Application №9310/81.

<sup>152</sup> Number Noise Index - ხმაურის შეფასების ინდექსი, რომელიც გაერთიანებულ სამეცნიერო გამოიყენება.

<sup>153</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, სამართლიანი სასამართლოს უფლება; მე-8 მუხლი, პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება; მე-13 მუხლი, ეფუძნება სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება; დამატებითი პირველი ოქმის პირველი მუხლი, საკუთრების უფლება.

<sup>154</sup> Par. 40 of the judgment of 21 February 1990.

საქმე ლოპეზ ოსტრა კანაგეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*) ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების გამო, რაც გამოწვეული იყო განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაციით. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ამით მას დამამცირებლად ეპურობოდნენ (კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლები). სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის მიუვნება და კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ: „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ მათი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა.“<sup>155</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა მსჯელობა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის შესახებ, რადგან გარემოს მაგნე დაბინძურება, რომელიც ქარხნიდან გამომდინარეობდა, გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა ადამიანის ჯანმრთელობას, რისი კომპენსაციაც არ შეიძლება. კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარის საცხოვრებელი პირობები საკმაოდ მძიმე იყო, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები არ დარღვეულა და მათ დამამცირებელად არავინ მოპყრობია.

ზემოაღნიშნული საქმეების ანალიზიდან და შედარებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა - ფაული და რაინჟრის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის მოტივით. სასამართლოს აზრით, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გააჩარა შესაბამისი დონისძიებები, რომლებიც ნაწილობრივ ამსუბუქებდნენ მოსარჩელეების მდგომარეობას და ამდენად, ფაულის და რაინჟრის საქმეში სახელმწიფოს მიერ დაცულ იქნა ბალანსი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ (მოსარჩელეების) ინტერესებს შორის. აბსოლუტურად განსხავებულია სასამართლოს მიდგომა ლოპეზ ოსტრას საქმესთან მიმართებით.

<sup>155</sup> Гл. Ред. Р. Готрон, Свобода - Искатели и Иски, 2000, 24-25. ასევე იხ. *Lopez Ostra v. Spain*, App. No.

ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადასტურა ესპანეთის ხელისუფლების ბრალი, რომელიც მისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით იყო გამოწვეული. ამდენად, ნათელია, რომ სასამართლომ ლოკურ თხტრას და ფაულის და რაინჟრის საქმეების განხილვისას გაითვალისწინა შესაძლო და დამდგარი საფრთხის ხარისხი და, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოიტანა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებთან დაკავშირებით.

საქმეში - ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Fadeyeva v. the Russian Federation*) - სასამართლომ კვლავ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა გარემოს დაბინძურების მიზეზების საფუძველზე.<sup>156</sup> განმცხადებელი ცხოვრობდა ქ. ჩერეპოვეცში, 450 მეტრის მოშორებით ფოლადის კერძ ქარხნიდან. მისი მტკიცებით, ქარხნის მუშაობა უარყოფითად მოქმედებდა გარემოზე და იწვევდა მის დაბინძურებას, კერძოდ, ხმაურს, მტკერს, ტოქსიკურ გამონაბოლქს, რაც აზიანებდა მის ჯანმრთელობას. განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მოსარჩელის უფლებების დაცვაზე და მისთვის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სხვა საცხოვრებელი ადგილი გამოეყო ან გარემოს დაბინძურების დონე შეემცირებინა.<sup>157</sup>

საინტერესოა საქმე პატონი და სხვები გაერთიანებული სამეცნიერო წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*)<sup>158</sup> - აღნიშნული საქმეც პისროულ აეროპორტის საპარკო მიმოსვლის გამო მე-8 მუხლის დარღვევას ეხებოდა. აღნიშნულ საქმეზე ფაულის და რაინჟრის საქმის მსგავსად დადგინდა მე-8 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, მაგრამ არ იქნა დადგენილი მე-2 პუნქტის დარღვევა. თუმცა სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, მაგრამ საქმე გასაჩივრდა სასამართლოს დიდ პალატაში, რომელმაც სახელმწიფო გაამართლა.

---

<sup>156</sup> 16798/90, 20 Eur. H.R. Rep. 277 (1994) (Eur. Ct. H.R.).

<sup>157</sup> 16 თქმუმბერი 2003 წელი.

<sup>158</sup> D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 37.

<sup>158</sup> Judgments of 2 October 2001 (Chamber) and 8 July 2003 (Grand Chamber).

გარდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებისა, საინტერესოა განიმარტოს ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით ადგენს გამოხატვის თავისუფლებას. ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი ან ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოხატვასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული.<sup>159</sup> მე-10 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას, რაც პირებისათვის სახელმწიფოს მიერაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. დაუშვებელია ინფორმაციის, რომელიც საინტერესოა საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა, დაფარვა ან ცალმხრივად გაცემა.

ამგვარად, ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, თუმცა კონვენციის მე-10 მუხლში პირდაპირ არაფერია ნათქვამი ამის შესახებ. მე-10 მუხლი აცხადებს: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.“<sup>160</sup>

ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფას დაეყრდნო მოსარჩელე მხარე საქმეში ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Anna Maria Guerra and others v. Italy*).<sup>161</sup> მოსარჩელე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის მოსარჩელეებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლუატაციას სდევდა თან. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მოსარჩელე მხარე თვლიდა,

<sup>159</sup> კ.კორეკელია, ი.ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი. 2004 წ. გვ. 200.

<sup>160</sup> საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940-II დადგენილება „ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლებების დაცვის ეჭრობის კონვენციასთან მიერთების თაობაზე“, მე-10 მუხლი.

<sup>161</sup> Гл. Ред. Р. Готрон, *Свобода -Искатели и Иски*, 2000, 24-25.

რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10, მე-8 და მე-2<sup>162</sup> მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ დაეყრდნო სახელმწიფოს იმ შესაძლებლობებს და ვალდებულებებს, რომლებიც მას კონვენციის მე-10 მუხლით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ეკისრებოდა და საქმე ხმათა უმრავლესობით დასაშვებად გამოაცხადა. კომისიამ დაადგინა, რომ „ევროპული სამართალი . . . , ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი, იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის.“ კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიის აზრით, სახელმწიფო ამ ვალდებულებას მუდმივად არ ასრულებდა, დაწყებული 1988 წლიდან (პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის თარიღი). საბოლოო გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ მოსახლეობის ხანგრძლივი არაინფორმირებულობა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თან სდევს მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოეს მდებარე ქიმიური ქარხნის მუშაობას, არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელმაც დროულად და დეტალურად არ აცნობა მოსახლეობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუმცა, საბოლოო განაჩენში სასამართლომ არ დაადასტურა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი და გადაწყვეტილება მოსარჩელების სასიკეთოდ, კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლის დარღვევის დადასტურებით გამოიტანა.<sup>163</sup> ზოგადად, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ ინფორმაციის (გარდა კომერციული და სახელმწიფო საიდუმოებისა) საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანების ელემენტია და თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია დაუბრკოლებლად და სრულყოფილად გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესებშია, მით უმეტეს იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა რისკი

<sup>162</sup> მე-2 მუხლი, სიცოცხლის უფლება.

<sup>163</sup> *Guerra and others v. Italy*, Application N°14967/89, ასევე ი. D. Garcia San Jose, Environmental protection and the European Convention on Human Rights, 2005, p.26.

შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ორჰუსის კონვენცია ადგენს - „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოსახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას მიიღოს ზომები, მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად.“<sup>164</sup>

საქმეში ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B. v. the United Kingdom),<sup>165</sup> მოსარჩელე ეურდნობოდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებს და აცხადებდა, რომ იმის გამო, რომ მამამისის ჯანმრთელობა შერყეულ იქნა ქრისტმას აილანდზე (მობის კუნძული) მიღებული რადიოაქტიური დასხივების გამო (იგი გაერთიანებული სამეფოს საპატიო ძალებში მსახურობდა, უსაფრთხოების პირობების დარღვევის და სათანადო აღჭურვილობის არქონის გამო კანისა და სხვა ორგანოების დაავადებები გაუჩნდა), მას ამის გამო დედის მუცელში ყოფნის დროსვე შეერყა ჯანმრთელობა და დაავადდა ლეიკემით. მოსარჩელე სახელმწიფოს ადანაშაულებდა მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, რის შედეგადაც (მისი განცხადებით) მისი ჯანმრთელობაც სერიოზულად გაუარესდა. მოსარჩელე მხარე აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების შემთხვევაში მას ექნებოდა დიაგნოზის დროულად დასმისა და სათანადო მკურნალობის უკეთესი საშუალება, რაც მის ცხოვრებას უფრო დღეგრძელს გახდიდა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ საქმე დაშვებადად გამოაცხადა, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში არ ყოფილა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ, დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის ალბათობის მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებული არ ოყო ეცნობინებინა მოსარჩელის მშობლებისათვის იმ შესაძლო

<sup>164</sup> კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

საფრთხის შესახებ, რომელიც მამამისის რადიაციული დასხივების შედეგად, სავარაუდოდ, მისი მემკვიდრეების ჯანმრთელობას შეექმნებოდა.<sup>166</sup>

კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება დაირღვეს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ მიაწვდის ინფორმაციას არსებული რისკების თაობაზე იმ ადამიანებს, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან.<sup>167</sup> აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღიარა სიცოცხლის უფლების ფართო გაგება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს გარკვეულ გარემოებებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება.<sup>168</sup>

საქმეში - ტაურია საფრანგეთის წინააღმდეგ (Tauria v. France) - განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა სახელმწიფოს მიერ ბირთვული ცდების განახლებასთან დაკავშირებით.<sup>169</sup> მაგრამ, აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელმა ვერ შეძლო დაერწმუნებინა მოსამართლეები, რომ ის იყო მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლი კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით. იმის მტკიცება, რომ ცდების „შესაძლო შედეგები“ საფრთხეს შეუქმნიდა მას და არსებობდა „რადიაქტიური გაუონგის საშიშროება“, არ აღმოჩნდა ამისთვის საკმარისი.<sup>170</sup> კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი ადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლებას და ამ უფლების განხორციელების შეზღუდვის პირობებს. ასე რომ, საკუთრების უფლება მიეკუთვნება იმ უფლებებს, რომელთა შეზღუდვა დაშვებულია. შესაბამისად, საკუთრების უფლების დარღვევის საკითხის განხილვისას სასამართლო არკვევს სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის კერძო და საჯარო ინტერესს შორის დადგენილი ბალანსის სამართლიანობას. საკუთრების უფლების გარემოს ზემოქმედებისაგან დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს თუ გადავხედავთ, ნათელია, რომ რომ ეკონომიკური ინტერესი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესი, შესაძლებელს

<sup>165</sup> L.C.B. v. the United Kingdom, Application №323413/94.

<sup>166</sup> M. Dejeant-Pons, M. Pallemarts, Human rights and the environment , 200, 237.

<sup>167</sup> S.Bell and D.McGillivary, Environmenal Law, 200, 110.

<sup>168</sup> ი. გივიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2005 წ. გვ. 84; ასევე იხ. M.DeMerieux, Deriving Environmental Rights from the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Oxford Journal of Legal Studies, Vol.21 (No.3), 2001, 543.

<sup>169</sup> 1996 წ. 83 D&R 112.

<sup>170</sup> იხ. ი.გივიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა

ხდიდა საკუთრების უფლების დარღვევის გარეშე ბირთვული ქარხნის ამჟავებას<sup>171</sup>, აეროპორტის ფუნქციონირებას და პიდრო-ელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენებას.<sup>172,173</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში აღიარა გარემოს ზემოქმედების მიზეზით საკუთრების უფლების დარღვევის შესაძლებლობა<sup>174</sup>.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სასამართლოს პრაქტიკით დაშვებულია საკუთრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვა, როდესაც ეს სარგებლობა გარემოს დაცვას უქმნის საფრთხეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია<sup>175</sup> ზოგიერთ შემთხვევაში მე-2 პუნქტი ფორმულირებულ „საერთო ინტერესს“ გარემოს დაცვის მიზნებისათვის იყენებდა. ამის ნათელი მაგალითია „ბუნების კონსერვაციის“ გაერთიანება „საერთო ინტერესის“ ცნებაში.<sup>176</sup> ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომაც დაამოხვია „საზოგადოებრივი ინტერესები“ გარემოს დაცვის ინტერესებს და განაცხადა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში გარემოს დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.<sup>177</sup>

კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას ადგენს, სასამართლოს განმარტებით, ასევე მოიცავს „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას“ მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის

---

საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.კორკელია, თბილისი, 2005 წ., გვ. 84.

<sup>171</sup> ს. საფრანგეთის წინააღმდეგ (S v. France), 1990 წ. 65 D&R 250.

<sup>172</sup> პაუელი და რაინერი გაერთიანებული სამუზოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom, 1990, 12 EHRR 355).

<sup>173</sup> გ და ე ნორვეგიის წინააღმდეგ (G and E v. Norway), 1983 წ. 35 D&R 30.

<sup>174</sup> ი.გივიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.კორკელია, თბილისი, 2005 წ., გვ. 91.

<sup>175</sup> 1998 წლის 1 ნოემბრამდე მოქმედებდა კონვენციის ორსაფეხურიანი საზედამსედველო სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კომისია იხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო ევროპული სასამართლო არსებითად იხილავდა მას. საზედამსედველობის სისტემის გადატვირთულობის გამო, 1994 წლს მიიღეს კონვენციის მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამსედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

<sup>176</sup> ოერლემასი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Oerlemans v. the Netherlands), No. 12565/86 62 D7r 200, 205.

<sup>177</sup> ფრედინის შევდების წინააღმდეგ (Fredin v. Sweden), 1991 წელი, 13 EHRR 787, 48-ე პუნქტი. ასევე ი. გივიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ. კორკელია, თბილისი, 2005 წ. გვ. 91.

უფლებას.<sup>178</sup> გარემოს დაცვის პრობლემატიკასთან კავშირში მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ზემოქმედება გავლენას ახდენს „სამოქალაქო უფლებებზე“. საგულისხმოა, რომ თვით კონვენცია არ იძლევა ტერმინ „სამოქალაქო უფლებების“ განმარტებას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ნათელს ჰყენს მის მნიშვნელობას.<sup>179</sup> საქმეში - ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden)<sup>180</sup> - განმცხადებელი ამტკიცებდა მე-6 მუხლის დარღვევას იმის საფუძველზე, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, სასამართლო წესით დაეცვა თავისი საკუთრების უფლება გარემოს ზემოქმედებისაგან. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან „სამოქალაქო უფლებები“ მოიცავს საკუთრების საკითხებს. საქმეში - ბალმერ შაფროთი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Balmer-Schafroth and Others v. Switzerland)<sup>181</sup> - განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მე-6 მუხლით მათ უფლება ჰქონდათ, სასამართლო წესით გაესაჩივრებინათ ატომური ელექტროსადგურის ამჟავების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილება. სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან არ დადგინდა პირდაპირი კავშირი ატომური ელექტროსადგურის მუშაობასა და მათი „სამოქალაქო უფლებების“ ხელყოფას შორის.<sup>182</sup> მსგავსი საქმეა - ათანასოგლოუ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Athanasoglou and others v. Switzerland).<sup>183</sup>

ზემოთ განხილული საქმეებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედების პირველ წლებში ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხი აქტუალური არ იყო. იმ დროისათვის მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობდა რეალური ეკოლოგიური საფრთხე, რაც

<sup>178</sup> გოლდერი გაერთიანებული სამეცნიერო წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom), 1975 წელი, ECHR Series A, No 18; ასევე კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany), 1978 წელი, ECHR Series A, No 28.

<sup>179</sup> ი. გივაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.კორკელია, თბილისი, 2005 წ. გვ.92.

<sup>180</sup> ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ Zander v. Sweden, Application 14282/88, 1992.

<sup>181</sup> ბალმერ შაფროთი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Balmer-Schafroth and Others v. Switzerland) 1997, ECHR 598.

<sup>182</sup> ი. გივაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.კორკელია, თბილისი, 2005 წ. გვ.93.

<sup>183</sup> Athanassoglou and others v. Switzerland, Judgment of 6 April 2000.

მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა აქტიურმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ხარჯზე უნდა მიმდინარეობდეს, რაც საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ჯანსაღი მომავლის უმთავრესი ატრიბუტია.

მსოფლიო ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაზე. ოუ სასამართლოს საქმიანობის პირველ წლებში სასამართლო არსებით განხილვაზეც არ უშვებდა ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს, შემდგომ პერიოდში ამგვარი უფლებების რეალიზაცია სასამართლოს მიერ ეგრეთ წოდებული *par ricochet*-ის პრინციპის გამოყენებით ხორციელდებოდა. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ეკონომიკური კონვენციის მუხლების მრავალმხრივი ინტერპრეტაციის და განმარტების საფუძველზე შეძლო არაპირდაპირი გზით დაეცვა ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება, რაც დემოკრატიის განვითარების მეტად აქტუალური ფაქტორია. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების დაბალანსების პრინციპის დაცვით, ეკონომიკურმა სასამრთლომ შეძლო გაეგლო ზღვარი შესაძლო და დამდგარ ეკოლოგიურ საფრთხესა და დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობას შორის.<sup>184</sup> დღესდღეობით, ეკონომიკური კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები არის ეკონომიკური სასამართლოს მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალური ბერკეტი, რომელთა განმარტება, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია.

ადამიანის უფლებათა ეკონომიკური სასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს მიღებობა ეკოლოგიური უფლებების დარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ორ მიმართულებაში გამოიხატება: სასამართლო აქტიურობაში და სასამართლო პასიურობაში. სასამართლო აქტიურობა ვლინდება სასამართლოს სწრაფვაში მოახდინოს კონვენციით გარანტირებული უფლებების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მას ეკოლოგიური უფლებების არაპირდაპირი გზით დაცვაში ეხმარება. ამ მიზნით სასამართლო ძირითადად კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების განმარტებებს ეყრდნობა. რაც შეეხება

<sup>184</sup> D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 68.

სასამართლო პასიურობას, ამ მხრივ აღსანიშნავია სასამართლოს თავისებური მიღება კონვენციის სხვა მუხლებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება სასამართლოს აშკარა თავშეკავებულობაში. კერძოდ, სასამართლო თავს იკავებს ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით განმარტოს კონვენციის ზოგიერთი მუხლი (გარდა მე-8 და მე-10 მუხლისა). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სასამართლო დიდი ყურადღებას უთმობს წევრი სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებას ეკოლოგიური საფრთხის შეფასების თვალსაზრისით, რამაც დიდი როლი ითამაშა სასამართლოს მიერ აქამდე გამოტანილ შესაბამის გადაწყვეტილებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეკოლოგიური უფლებების დაცვის მეტნაკლებ საშუალებას იძლევა და ევროპული კონვენცია „ცოცხალ დოკუმენტად“ მიიჩნევა, რომლის მუხლების ინტერპრეტაცია ცნობიერების განვითარებას თან სდევს, აუცილებელია, რომ რეალიზირებულ იქნეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებს შეეხება.<sup>185</sup>

გარდა ევროპული კონვენციისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობენ სხვა სასამართლოები, რომელთა პრეცედენტული სამართალიც ამყარებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს. ალან ბოილისა და მაიკლ ანდერსონის წიგნში თავმოყრილია ათეულობით საქმე, რომლებიც დედამიწის ხუთივე კონტინენტზე განიხილებოდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან მიმართებით.<sup>186</sup> წიგნში განხილულია საქმეები ავსტრალიიდან, კოლუმბიიდან, ეკვადორიდან, ინდოეთიდან, მალაზიიდან, ჰოლანდიიდან, ახალი ზელანდიიდან, ფილიპინებიდან, პაკისტანიდან, სამხრეთ აფრიკიდან, გაერთიანებული სამეფოდან, აშშ-დან. ასევე საქმეები, რომლებიც განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა კომისიამ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და საერთაშორისო არბიტრაჟმა.

<sup>185</sup> D. Garcia San Jose, Environment Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 69

---

<sup>186</sup> A. Boyle, M. Anderson, Human Rights Approaches to Environmental Protection, 1998, 34.  
- 104 -

**2.4. არასამთავრობო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა და  
ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა აღაშიანის ეკოლოგიური  
უფლებების დაცვის სტანდარტებზე**

ტრადიციული საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ უფლებები და აკისრიათ მოვალეობანი. არასამთავრობო სექტორი არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ამდენად არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში. დღესდღეობით მსოფლიოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ არასამთავრობო სექტორმა, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებმა (NGO) და მრავალნაციონალურმა კორპორაციებმა (Transnational Corporations) ჩამოაყალიბეს საკუთარი საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკა, თავი მოუყარეს საჭირო ინფორმაციას საკუთარი უცხოური წყაროების საშუალებით და საერთაშორისო საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობის მიღების ერთგვარ ნებართვას ელოდებიან. არასამთავრობო ორგანიზაციებს შესწევთ უნარი და ძალა იმისა, რომ მოკრიბონ, გააანალიზონ და აითვისონ საჭირო ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბით, დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები პოლიტიკის გამტარებელ ორგანოებთან ისევ მსოფლიოს მასშტაბით და შექმნან გლობალური ქსელი საკუთარი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

გარემოს დაცვის სფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში საქმაოდ იმატა არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვმა. ამასთან, გარემოსდაცვითმა მოძრაობამ ერთგვარი გლობალური ხასიათი მიიღო. არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც თუნდაც ერთი ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია არ გააჩნდეს, რომელთაგან უმრავლესობა ამ სფეროში საერთაშორისო თანადგომისა და თანამშრომლობის ძიებაშია. აშშ ლიდერია ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით. მთელ მსოფლიოში კი არსებობს საქმაოდ დახვეწილი და კარგად ჩამოყალიბებული ქსელი გარემოსდაცვითი საერთაშორისო და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისა.

თუ ვიმსჯელებთ აშშ-ს მაგალითით, ის არასამთავრობო გარემოსდაცითი ორგანიზაციები, რომლებიც აშშ-ში მოქმედებენ შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფში შედიან ისეთი დიდი და წევრობაზე დაფუძნებული

ორგანიზაციები, როგორიცაა – ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭო (Natural Resources Defence Council), გარემოსდაციონი ფონდი (Environmental Defence Fund), ველური სამყაროს ეროვნული ფედერაცია (National Wildlife Federation), სიერა ქლაბი (Sierra Club) და სხვა. ყველა ზემოხამოთვლილ ორგანიზაციებს გააჩნიათ საკმაო გამოცდილება, ტექნიკური და ფინანსური რესურსი იმისა, რომ თავისი საქმიანობა საკმაოდ რთული და სერიოზული ეკოლოგიური საკითხების გადასაჭრელად წარმართონ.

მეორე ჯგუფში შედიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ეკოლოგიური საკითხების დარეგულების მიზნით არიან შექმნილნი. ამ ჯგუფში შედიან – ვორლდგორთხი (WorldWatch), მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (World Resources Institute) და საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ცენტრი (Center for International Environmental Law). ზოგიერთი ამ ორგანიზაციის საქმიანობა შესაძლებებლია საკმაოდ ვიწრო ჩანდეს, მაგრამ ისინი რეალურად ეფექტიან საქმიანობას ეწევიან, მაგალითად, მათ სახელთან არის დაკავშირებული ოზონის ხვრელის პრობლემების გადასაჭრელად გეგმების შემუშავება და დამურების დაცვისაკენ საქმიანობის წამოწყება.

მესამე ჯგუფში კი, შედიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გლობალური ეკოლოგიური ქსელის რაღაც კონკრეტული ნაწილები. ამ კატეგორიაში აშკარა უპირატესობას ფლობს ბუნების კონსერვაციის მსოფლიო კავშირი (IUCN- International Union for the Conservation of Nature), ფაქტობრივად ეს არის ქსელი სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორისა გარემოს დაცვის სფეროში. შემდეგ მოდის დედამიწის საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაცია (Friends of Earth-International), გრინპისი (Greenpeace International) და მსოფლიო ველური ბუნების ფონდი (WWF). ამ ჯგუფში ხაზგასასმელია ისეთი არასამთავრობო ეკოლოგიური ორგანიზაციაც, როგორიცაა მსოფლიო ეკოლოგიური სამართლის ალიანსი (The Environmental Law Alliance Worldwide), ეს არის მაგალითი წევრობაზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკოლოგიური ქსელისა, რომელიც შედგება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისათვის მომუშავე ცამეტი ქვეყნის მეცნიერებისა და იურისტებისაგან. ორგანიზაცია ყოველწლიურად თითქმის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანას უწევს იურიდიულ დახმარებას.

ეკოლოგიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკმაოდ კარგად აქვთ ფეხი  
მოკიდებული გლობალური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. მაგალითად, სამხრეთ  
ამერიკას შეუძლია იტრაბახოს ისეთი დახვეწილი ეკოლოგიური არასამთავრობო  
ორგანიზაციების არსებობით, რომელთა მგავსი არსად მსოფლიოში არ  
არსებობს. მათ შორისაა პერუში – Sociedad Peruana Derecho Ambiental,  
არგენტინაში - Fundacion Ambiente y Recursos Naturales, მექსიკაში - Centro Mexicano  
Del Derecho Ambiental, კოსტა რიკაში - SEDERENA, გუატემალაში - IDEADS და  
კოლუმბიაში - Fundepublico.

საინტერესოა იმის გაანალიზება, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციების  
საქმიანობა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში საკმაოდ  
სპეციფიკურია. მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი ფუნქცია გარემოს  
მდგომარეობის გაუმჯობესებაა, ისინი არაპირდაპირი გზით ადამიანის  
ეკოლოგიური უფლებების დაცვასაც ახორციელებენ.

პირველ რიგში, განსხვავება უნდა გაკეთდეს საერთაშორისო  
სამთავრებათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ  
სტატუსსა და, აქედან გამომდინარე, მათ ფუნქციურ და კომპეტენციურ  
დატვირთვაზე ამ სფეროში. მაშინ როცა, პირველი კატეგორიის ორგანიზაციები  
აღჭურვილნი არიან გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით,  
არასამთავრობო სექტორი მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს  
სხვადასხვა მნიშვნელოვანი კონფერენციებზე. ეს გარემოება მათ ზღუდავს  
რეალობაში ასახაონ თავიანთი სტრატეგიები და მიზნები. აღსანიშნავია, რომ  
დღესდღეობით შეიმჩნევა ახალი ტენდენცია, რაც არასამთავრობო სექტორი  
უფრო აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს საერთაშორისო შეხვედრებსა თუ  
თათბირებში, რომლებიც გარემოს დაცვას ეხება. მაგალითად, ბოლო დროს,  
აშშ-ს ნებისმიერი საერთაშორისო დელეგაცია აუცილებლად მოიცავს  
არასამთავრობო სექტორს და მეწარმეებს, როგორც დელეგაციის  
არაოფიციალურ წარმომადგენლებს. მაგალითად, საერთაშორისო ეკოლოგიური  
სამართლის ცენტრის იურისტები, როგორც აშშ-ს ოფიციალური დელეგაციის  
წევრები, მონაწილეობდნენ ისეთ კონფერენციებში, რომლებიც მიეძღვნა –  
ბიომრავალფეროვნების კონვენციას, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას,  
სამთავრობათშორისო შეხვედრას სატექნიკურო და ა.შ. ზოგ შემთხვევაში  
არასამთავრობო სექტორი ფორმალურად სახელმწიფოს სახელით გამოდის და

წარმოადგენს მას საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მაგალითად, კლიმატის ცვლილების ჩარჩო ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებზე განუატუსა და სხვა კუნძულოვან სახელმწიფოებს წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლისა და განვითარების ორგანიზაცია (Foundation of International Law and Development). საერთაშორისო სამართლის განვითარების ცენტრის (CIEL) ადვოკატები ხშირად გამოდიოდნენ მარშალის კუნძულების მთავრობების სახელით ხმელეთიდან ზღვის დაბუნდურების შესახებ კონვენციისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებზე.<sup>187</sup>

„ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის“ და „ეკოლოგიური სამართლის საერთაშორისო საბჭოს“ ეკოლოგიური კომისიის ფარგლებში (არასამთავრობო სექტორი), იურისტების საერთაშორისო მუშა ჯგუფის მიერ მომზადებულია „გარემოს და განვითარების საერთაშორისო პაქტის“ პროექტი, რომელიც საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის პრინციპების კოდიფიცირების მცდელობაა. „პაქტის“ პროექტი წარმოდგენილი იქნა გაეროს „საერთაშორისო საჯარო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ კონგრესზე“ (ნიუ-იორკი, 1995 წლის 13-17 მარტი) და მოწონება დაიმსახურა.<sup>188</sup> შემდგომში დაგეგმილია ამ დოკუმენტის მსოფლიოს სახელმიფოების მიერ ხელმოწერა და მისთვის საგალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი აქტის სტატუსის მინიჭება.

„პაქტის“ პროექტი პრეამბულისა და 72 მუხლისგან შედგება. ძირითადი დებულებები სიცოცხლის ყველა ფორმის, საერთო ზრუნვის, ურთიერთდაკავშირებული ფასეულობების, თაობათა თანასწორობის, ზიანის პრევენციის, ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილების, განვითარების უფლების, სიდარიბის აღმოფხვრის, დემოგრაფიული პოლიტიკის და მოხმარების მოდელის კორექციის პრინციპებს განსაზღვრავენ. პროექტის სხვა ნაწილებში განიხილება სახელმწიფოების ზოგადი და სპეციალური ვალდებულებები გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროებში, მათ შორის, საერთაშორისო ეკოლოგიური დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მართალია, საერთაშორისო სამართალი არასამთავრობო ორგანიზაციებს არ

<sup>187</sup> D. Hunter, J. Salzman, D. Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1224.

<sup>188</sup> Draft International Covenant on Environment and Development, Commission on Environmental Law of IUCN & Internaitonal Council of Environmental Law , 17.03.1995.

ცნობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად, მაგრამ მათი საქმიანობა, ამ შემთხვევაში, ადამიანის ეკოლოგიური უფლებებისა და გარემოს დაცვის სფეროში, რეალურად ქმნის იმის საფუძველს, რომ მოინახოს რაიმე შუალედური რგოლი, რომელიც შეძლებს არასამთავრობო სექტორის პოზიციების ეფექტიანად გაზიარებას მნიშვნელოვანი საერთაშორისოსამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებისა, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობენ ეკოლოგიური სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტაში. მაგალითად, ოზონის საკითხების განყოფილებამ – ითამაშა გადამწყვეტი როლი ოზონდამშლელი ნივთიერებების გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების პროცესში. ხოლო ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელმა წიგნმა კი დიდი ზეგავლენა იქონია ველური სამყაროს დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ სტრატეგიებზე.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მათაც დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლისა და ზოგადად დარგის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში. კორპორაციების ზეგავლენა გარემოსდაცვით, განსაკუთრებით, კი ეკოლოგიური სამეწარმეო საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებში საკმაოდ დიდია. ამის მაგალითია თუნდაც კარგად დაფინანსებული ლობისტთა ჯგუფი, ეგრეთ წოდებული - კლიმატის ცვლილების კოალიცია, ან/და თუნდაც, გარემოსდაცვითი ვაჭრობის ინფორმაციის კოალიცია, ეს კავშირები შეეხებოდნენ გლობალური დათბობის, ეკო-მარკირების და ტყის სექტორის გაუმჯობესების ყველა საკითხს დაწყებული საზოგადოებრივი განხილვებიდან, მოლაპარაკებებიდან და ხელშეკრულებებით დამთავრებული.<sup>189</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს ორგანიზაციების როლი ეკოლოგიური პოლიტიკის ჩამოყლიბების პროცესში საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამგვარი ორგანიზაციების ხშირ შემთხვევაში აქტიურ თანამშრომლობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. 1950-1960-იან წლებში ოცდაათი სახელმწიფოს უმსხვილესი სანაოსნო კომპანიის მესაკუთრეებისაგან შემდგარმა - ნაოსნობის საერთაშორისო პალატამ და

<sup>189</sup> D. Hunter, J. Salzman, D. Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1279.

საერთაშორისო საზღვაო ფორუმმა, რომელიც უძლიერესი ნავთობკომპანიების ინტერესებს ასახავს, დიდი ზეგავლენა მოახდინეს ზღვის დაბინძურებისადმი მიძღვნილი კონვენციების შექმნის პროცესებზე. თვით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციში, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ზღვების დაბინძურების საკითხებზე, დომინირებენ ისეთი მძლავრი სანაოსნო ბიზნესის მქონე სახელმწიფოები, როგორებიცაა აშშ, ნორვეგია და იაპონია. დიდი გავლენა გააჩნდათ ამ სახელმწიფოებზე ექვს უმსხვილეს ნავთობ კომპანიას. ფაქტობრივად, გლობალური ნავთობისა და ნაოსნობის საკითხების განხილვისას დღის წესრიგში დგებოდა ის საკითხები, რომლებიც ამ კომპანიების მიერ ტექნიკური გეგმის სახით იყო წარმოდგენილი.

გარემოსდაცვით ასპარეზზე ბიზნესის წარმატების მეორე ნაოელი მაგალითია 1970-1980-იან წლებში ოზონის დაცვის აქცეულიზირებული საკითხი. ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელმა უმსხვილესმა კომპანიებმა, ისევე როგორც ამ ნივთიერებების მომსმარებელმა კომპანიებმა, შეაჩერეს საერთაშორისო მცდელობა მიმართული ქლოროფლუოროკარბონ (CFC – Chlorofluorocarbons) ატმოსფეროში გაფრქვევის აკრძალვისაპერ. მსოფლიოში ფუნქციონირებდა ცხრა უდიდესი ქლოროფლუოროკარბონ მწარმოებელი კომპანია აშშ, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფოსა და იაპონიიდან. მსოფლიო ქლოროფლუოროკარბონის მარაგის ერთი მეოთხედის მწარმოებელმა აშშ-ში დაარსებულმა კომპანია „დუპონდმა“ და კიდევ ოთხმა ქლოროფლუოროკარბონის მწარმოებელმა კომპანიამ შეძლეს შეეჩერებინათ გლობალური ოზონის დამცველი პოლიტიკის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი და ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც სამეცნიერო დონეზე უკვე ათი წლის განმავლობაში დადასტურებულ იქნა ქლოროფლუროკარბონის გარემოსათვის მავნე ხასიათი.<sup>190</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხშირად ტრანსნაციონალური კორპორაციები იმდენად ერევიან გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რომ ირლვევა გარკვეული ეკოლოგიური წონასწორობა და ეკოლოგიური უფლებებიც. ამდენად, საჭიროა ამ მხრივ სამთავრებათშორისი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის პოზიციის გამყარება და საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის უფრო მკაცრი ბერკეტების ჩამოყალიბება. არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციები

<sup>190</sup> D. Hunter, J. Salzman, D. Zaelke, International Environmental Law and Policy, 1999, 1298.

ხშირად უფრო მკაცრი ხასიათით გამოირჩევიან, ვიდრე სამთავრობათშორისო ორგანიზაციებისა, რომლებიც ზეგავლენას განიცდიან ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან, რაც კიდევ დამატებით საფუძველს იძლევა იმის არგუმენტირებისავის, რომ საჭიროა არამათავრობო სექტორის კიდევ უფრო აქტიური ჩართვა გარემოს დაცვის საერთოსამართლებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, რაც კორპორაციების ბიზნეს ინტრესების შეზღუდვის დამატებით ბერკეტად იქცევა.

### **3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების პარომედებლობასა და პრატიკაში**

საზღვარგარეთის ქვეყნების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზისას, განსაკუთრებულ ინტერესს აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და ეკონომიკურად განვითარებული სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობა იწვევს. ამ ქვეყნებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარებაში. წინამდებარე თავში, მაგალითისათვის, მოკლედ მიმოიხილება ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტები სწორედ ამ სახელმწიფოებისა და ასევე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოები არიან.

სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დახმარებით, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სხვა სფეროების განვითარებით, ამ სახელმწიფოებმა შეძლეს განუმეორებელი ნაბიჯები გადაედგათ გარემოს დაცვისა და ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების სამართლებრივი სფეროში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სახელმწიფოებში და სწორედ ზემოაღნიშნული სფეროების განვითარებამ გამოიწვია 60-იან წლებში ეკოლოგიური კრიზისი, რისი რეალურად და სრულყოფილად აღქმის შემდეგ ამ სახელმწიფოებმა ქმედითი ნაბიჯები გადადგეს გარემოს დაცვის მიზნით. ეკოლოგიური კანონმდებლობის განვითარების პარალელურად, ამ სახელმწიფოებში მკაცრად განსაზღვრული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში.

ისტორიულად, დღეისათვის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური კანონმდებლობის განვითარებას მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძვლები. ამის ნათელი დადასტურებაა დიდი ბრიტანეთის 1863 წლის კანონი, რომელიც ატმოსფერული პარამეტრი ნივთიერებებისგან დაბინძურებისაგან დაცვას ითვალისწინებდა. ასევე საინტერესოა საფრანგეთის 1917 წლის კანონი, რომელიც დასახლებულ პუნქტებში ეკოლოგიური საფრთხის შემცველი საწარმოების განთავსებას კრძალავდა. სამწუხაროდ, ამგვარ დებულებებს დღვენდელი ქართული კანონმდებლობა არ შეიცავს. გარემოს

დაცვის სფეროში შექმნილი საკანონმდებლო აქტი პოლანდიაში იყო 1875 კანონი მავნებლობის შესახებ (Nuisance Act), რომელიც დღესაც მოქმედებს.

ეკოლოგიური სამართლებრივი სისტემის ფორმირების ისტორიული თვალსაზრისით განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ მათი დაჯგუფება, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგებისა, ხდება რომანულ-გერმანული (კონტინენტური) და საერთო სამართლის (ანგლო-ამერიკული) მიხედვით. ამდენად, ისიც ნათელია, რომ რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებში ეკოლოგიური სამართლის წყაროებს - კანონები, ხოლო ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებში ეკოლოგიური სამართლის წყაროებს, კანონების გარდა, სასამართლო პრეცედენტები წარმოადგენენ.<sup>191</sup>

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, თავიანთ კონსტიტუციებში აყალიბებს დებულებებს, რომლებიც საჯაროდ ადგენენ გარემოს დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. ასე, მაგალითად, შვეიცარიის კონსტიტუცია (1962 წ.) ადგენს, რომ სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს ბუნებრივი ლანდშაფტი. იტალიის (1974 წ.) კონსტიტუცია ადგენს, რომ სახელმწიფო იცავს ბუნებას. პოლანდიის კონსტიტუცია (1952 წ.) 21-ე მუხლში საზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას იზრუნოს ცხოვრების ხარისხზე გარემოს დაცვის მაღალი დონის შენარჩუნებით. რაც შეეხება ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება გამყარებულია განვითარებული ქვეყნების შედარებით ახალ კონსტიტუციებში (პორტუგალია 1976 წ.; ესპანეთი 1978 წ.; თურქეთი 1982 წ. და ბრაზილია, 1988 წ.) აღნიშნული უფლება სხვადასხვაგარად არის გადმოცემული. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება ისარგებლოს გარემოთი საკუთარი ინდივიდუალიზმის განვითარების მიზნით.

დღეს, მსოფლიოში, უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრიორიტეტი ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამართლებრივი რეგულირებაა. სწორედ, ამ მიზნით, იქმნებოდა და ამჟამადაც ვითარდება კანონმდებლობა განვითარებულ სახელმწიფოებში. ეკოლოგიური კანონმდებლობის შემუშავებას განვითარებულ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა 1960-იანი წლების ბოლოს, როდესაც მიღებულ იქნა გარემოს დაცვის ძირითადი კანონები მთელი რიგ სახელმწიფოებში. 1967

<sup>191</sup>Ю. Матвеев, Англо-Американское Деликтное Право, 1973, 136-160.

წელს იაპონიაში, 1969 წელს შვედეთში, 1970 წელს აშშ-ში, 1976 წელს საფრანგეთში, 1976 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიური სამართლის უმნიშვნელოვანეს ობიექტს საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების სამართლებრივი რეგულირებაა. ამ მიზნით თითოეულ სახელმწიფოში იქმნება მძლავრი საკანონმდებლო ბაზა ატმოსფერული პარტის, წყლის, წიაღის დაცვის სფეროში, ტოქსიური ნივთიერებების კონტროლის სფეროში, ნარჩენების მართვის სფეროში და ა.შ. აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების დაცვას, წარმოების წარმართვას ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებით, ტოქსიკური ნივთიერებების და ნარჩენების გაფრქვევის, ჩაშვების აკრძალვას და მინიმიზაციას ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიური კანონმდებლობა იცნობს ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტსაც. პასუხისმგელობა განსაზღვულია დაბინძურების წყაროს მფლობელისათვის.<sup>192</sup> განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიური კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა ამ ქვეყნების ეროვნული სამართლებრივი სისტემების განუყოფელი ნაწილია და მათზე დაყრდნობით ფიზიკურმა პირებმა მათი ეკოლოგიური უფლებების დაცვა შესაძლოა სამართლიანად მოითხოვონ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური სამართლის განვითარებასა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი გარანტიების შემუშავებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროგაერთიების სამართალს, რაც ამ ნაშრომში ცალკე მიმოიხილება. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ამ მხრივ საინტერესოა უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის ეკოლოგიური კანონმდებლობის მაგალითების მიმოხილვა, როგორც ყოფილი საბჭოთა ბანაკის სახელმწიფოებისა. ამ ქვეყნებში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, ეკოლოგიური კანონმდებლობა განვითარების აქტიურ ფაზაშია. მიღებულია ახალი კონსტიტუციები და კანონები ადამიანისა და გარემოს ურთიერდამოკიდებულების რეგულირების სფეროში. სახელმწიფოთა

<sup>192</sup> М. Бринчук, Экологическое Право, 1998, 615.

მიხედვით განსხვავებულია კანონებიც და რეგულირების ობიექტიც, თუმცა თითოეული მათგანი გარემოსდაცვის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპის დაცვით არის შემუშავებული. ასე მაგალითად, ეკოლოგიური საკითხები საკმაოდ ფართოდ არის დარეგულირებული უკრაინის 1996 წლის 28 ივნისის კონსტიტუციით. კონსტიტუცია აღიარებს მოქალაქეთა უფლებას იცხოვრონ მათი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოში და მიიღონ კომპენსაცია მიუქნებული ზიანისათვის. გარდა ამისა, კონსტიტუციით გარანტირებულია მოქალაქეთა უფლება მიიღონ მათვის სასურველი ინფორმაცია მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ.<sup>193</sup> გარდა ამისა, უკრაინის კონსტიტუცია ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს უზრუნვლყონ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება, აღკვეთონ ის შედეგები რაც მოჰყვა ჩერნობილის ავარიას და შეინარჩუნონ უკრაინის გენოფონდი.<sup>194</sup>

უკრაინის ეკოლოგიური კანონმდებლობის სისტემაში შედის კანონები „გარემოს დაცვის შესახებ“ (1991 წ.); „მიწის კოდექსი“ (1990 წ.); კანონი ნაკრძალთა ფონდის შესახებ“ (1992 წ.); „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1992 წ.); „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1993 წ.); „წიაღის კოდექსი“ (1994 წ.); „წყლის კოდექსი“ (1995 წ.); „კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1995 წ.). უკრაინის მსგავსია კანონმდებლობა ბელორუსიაში, რუსეთის ფედერაციასა და კიდევ სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ადგენს კონსტიტუციურ გარანტიებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში.

პოლონეთში, უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთსა და ურავილი სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოებში (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა) ეკოლოგიური კანონმდებლობა განვითრების უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში (გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა). გარემოსდაცვითმა კანონმდებლობამ ამ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ სოციალიზმის დროს (80-იან წლებში) დაიწყო განვითარება. ბულგარეთში, უნგრეთსა და პოლონეთში მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონები, რომლებიც გარემოსა და ადმიანის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვას ითვალისწინებს. გარდა კანონმდებლობისა, ამ სახელმწიფოებში აღნიშნულ

<sup>193</sup> 50-ე მუხლი.

სფეროში ინსტიტუციური განვითარებაც უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყო, შეიქმნა დარგობრივი უწყებები, მათ შორის, სამინისტროებიც, რამაც, მათ საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან ადაპტირებაში შეუწყო ხელი. გარდა სამართლებრივი მსარისა, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სასამართლო პრაქტიკის აქტუალიზების საკითხიც, რაც თავისთვად სასამართლო ორგანოების საქმიანობისადმი ახლებურ მიღებობას მოითხოვს. სტოკოლმის დეკლარაციის პრეამბულის თანახმად, გარემოს დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე უეერემანტრიმ თავის მოსაზრებაში საქმეზე: უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ (*Hungary v. Slovakia*) ხაზი გაუსვა, რომ გარემოსადმი ზიანის მიუწებამ შეიძლება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული ყველა უფლება ხელყოს.<sup>195</sup> ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა არის ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი, შესაძლებელია გარემოს დაცვის ადამიანის დაცვის მიზნით გამოყენება და ადამიანის უფლებების გარემოს დაცვის მიზნით გამოყენება.<sup>196</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები მეტად მნიშვნელოვანია და ფაქტობრივად სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების უმთავრესი საშუალებაა. ადამიანის უფლებების დაცვის გათვალისწინებით იქმნება და ვითარდება სამართალი, რადგან სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაა სახელმწიფოს ლეგიტიმური ფუნქციონირების ძირითადი წერტილი. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა (გარდა იაპონიის, აშშ-ის, თურქეთისა და ბრაზილიის) დიდი ნაწილის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი და ფაქტობრივად გადამწყვეტი ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას გარემოსდაცვით

<sup>194</sup> მე-16 მუხლი.

<sup>195</sup> ი. გივააშვილი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორელია, თბილისი, 2005 წ. გვ. 79.

<sup>196</sup> ი. გივააშვილი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორელია, თბილისი, 2005 წ. გვ. 79; M.Anderson, Human Rights Approaches to Environmental Protection: An Overview, in: Human Rights Approaches to Environmental Protection, A.Boyle and M.Anderson, 1998, 3.

საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. როგორც აღინიშნა, კონვენცია აღიარებს მოქალაქეთა უფლებებს ეკოლოგიური ინფორმაციის, მონაწილეობისა და მართლმსაჯულების სფეროში და მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის ხელშეწყობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მონაწილეობისა და ჯანსაღი გარემოს სარგებლობის უფლებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ძლიერი კანონადსრულების მექანიზმი. მთავრობის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ კანონების განხორციელების უზრუნველყოფაა. გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობა დაფუძნებულია ძველ, მაგრამ ხელისუფლების დაყოფის უტყუარ დოქტრინაზე<sup>197</sup>. მას მიმართავს ყველა დემოკრატიული საზოგადოება. იგი უზრუნველყოფს, რომ ხელისუფლების სამი შტოდან (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) არც ერთმა ბოროტად არ გამოიყენოს ძალაუფლება და თავის თავზე არ აიღოს მმართველობის სრული პროცესი. კანონები, რომლებსაც საკანონმდებლო ორგანოები (პარლამენტი) იღებენ, მზადდება და ხორციელდება აღმასრულებლების (მთავრობა) მიერ, ხოლო მათი განხორციელების კანონიერება მოწმდება მართლმსაჯულების (სასამართლოს) საშუალებით. სამივე განშტოება რაც შეიძლება დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისაგან. მაგრამ მესამე შტოს – სასამართლოს დამოუკიდებლობას განსაკუთრებული, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. რასაკვირველია, ეს ყოველთვის იდეალურად არ ხდება. ხშირად, ამ უკანასკნელ სისტემას კორუფცია მოიცავს და იმავდროულად განიცდის ზეწოლას დანარჩენი ორი განშტოებისა თუ კერძო პირისაგან. უფრო მეტიც, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ეკროპაში თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში მართლმსაჯულება

<sup>197</sup> პოლიტიკური თავისუფლების დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად აუცილებელია ხელისუფლების დაყოფა სამ დამოუკიდებელ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. თითოეულს მიენიჭება მმართველობის ერთი ფუნქცია: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების. მათი მოქმედების სფერო უნდა შემოისაზღვროს მისი ფუნქციით და არ უნდა მიეცეს ნება შეიჭრას სხვა შტოების ფუნქციებში. უფრო მეტიც, პირები, რომლებიც ხელისუფლების ამ სამ შტოს შეადგენენ, განსხვავებულნი და განცალკევებულნი უნდა იყვნენ. არც ერთ პირს არ უნდა მიეცეს უფლება იყოს ერთზე მეტი შტოს წევრი. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ შტოს საშუალება ეძლევა შეამოწმოს მეორე და არც ერთი მათგანს ცალკე არ შეეძლება კონტროლის ქვეშ მოიქციოს მთელი

დიდად იყო დამოკიდებული აღმასრულებლებზე და ხშირად დღესაც არ გააჩნიათ სურვილი იმოქმედონ სამთავრობო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, სულ უფრო ხშირია სასამართლო საქმეები, რომლებიც აპროტესტებენ ხელისუფლების გადაწყვეტილებებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ქმედება არასასიამოვნოა მმართველი ორგანოებისთვის, თვით პროცესი მათთვის ყოველთვის არ არის მძიმე ტვირთი. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ზოგჯერ მოიაზრება, როგორც ხელისუფლების გადაწყვეტილებისადმი უნდობლობის გამოხატვა. სინამდვილეში, მართლმსაჯულებისადმი მიმართვა უმეტესად გამოწვეულია ბუნდოვანი, ორზროვანი საკანონმდებლო დებულებებითა თუ მათი საერთოდ არარსებობითა და იურიდიული ინტერპრეტაციის საჭიროებით. ჩვეულებრივ, სწორედ კანონების ბუნდოვანება და სხვადასხვა კანონების ურთიერთშეუთავსებლობაა იმის მიზეზი, რომ მოხელე ზუსტად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და შედეგად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრდება.<sup>198</sup> გარდა იმ ეკოლოგიური დარღვევებისა, რომლებიც ეკოლოგიური ინფორმაციის შეზღუდვას შეეხება, მსოფლიო სასამართლო პრაქტიკა იცნობს იმგვარ შემთხვევებს, როდესაც ირლვევა ადამიანის სხვა ეკოლოგიური უფლებებიც.

მეოცე საუკუნის ბოლოს, კაცობრობა ადამიანის უფლებათა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით წარმოშობილი სარჩელების უპრეცედენტო რაოდენობის მოწმე გახდა. არასდროს არ გასჩენია ამდენ ადამიანს ამგვარი მოთხოვნები ადრე და არასდროს ყოფილა ასეთი ეფექტიანი მართლმსაჯულება ადამიანის უფლებებთან და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით. მეოცე საუკუნის ბოლო წლებში ადამიანის უფლებათა სამართალი და ეკოლოგიური სამართალი ფაქტობრივად ერთდროულად მომწიფდა და სამართლის მეცნიერებაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.<sup>199</sup> მსოფლიოს ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად თავი იჩინა გარემოს დაბინძურების საკითხმაც. ამ პრობლემამ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თვით ყველაზე გახმაურებული ეკოლოგიური სასამართლო

სახელმწიფო აპარატი; ასევე იხ.: Vile M.J.C. Constitutionalism and Separation of Powers, M.J.C. by Vile. Oxford, Clarendon P., 1967, 359.

<sup>198</sup> ორჰუსის კონვენციის განხორციელება, სახელმძღვანელო საჯარო მოხელეთათვის. 2004 წ., გ. 100.

<sup>199</sup> M. R. Anderson, Human Rights Approaches To Environmental Protection, 1996, 1.

პროცესების მეშვეობითაც. მათ შორის არის ცნობილი სმელტერის<sup>200</sup> სასამართლო პროცესი აშშ-სა და კანადას შორის, როდესაც მოხდა გოგირდის დიოქსიდის გაფრქვევა კანადის ტერიტორიაზე განთავსებული გადამამუშავებელი ქარხნიდან და საკმაო ზიანი მოუტანა აშშ-ს. სმელტერის საქმე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი საერთაშორისო მართლმსაჯულებისათვის, რომ მომხდარიყო ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხის აქტუალიზაცია, თუმცა თვით ეს საქმე არა მოსახლეობის სუფთა ჰაერით უზრუნველყოფის მოთხოვნით აღიძრა, არამედ ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების მიზეზით, რამაც აშშ-ს მოსახლეობის კეთილდღეობას და მათს საკუთრებას სირთულეები შეუქმნა. სმელტერის საქმე განიხილა 3 მოსამართლისგან შემდგარმა ტრიბუნალმა და გადაწყვეტილება აშშ-ს სასარგებლოდ გამოიტანა და დაადგინა: „არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გამოიყენოს და გამოაყენებინოს საკუთარი ტერიტორია იმგვარი მიზნებისათვის, რომლებმაც შესაძლოა გამონაბოლქვის სახით ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოს, მის საკუთრებას და მოსახლეობას. “ ამ გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას თავისი ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომელიც სერიოზულ ფიზიკურ ზიანს მიაყენებს სხვა სახელმწიფოს გარემოს. ეს დებულება განამტკიცა სხვა საქმეებმაც, მათ შორის, „ლაკ ლანუს“ (*Lac Lanoux*) საქმე<sup>201</sup> და „გათ დემის“ (*Gut Dam*) საქმე<sup>202</sup>. 1996 წლის „ბირთვული იარაღის მუქარისა და გამოყენების სამართლებრიობის შესახებ საკონსულტაციო თვალსაზრისში“ საერთაშორისო სასამართლომ პირველად, უფრო ზოგადი ტერმინების გამოყენებით დაადასტურა, რომ:

„სასამართლო აღიარებს, რომ გარემო აბსტრაქცია არ არის, ის კაცობრიობის, მათ შორის, მომავალი თაობების სასიცოცხლო სივრცეს, ცხოვრების დონესა და ჯანმრთელობასაც კი წარმოადგენს. თვით არსებობა იმ ზოგადი კალდებულებისა, რომლის თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ მისი იურისდიქციისა და კონტროლის ფარგლებში განხორციელებულმა ქმედებებმა დააზიანონ სხვა სახელმწიფოების ან ეროვნულ კონტროლს გარეთ

<sup>200</sup> Trail Smelter Case (*United States v. Canada*), Arbitral Tribunal, 1941, 3 UN Rep. Int'l Arb. Awards (1941).

<sup>201</sup> Affaire du Lac Lanoux case, RIAAXII 281(2963). n.b. D.Rauschning, Lac Lanoux Arbitration, EPIL2 (1981), 166-8.

<sup>202</sup> US v. Canada, ILM 8 (1969), 118; G.Handl, Gut Dam Claims, EPIL2(1995), 653-6.

დღებარე ტერიტორიების გარემო, დღეს საერთაშორისო სამართლის  
ნაწილია.<sup>203</sup>

პაერის დაბინძურება, როგორც ტრანსასაზღვრო, ისევე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური უფლების დარღვევა. ადამიანის ჯანმრთელობის შერყევის (ეკოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე) ძირითადი ნაწილი სწორედ პაერის დაბინძურებაზე მოდის. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 1.3 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს იმგვარ ტერიტორიებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მოთხოვნებს პაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ, რაც შემდგომში მაღალი სიკვდილიანობის მიზეზი ხდება. მაგალითად, ბანკოკში პაერის დაბინძურება იწვევს მცირებლოვანი ბავშვების გონიერივი განვითრების მნიშვნელოვან დაქვეითებას<sup>204</sup>.

გარდა ევროპული სასამართლოს საქმეებისა, რომლებიც ამ ნაშრომში განიხილება, საინტერესოა ხაზი გაესვას ზოგიერთ გახმაურებულ სარჩელსაც, რომლებიც სწორედ ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით იქნენ წარდგენილნი სასამართლოების წინაშე. მაგალითად: 1993 წლის დეკემბერში გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მდივანმა გადაწყვიტა უპირატესობა მიენიჭებინა მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ინტერესებისათვის იშვიათ ფრინველთა ინტერესების საზიანოდ და პორტ „შირნესის“ მახლობლად არსებული ჭარბტენიანი ტერიტორია ლაპელ-ბენკი, რომელიც გადამფრენი ფრინველების შესვენებისა და გამრავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი იყო, გამოერიცხა დაცული ტერიტორიებიდან და გადაეცა ეკონომიკური საქმიანობისათვის. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საქმე აღმრა ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოება“ (RSPB). საქმე ორგანიზაციამ აღმრა არა რაიმე საკუთარი კერძო ინტერესის ან მისდამი მიუქნებული კონკრეტული ზიანის საფუძველზე, არამედ სუფთა გარემოში ცხოვრების უფლებისა და ამ გარემოს დაცვის მისი გალდებულების საფუძველზე. სასამართლომ ეს დასაბუთება ორგანიზაციის „საკმარის

<sup>203</sup> ILM35 (1996), 809, at 821, par. 29; M.Fitzmaurice, Environmental Protection and International Court of Justice, in V.Lowe/ M.Fitzmaurice. Fifty Years of the International Court of Justice, 1996, 293-315; ასევე იხ., პ.მალანჩუკის რედაქტორობით:აკერპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართლი. 2005. გვ. 275.

ინტერესად,, მიიჩნია და საქმე წარმოებაში მიიღო. საქმე სხვადასხვა ინსტანციაში მიმდინარეობდა 3 წლის მანძილზე. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ საბოლოო ჯამში საქმე მოიგო, არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და საბოლოო განაჩენის გამოტანის მომენტისათვის (1996 წლის ივლისი) ლაპელ-ბენკი, როგორც ფრინველთა პაბიტატი, უკვე განადგურებულ იყო.

80-იან წლებში ქ. ლვოვის ხელისუფლებამ ნებართვა გასცა საცხოვრებელი კომპლექსის აშენების თაობაზე. კომპლექსი დაგეგმილი იყო ძველი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გამწვანებულ პარკში და არ იყო გათვალისწინებული ქალაქის დაგეგმარების დოკუმენტაციაში. მოედანი და პარკი მდებარეობდა ადგილობრივი საკათედრო ტაძრის წინ და ადგილობრივი მოსახლეობისა და მრევლისათვის დასვენების ადგილად ითვლებოდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ საქმეში ჩართო გარემოსდაცვით ადვოკატთა ორგანიზაცია, რათა მათი სახელით გაესაჩივრებინათ კომპლექსის მშენებლობისა და განთავსების ნებართვები. საქმე აღიძრა, მაგრამ ამასობაში სამშენებლო კომპანიამ მოედანზე განათავსა საჭირო აღჭურვილობა და დაიწყო მშენებლობისათვის შზადება. ადვოკატებმა მოსამართლეს მოსთხოვეს აეკრძალა კომპანიისათვის ნებისმიერი სამუშაოს განხორციელება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. პარალელურად მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და გზა გადაუკეტა ბულდოზერებსა და მძიმე ტექნიკას. მოსამართლემ გასცა ბრძანება ნებართვების შეჩერების შესახებ, ადგილზე მივიდა სასამართლოს აღმასრულებელი და აიძულა კომპანია შეეჩერებინა სამუშაოები. მოგვიანებით, იმავე წელს, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით გაუქმდა მშენებლობის ნებართვა, პარკში, ტაძრის წინ ისევ შრიალებდნენ გადარჩენილი ხეები, რაც შესაბამისად მოსახლეობის ინტერესებს ასახავდა.

ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტიტუციური მექანიზმის უკეთ ამუშავების მიზნით, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, 1994 წელს მეხიკოში დაარსდა საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლო და მას მიენიჭა საერთაშორისო ეკოლოგიური საარბიტრაჟო სასამართლოს სტატუსი. სასამართლოს შემადგენლობაში შედის 29 იურისტ-ეკოლოგი მსოფლიოს 24 ქვეყნიდან. სასამართლო უზრუნველყოფს იმ დავების გადაწყვეტას, რომლებიც

<sup>204</sup> D. Hunter, J. Salzman, D. Zaelke, International Environmental Law and Policy, 1998, 504.

წარმოიშვებიან საერთაშორისო ურთიერთობებში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით. ამ ფუნქციას სასამართლო ახორციელებს სამი ძირითადი მიმრთულებით: დამდგარი შედეგის იურიდიულ-ეკოლოგიური შეფასებით და მხარეთათვის კონსულტაციების მიცემა; მხარეთა შერიგების პროცედურის გამოყენება; მხარეთა მოთხოვნით წარიმართება საარბიტრაჟო პროცესი, ამასთან სასამართლო გადაწყვეტილებას ექნება მხარეთათვის სავალდებულო ხასიათი.

საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლო არის საარბიტრაჟო სასამართლო და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს ფარავენ მონაწილე მხარეები. პროცედურის თანახმად, მხარეები მიმართავენ სასამართლოს და თვითონ ირჩევენ სამ ან მეტ მოსამართლეს (მათი რაოდენობა აუცილებლად ლუწი უნდა იყოს). არჩეული მასამართლეებიდან დგება კოლეგია, რომელიც წარმართავს და განიხილავს არსებულ საქმეს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო განიხილავს ისეთ საქმეებს, როგორიცაა ზარალის ანაზღაურების საკითხი იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია გარემოს ტრანსაზაზღვრო დაბინძურებითა და ხელყოფით. სასამართლო უფლებამოსილია ასევე, განიხილოს საერთაშორისო დავები, დაკავშირებული გარემოსათვის საფრთხის შემქმნელი საქმიანობის გამოვლენა, შეფასება, აღკვეთა, შეჩერება და შეწყვეტისათვის. გარდა ამისა, სასამართლოს კომპეტენციაში შედის საზიარო დაცული ტერიტორიების გამოყენებასთან დაკავშირებული დავების განხილვა, ისევე, როგორც იმ ზარალის ანაზღაურების საკითხი, რომელიც გამოწვეულია ომის შედეგად. სასამართლო აგრეთვე დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო გაემოსდაცვით ასპარეზე მოქალაქეთა ეკოლოგიური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხს.

უფლება მიმართოს საერთაშორისო ეკოლოგიურ სასამართლოს აქვს ნებისმიერ სახელმწიფოს, ისევე როგორც საერთაშორისო და ეროვნული დონის კომპეტენტურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს და მოქალაქეებს. სასამართლოსათვის მამართვის უფლება აქვთ ერთი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სუბიექტებსაც, იმ შემთხვევაში, თუ მათი ეროვნული კანონმდებლობა არ კრძალავს ასეთ ქმედებას. სასამართლო წარმოებისას მოსამართლეები ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ეროვნული კანონმდებლობით და იმ განჩინებებით, რომლებიც არსებობენ სასამართლო და

დიპლომატიური პრეცედენტების სახით. საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლოს გარდა, 1993 წელს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში ჩამოყალიბდა განყოფილება ეკოლოგიურ საკითხებში. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი (International Criminal Law) ცალქე გამოყოფს დანაშაულს გარემოს წინააღმდეგ (Crimes Against the Environment).

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, მართლმსაჯულების ეკროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიისა და ადამიანის უფლებათა აფრიკული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღიარებენ კაგშირს ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის.<sup>205</sup> ამასთან აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენცია იყო პირველი იურიდიულად საგალდებულო საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც მოიცვა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მთელი კომპლექსი<sup>206</sup>. ამდენად, მეტად საინერესოა ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით ეკროპული კონვენციის პრეცედენტული სამართლის პრაქტიკის მიმოხილვა, რაც ნაშრომშია გაანალიზებული.

---

<sup>205</sup> D. Shelton, The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals in: Linking Human Rights and Environment, R.Picolotti and J.D. Traillant (Eds.), 2003, 12.

---

<sup>206</sup> ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 219.  
- 124 -

#### 4. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლოს სტანდარტების ასახვა საქართველოს კანონდებლობასა და პრაქტიკაში

თითოეულ სახელმწიფოში, მისი ისტორიულ-სამართლებრივი ტიპოლოგიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, მათ შორის ისეთი, რომელიც არეგულირებს სამართალურთიერთობებს ეკოლოგიის სფეროში.

შიდასახელმწიფოებრივი ეკოლოგიური სამართლის დახვეწა, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს, ზოგადად, საზოგადოების ეკოლოგიისადმი დამოკიდებულების სრულყოფას და განავითარებს თვით სახელმწიფოების ურთიერთკავშირს ამ სფეროში, რამეთუ ეკოლოგიური პრობლემები ხშირ შემთხვევაში სცილდება კონკრეტული სახელმწიფოს ოფიციალურ საზღვრებს და საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ჯანმრთელობას. ეკოლოგიურ პრობლემასა და ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის წარმოქმნილ საფრთხეს შორის კი, პირდაპირი კავშირი არსებობს, რასაც თან ხდევს საკითხით დაინტერესებული პირების საქმიანობის შევიწროება და მათგის საინტერესო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა.<sup>207</sup>

მეორე მხრივ, ეკოლოგიური შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განვითარება ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართვას გარემოსდაცვითი საკითხების შემუშავების პროცესში. ეჭვგარეშეა და ამას არაერთი მეცნიერის კვლევა ადასტურებს, რომ ეკოლოგია და ადამიანის უფლებები პირდაპირ ურთიერთკავშირიშია. ამდენად, ეკოლოგიური კანონმდებლობის განვითარება რეალურ საფუძველს დაუდებს თვით ფუნდამენტალური უფლებების დაცვასაც, რამეთუ ეკოლოგიური უფლებები განიხილება, როგორც სოციალურ, ასევე ისეთ პროცედურალ უფლებებად, როგორიცაა – უფლება ინფორმაციაზე, უფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობასა და უფლება მართლმსაჯულებაზე. კავშირი გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის ნამდვილად თვალნათელია.<sup>208</sup> ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიური

<sup>207</sup> M. R. Anderson, Human Rights Approaches to Environmental Protection: An Overview, in Alan E. Boyle and Michael R. Anderson (edc.), *Human Rights Approaches to Environmental Protection*, 4-5 (1996).

<sup>208</sup> G. Handl, Human Rights and the Protection of the Environment: A Mildly Revisionist View, in Antonio Augusto Cancado Trindade (ed.), *Human Rights, Sustainable Development and the Environment*, San Jose de Costa Rica and Brasilia, 119 (1992).

სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სისტემის თანადროულ განვითარებას რამოდენიმე უპირატესობა აქვს: იგი ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის მნიშვნელობის გაძლიერებას; გააადვილებს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების ჰარმონიზაციას; გაზრდის საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის დონეს.

სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო საქართველოს ეკოლოგიური სამართალი უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა და განვითარდა, ვიდრე საზღვარგარეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

ზოგადად, ბუნების დაცვის საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში გარკვეულწილად აქტუალური იყო. ეს გამოიხატებოდა როგორც ხალხურ ტრადიციებში, ასევე გარკვეულ სახელმწიფო აქტებში. ასე, მაგალითად, პირველად ტყის და ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის დოკუმენტებში მოიხსენიება. ბუნების დაცვითი საქმიანობა, იმ ფორმით, რომელიც დღესდღეობით ითვლება მისაღებად, საქართველოს ტერიტორიაზე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს, ამ დროს იქმნება პირველი ნაკრძალები. ამ პროცესს მეტ-ნაკლებად პერმანენტული ხასიათი პქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც და, მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც ვითარდებოდა.

არსებობის მოკლე დროის განმავლობაში, საქართველოში, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების, როგორც სამართლებრივი სისტემის, ფორმირება ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა: წარმოშობა და განვითარება „მიწის კანონმდებლობის“ ფარგლებში.

დარგის განვითარების პირველი ეტაპი 1917-1968 წლებს მოიცავს. 1958 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ მიღებულ იქნა კანონი ბუნების დაცვის შესახებ<sup>209</sup>, რომელიც ბუნებას, როგორც სოციალისტური რესპუბლიკის დაცვის ობიექტს აცხადებდა და მის ხელყოფას მაშინდელი კონსტიტუციის 144-ე მუხლის დარღვევად მიიჩნევდა. 1969-1980-იან წლებში მიღებულ იქნა უკვე კონკრეტული კანონები, რომლებიც ეკოლოგიური სამართლისგან მიჯნავდა ტყის, წყლის, მთის დაცვის კანონმდებლობას. განვითარების მესამე პერიოდი იწყება 1991 წლიდან, როდესაც საქართველომ

<sup>209</sup> „კანონი ბუნების დაცვის შესახებ“, სსსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1958 წ. №5.

დამოუკიდებლობა მოიპოვა, მიღებულ იქნა დარგის მარეგულირებელი სხვადასხვა ნორმატიული აქტი, დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია და კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“<sup>210</sup>.

განვითარების პირველ ეტაპზე საქართველოს სსრ კანონმდებლობა ბუნების დაცვის საკითხებს აქტუალურს ხდიდა იმდენად, რამდენადაც, მას მიიჩნევდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ფაქტორად. საუბარი იყო ბუნებრივი რესურსების დაცვაზე მხოლოდ იმ მხრივ, რომ მათი მოხმარებით ქვეყნის მრეწველობა მოგებას იღებდა.

შემდგომ პერიოდში, სსრკ 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მათი კვლავწარმოების საკითხმაც გარკვეული აქტუალურობა შეიძინა. ამგვარი მოთხოვნა თავისთავად აღმოცენდა ქვეყანაში (და მთელ საბჭოთა კავშირში) იმ დროს გაჩადებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერებული განვითარების ფონზე. 60-იან წლებამდე საქართველოში და მთელ დანარჩენ საბჭოთა კავშირში შეიმჩნეოდა ბუნების დაცვის სფეროში არსებული მასალის ერთგვარი თავმოყრა, ხოლო 70-იანი წლებიდან მიღებულ იქნა დარგის თითოეული ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, როგორც საერთო საბჭოთა კანონმდებლობის, ასევე დამოუკიდებლად წევრი სახელმწიფოების დონეზე. ასე მაგალითად, მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის, წყლის, წიაღის, ტყის კანონმდებლობა, რომლებიც ერთდროულად ადგენდნენ ამ ბუნებრივი ობიექტების მართვისა და დაცვის სამართლებრივ რეჟიმებს.

საბჭოთა საქართველოში ეკოლოგიური სამართლის სისტემა ვითარდებოდა ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მიიღებოდა დარგის კონკრეტული მიმართულებების მარეგულებელი ნორმატიული აქტები, რომლებიც მათ სამართლებრივ სტატუსს ადგენდა და მეორე მხრივ, მიიღებოდა იმგვარი ნორმატიული აქტები, რომლებიც ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას არეგულირებდა<sup>211</sup>. ასე მიღებულ იქნა 1981 წელს კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“<sup>212</sup>, 1968 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს

<sup>210</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებაზე №1-2, 1997 წ.

<sup>211</sup> Г. Полянская, Правовые Вопросы Охраны Природы в СССР, 1963, 98.

<sup>212</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ. 132-ე მუხლი.

სახელმწიფო ნაკრძალების მოვლა-დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების დონისძიებათა შესახებ და სხვა<sup>213</sup>.

პირველად, დარგის მარეგულირებელი სპეციალიზებული კანონმდებლობა ყველა მოკავშირე სახელმწიფოში მიღებულ იქნა 1957-1963 წლებში. ეს კანონმდებლობა საკმაოდ ნოვაციური ხასიათის იყო, კანონმდებლობის განვითარების ახალ ეტაპს განეცუთვნებოდა და მიზნად ბუნების დაცვას ისახავდა. საქართველოში მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები მიწის, წიაღის, წყლის რესურსების, ფლორისა და ფაუნის, ატმოსფერული ჰაერისა და ნაკრძალების დაცვის შესახებ და შესაბამისად სანქციებიც განისაზღვრა ამ საკანონმდებლო აქტების დებულებების დარღვევისათვის მაშინდელ სისხლის სამართლის კოდექსში.<sup>214</sup>

80-იანი წლებში საბჭოთა საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობის ფორმირებამ იმ ეტაპს მიაღწია, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამართლის დამოუკიდებელი დარგი გარემოს დაცვის სფეროში. კანონმდებლობის განვითარების ეს ეტაპი საკმაოდ განსხვავდებოდა დარგის კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზისგან იმით, რომ იგი მიზანმიმართული იყო სფეროს კომპლექსური მართვის, ეკოლოგიური და ბუნებათსარგებლობის საქმიანობების, სამეურნეო საქმიანობებით გამოწვეული საფრთხის აღკვეთის დონისძიებების ჩატარების და სფეროს ფარგლებში წარმოქმნილი სხვა სამართალურთიერთობების რეგულირებისაკენ. ამგვარად, ეკოლოგიური სამართლის განვითარების მეორე ეტაპზე 1968-1988 წლებში გარემოსდაცვითმა სამართალმა იურიდიულ მეცნიერებაში თავისი ადგილი დაიკავა, რადგან ჩამოყალიბდა ეკოლოგიური სამართლის ცალკეული მიმართულებლების მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემები, რომლებიც ერთ საფუძველს ეყრდნობოდა.

თუმცა, საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გარემოსდაცვითი გამოცდილების გაზიარებასა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვაზე საბჭოთა საქართველოს ეკოლოგიურ კანონმდებლობაში ნახსენები, რა თქმა უნდა, არაფერი იყო. ითვლებოდა, რომ საბჭოთა კავშირი უსწრებდა მეცნიერებისა თუ ეკონომიკური განვითარების მხრივ ყველა სხვა სახელმწიფოებს და მათი მხრიდან საბჭოთა ქვეყნებს არაფერი ესწავლებოდათ.

<sup>213</sup> საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1968 წ., მე-17 მუხლი.

<sup>214</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წ., საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961წ. №1.

მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში მოხდა იმგვარი ეკოლოგიური კატასტროფები, რომლებმაც საზოგადოებას დაანახა ის საფრთხე, რაც ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას და გარემოზე ადამიანის მავნე ზემოქმედებას სდევს თან: ჩერნობილის კატასტროფა, არალის ზღვის ეკოლოგიური კატასტროფა, ლადოჟის ზღვის ეკოლოგიური კატასტროფა და სხვა. ამ კატასტროფებმა ნათლად აჩვენა ის საშიშროება, რაც გარემოზე გადამეტებული ანტროპოგენული ზემოქმედების შედეგად დგება.

საქართველოში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკონსტიტუციო გარანტიებმა შექმნა ის საფუძველი, რაც საშუალებას იძლევა რეგულირებულ იქნეს გარემოს ხარისხობრივი მდგრმარეობა ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით. თუმცა, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციური დაცვის საკითხმაც განვითარების საკმაოდ დიდი ისტორიული გზა განვლო, რომლის მიხედვითაც, ეს უფლებები ადამიანის ბუნებრივი უფლებების კატეგორიაში ერთიანდება. ანუ ეს იმგვარი უფლებებია, რომლებიც წარმოიშვება ადამიანის გაჩენასთან ერთად და წყდება მისი სიცოცხლის მოსპობის მომენტში. საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია პირდაპირ არ არეგულირებდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხს, თუმცა გარკვეულწილად ეხებოდა მას და 42 მუხლში ადგენდა:

„სსრკ მოქალაქეებს ჯანმრთელობის დაცვის უფლება აქვთ. ამ უფლების განხორციელება უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო მომსახურებით... გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებებით, ამასთან ბავშვთა შრომის აკრძალვის გზით, რაც დაკავშირებული არ არის აღმზრდელობით და საგანმანათლებლო საქმიანობებთან; სამეცნიერო კვლევების ჩატარების გზით, რომლებიც მიმართულია დაავადებათა აღკვეთასა და შემცირებაზე ადამიანის ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლის უზრუნველყოფის მიზნით“.

ზემოაღნიშნული მუხლიდან ირკვევა, რომ სსრკ კონსტიტუცია ადამიანის ჯანმრთელობას უზრუნველყოფდა სხვადასხვა მოქმედებების შესრულების გზით. აღსანიშნავია, აგრეთვე ამავე კონსტიტუციის მე-18 მუხლიც, რომელიც ადგენს: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით საბჭოთა კავშირში ტარდება მთელი რიგი აუცილებელი ღონისძიებები წიაღის, წყლის რესურსების, ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო დონეზე დასაბუთებულად და რაციონალურად დაცვის მიზნით, სუფთა ჰაერის

შენარჩუნების, ასევე ბუნებრივი რესურსების კვავწარმოების და ადამიანის გარესამყაროს გაუმჯობესების მიზნით.“ თუმცა, მუხლში საუბარია არა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკონსტიტუციო გარანტიებზე, არამედ სახელმწიფო ვალდებულებაზე გარემოს დაცვის სფეროში. საქართველოს სსრ კონსტიტუციაც სწორედ ამგვარ დებულებებს ითვალისწინებდა და კონკრეტულად არ არეგულირებდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხებს.

დღესდღეობით ქართული ეკოლოგიური სამართალი ერთგვარი ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება და საქმაო ზეგავლენას განიცდის როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებისგან. ერთი მხრივ, საქართველო მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებს განიცდის, მეორე მხრივ, კი ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდება სამოქალაქო საზოგადოება და იგი საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს ინტეგრირდეს მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ქართულ სამართლებრივ სისტემაში ეკოლოგიურ სამართალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდანვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ეროვნული და იმავდროულად საერთაშორისო სამართალთან ადაპტირებული ეკოლოგიური კანონმდებლობის შექმნისათვის. ეს მოძრაობა განსაკუთრებით 90-იანი წლების მეორე ნახევარში გაძლიერდა, როდესაც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები გარემოს დაცვისა და ბუნაბათსარგებლობის სფეროში. გარემოს დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპები გამყარებულია 1996 წელს მიღებულ კანონებში „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, რომ არაფერი ითქვას საქართველოს კონსტიტუციაზე და ამ სფეროში არსებულ სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გარემოს დაცვის სამართლის მეცნიერება ეკოლოგიური სამართლის სახელით არის ცნობილი<sup>215</sup>. პროფესორი ა. ლაბარყავა თავის ნაშრომში ეკოლოგიურ სამართალს განმარტავს, როგორც „ეკოლოგიურ და ეკოლოგიზებულ სამართლებრივ ნორმათა სისტემას, რომელიც

არეგულირებს ეკოლოგიურ-სამეურნეო ურთიერთობებს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, აღწარმოების, მათი და მთლიანად გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით“.<sup>216</sup> ამ საკითხს ეხება პროფესორი ლჭანტურიაც, რომელიც აღნიშნავს: „ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების მთელი სისტემა, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები ბუნების ობიექტებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში. ამ ქცევის წესების გამოყენების შედეგად წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობები. მათი ერთობლიობა გვაძლევს სამართლის განსაკუთრებულ დარგს - ეკოლოგიურ სამართალს“<sup>217</sup>.

როგორც აღინიშნა, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოში არსებობდა მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომელთა საშუალებით რეგულირდებოდა ბუნების დაცვითი და ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან დაკავშირებული საქმიანობა<sup>218</sup>, ისეთები, როგორიცაა: 1958 წლის საქართველოს სსრ კანონი ბუნების დაცვის შესახებ; 1972 წლის სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბუნების დაცვითი დონისძიებებისა და ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესების შესახებ; 1977 წლის სსრკ კანონმდებლობა სატყეო მეურნეობის საფუძვლების შესახებ; სსრკ კანონი „ცხოველთა სამყაროს რესურსების დაცვისა და გამოყენების შესახებ“; 1982 წელს გამოცემული საქართველოს წითელი წიგნი და სხვა. ამ პერიოდში საქართველოში (ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში) მთელი რესურსები და მათი მოხმარება სახელმწიფოს ხელში იყო. არსებული სისტემა ითვალისწინებდა ბუნებათსარგებლობის უფასო პრინციპს და, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებდა მდგრადი განვითარების ელემენტებს. აღნიშნვის ღირსია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კანონმდებლობისთვის, ერთი მხრივ დამახასიათებელი იყო ბუნებისდაცვითი საქმიანობის საქმაოდ მკაცრი და ეფექტური დონისძიებები, ხოლო მეორე მხრივ უგულგებელყოფილი იყო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები, ისეთი როგორიცაა უცხო სახეობების ხელოვნური ინგაზია და რიცხოვნობის რეგულირება. პირიქით, ასეთი ქმედებები

<sup>215</sup> თ. ურუმაძე, ვ. ლორია, ეკოლოგიური სამართალი, 2003; ა. ლაბარტყავა. ეკოლოგიური სამართალი, 1999.

<sup>216</sup> ა. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი. 2003, გვ. 17.

<sup>217</sup> ლ. ჭანტურია, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და სამართალი, ქურნალი „სამართალი“ 1992, №4, გ. 45.

<sup>218</sup> ი. მიქაძე, ეკოლოგია, თბილისი, 2005 წ., გვ. 228.

სტიმულირდებოდა კიდევაც (არსებობდა პრემიალური სისტემა „მავნე სახეობების“ გამოხშირვისათვის).

საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდში ადგილი ჰქონდა საბჭოთა კანონმდებლობის თანდათანობით ჩანაცვლებას ახალი ნორმატიული აქტებით. ჩამოყალიბდა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო შეთანხმებებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის მიერ მიღებული „გარემოს დაცვისა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური განვითარების პროგრამის“ – „21-ე დღის წესრიგის“ დასკვნითი დოკუმენტის საფუძველზე. მარტო 1995-1999 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში მიღებული იქნა ორ ათეულზე მეტი საკანონმდებლო აქტი. ახალი კანონმდებლობის საფუძვლებში ჩადებულია ახალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ყოველგვარი ბუნებათსარგებლობა ფასიანია: აქედან გამომდინარე, შემოღებულია სხვადასხვა მოსაკრებლები, ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა რეგულირდება ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სისტემით. ამგვარი სისტემის შემოღებას მინიმუმამდე დაჲყავს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება და ექსპლუატაცია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო შეთანხმებებს, მემორანულებებს და კონვენციებს, მათ შორის, ბუნების დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სფეროში, ენიჭებათ პრიორიტეტი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რამეთუ, საერთაშორისო სამართლის ნორმების (რომლებიც ძირითადად ზოგადი მითითებებს იძლევიან და მხარეებს მოქმედების მინიმალურ სტანდარტებს უსაზღვრავენ) ეროვნულ სამართალში ინკორპორაცია მათი ეფექტიანობის ხარისხს ზრდის და წარმოქმნის შესაბამისი ეროვნული ნორმატიული ბაზის შემუშავების აუცილებლობას.<sup>219</sup>

<sup>219</sup> J.Ebbesson, Compatibility of International and National Environmental Law, 205 (1996).

დღესდღეობით საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს საყრდენ ხორმატიულ აქტს შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანხმად ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.<sup>220</sup> საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებათა განხორციელების მიზნით მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წლის დეკემბერი)<sup>221</sup>. ამ კანონის ძირითადი მიზანი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების განხორციელებაა. იმავდროულად, იგი ქმნის სხვა საკანონმდებლო აქტების სამართლებრივ საფუძველს გარემოს დაცვის სფეროში, რითაც უზრუნველყოფს: გარემოს დაცვას მავნე ზემოქმედებისაგან; გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას; მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას; ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას; უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვას; გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად გარკვეული ძალისხმევის წარმართვას; გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას; გარემოსდაცვით განათლებას. გარემოს დაცვის კანონი შეიცავს დებულებებს ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმების, ლიცენზიების სისტემისა და ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ. იგი აგრეთვე ადგენს გარემოსდაცვით მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ტიპის საწარმოს შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ დებულებათა შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს გარემოს დაცვის მართვის ერთიანი სისტემა.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალური ბერკეტი, როგორც აღინიშნა, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაა, რომელიც 37-ე მუხლში შესაბამის მუხლობრივ განმარტებებსაც იძლევა:

„3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა კალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

<sup>220</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1995 წ. №31-33.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების კოლოგიური და კონტაქტური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათხარგებლობას.

ადამიანის უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. <sup>222</sup>

აღნიშნული მუხლი მეტად საინტერესოა თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი მე-5 პუნქტი ადგენს მოქალაქის უფლებას გარემოს შესახებ ინფორმაციის დაუძრკოლებლად მიღების შესახებ. აღნიშნული დებულება განმტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 11 თებერვალს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ქ. ორჰესის (დანია) კონვენციის რატიფიცირებით. კონვენცია განიხილება როგორც გარემოს დაცვის, ისე დემოკრატიის ბერკეტად. კონვენციას დიდი გლობალური მნიშვნელობა აქვს და, როგორც წინა თავებში აღინიშნა, ეფუძნება საზოგადოების მონაწილეობის სამ პრინციპს, რომელთაც ხშირად სამ საყრდენს უწოდებენ: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. <sup>223</sup>

ამგვარად, მოქალაქეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერის გარემოსდაცვითი ინფორმაცია სახელმწიფოსგან, გარდა საელმწიფო და კომერციული საიდუმლოებისა. რ. ოკსინის აზრით, ინფორმაცია დაბინძურების შესახებ: „ეს არის ცნობიერების გასაღები იმ საშიშროების წინაშე, რაც

<sup>221</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ. №1-2.

<sup>222</sup> საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ. 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, NN 31-33, 668-ე მუხლი.

<sup>223</sup> 1992 წლის 3-14 ივნისს, რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული გაეროს კონფერენციაზე „გარემო და განვითარება“ მიღებული დეკლარაცია. მისი მე-10 პრინციპი ასე ქვერს: „გარემოს დაცვის საკითხები უკეთ მოგვარდება უკელა დაინტერესებული მოქალაქის სათანადო ღონებები მონაწილეობის შემთხვევაში. ეროვნულ ღონებები თითოეულ ადამიანს ხელი უნდა მოიწვდებოდეს მთავრობის ხელთ არსებულ მთელ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება გარემოს, მათ გაერმოვეაში არსებულ საშიშ მასალებსა და საქმიანობებზე ინფორმაციის ჩათვლით, და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების გაცნობიერებასა და მონაწილეობას ინფორმაციის ფართო გავრცელების გზით.

ეკოლოგიური კრიზისს შეიძლება მოყვეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტიანი მონიტორინგის რეგულირების განხორციელებისა, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის.“<sup>224</sup>

ეკოლოგიური ინფორმაციის საკონსტიტუციო გარანტიები, როგორც აღინიშნა, განმტკიცებულია საქართველოს 1996 წლის კანონში „გარემოს დაცვის შესახებ.“ ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. მისი მიზანია დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით დადგენილი უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და საქართველოს საერთაშორისო გალდებულებების შესრულების მიზნით კანონით დადგენილია გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები, რომელთა შორის, აღსანიშნავია ინფორმაციია ხელმისაწვდომობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ დია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის<sup>225</sup>. კანონის მე-6 მუხლი კიდევ უფრო ნათელს ხდის სახელმწიფო პოლიტიკასა და მიზნებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებთან მიმართებით და ადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს გარემოს დაცვის სფეროში. კერძოდ, მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი, მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია თავისი და სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, მიიღოს ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს ეკოლოგიური ცნობიერების დონე, გაერთიანდეს გარემოსდაცვით ორგანიზაციებში, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში, მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიუენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ,

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასამართლოსა და აღმინისტრაციული პროცესების ეფექტიანი ხელმისაწვდომობა, გამოსწორებისა და აღდგენის ღონისძიებების ჩათვლით.“

<sup>224</sup> Р.Остин, Информация о Загрязнении Окружающей Среды, Право окружющей среды в СССР и Великобритании, 1988, 127.

<sup>225</sup> საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი №1-2, 1996, მე-5 მუხლი.

სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების პროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, დღესდღეობით ქართული ეკოლოგიური სამართალი მოიცავს ათეულობით სხვა სამართლებრივ აქტს (მათ შორის, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს), რომლებიც ეფუძნება და იზიარებს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და ადგენს ეკოლოგიური სამართალუროთიერთობების მარეგულირებელ დებულებებს, მათ შორის, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვისა და გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ.

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ ქმნის ძირითად საკანონმდებლო ბაზას გარემოს დაცვის სფეროში, იცავს ახლანდელი და მომავალი თაობების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და განსაზღვრავს ქვეყნის მდგრადი განვითარების პრინციპებს.

გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ნებართვის გაცემის წესის შემოღება იმ საწარმოო ან სხვა საქმიანობაზე, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მოსახლეობას ან გარემოს. საქართველოს კანონები „ეკოლოგიური ნებართვის შესახებ“ (1996 წ.) და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1996 წ.) მიზნად ისახავენ მაქსიმალურად გამორიცხონ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შესაძლო მავნე ზემოქმედება საქმიანობის დაგეგმვის, დაპროექტებისა და განხორციელების ადრეულ ეტაპებზე. თუმცა, 2005 წელს მიღებულმა კანონმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ გარკვეული პრობლემები შეუქმნა არსებულ პრაქტიკას და შეცვალა „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ კანონის მოქმედების სფერო<sup>226</sup>. გაუქმდა საქმიანობათა ოთხ კატეგორიად დაყოფის სამართლებრივი საფუძვლები და განისაზღვრა იმ საქმიანობათა ერთი ჩამონათვალი, რომელიც

<sup>226</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 2005 წლის 1 სექტემბერი, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ასევე შეიზღუდა ეკოლოგიური ნებართვის გაცემის ვადები 3 თვიდან 20 დღემდე.

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წ.) საქართველოს კანონის მიღებამ ხელი შეუწყო საქართველოში ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ცივილიზებული სისტემის ჩამოყალიბებას. მასში ასახულია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების სფეროში საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული თანამედროვე პრინციპები, მიღგომები და მოთხოვნები. ცხოველთა სამყაროს, განსაკუთრებით, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ (2003 წ.), რომელიც განსაზღვრავს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შედგენისა და აღნიშნული სახეობების დაცვისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. უზრუნველყოფს საქართველოში სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნებას და პირობების შექმნას მოწყვლადი სახეობების მდგრადი განვითარებისათვის. საქართველოს უნიკალური ბუნების შენარჩუნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნას. საქართველოს კანონმა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ.) შექმნა საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, მართვის, დაცვის, ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის, მათი ტერიტორიების ფარგლებში საქმიანობის წარმოების სამართლებრივი ბაზა. ხსენებული კანონის სამართლებრივი ნორმებიდან და საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ (1998 წ.). დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 44 313 ჰექტარს. აღნიშნულ ფარგლებში გაჩნდა კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის აღკვეთილი, კოლხეთისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები და ა.შ.. კანონი უზრუნველყოფს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, კოლხეთის ბუნებრივი ან სახეშეცვლილი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვასა და აღდგენას.

საქართველოს კანონით „წყლის შესახებ“ (1997 წ.) რეგულირდება წყლის რესურსებისა და წყალსარგებლობის სფეროში არსებული სამართლებრივი სპეციალურ-ეკონომიკური და საკანონმდებლო რეალიების გათვალისწინებით. კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს შავი ზღვისა და მისი რესურსების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს ტყის კოდექსი მიღებულ იქნა 1999 წელს, რომელშიც აისახა ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები. განისაზღვრა აღნიშნულ სფეროში საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებებიც. გათვალისწინებულ იქნა ტყეთმოწყობის პროექტების სავალდებულო წესით გამოქვეყნების, საჯაროდ განხილვისა და მოქალაქეთა წინადადებების განხილვის წესი.

საქართველოს კანონი „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ (1999 წ.) არეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების, მათი განხილვისა და დამტკიცების წესებსა და ნორმებს. გამომდინარე კანონის ერთ-ერთი მუხლიდან, რომლის თანახმადაც პროექტის განხორციელების პროცესში აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უგნებელი საცხოვრებელი გარემოს შექმნის პროცესის თანმიმდევრული სრულყოფა და ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელსაც ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, განისაზღვრა კომპლექსური ექსპერტიზის ორგანულ შემადგენელ ნაწილად.

შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის გარკვეული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „საზღვაო სივრცის შესახებ“ (1998 წ.), რომელიც კრძალავს საქართველოს ზღვის სანაპიროზე და მდინარეთა ნაპირებზე განლაგებული დაბინძურების წყაროებიდან საქართველოს საზღვაო სივრცისა და სანაპიროს დაბინძურებას, ასევე აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს საქართველოს საზღვაო სივრცეში მიწის მასის ჩაყრაზე და ფსკერული დანალექის ზღვიდან ამოღებაზე. საქართველოს საზღვაო კოდექსი (1997 წ.) განსაზღვრავს საზღვაო ნაგსადგურის აღმინისტრაციის კომპეტენციას

ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან და გემებიდან საზღვაო აკვატორიის დაბინძურებისაგან დაცვის სფეროში.

საქართველოს 2000 წლის კანონი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ ადგენს საქართველოს ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონის გამოყენების სამართლებრივ ნორმებს და უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მდგრადობას. კანონი განსაზღვრავს ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებს და აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს აღნიშნულ ტერიტორიებზე მიმდინარე საქმიანობებთან მიმართებით.

„საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ (1998 წ.) საქართველოს კანონის მთავარი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირების, მოხმარების, გადამუშავების, გაუვნებელყოფის, საბოლოო განთავსების ხელშეწყობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საფუძველზე.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, საქართველო არის მრავალი საერთაშორისო ეკოლოგიური ხელშეკრულების წევრი სახელმწიფო, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი. როგორც წინამდებარე აკლევიდან ჩანს, საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი (13.07.1999 წ.), ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარებისას მთლიანად ეყრდნობა 1972 წლის სტოკოლმისა და 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციების პრინციპებს. გარდა ამ ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისა, არსებობს კიდევ ერთი დეკლარაცია - მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი, რომელიც 2002 წლის 26 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე გაეროს ეგიდიოთ ჩატარდა ქალაქ იოჰანესბურგში. აღნიშნულ სამიტზე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით<sup>227</sup> გაგზავნილ იქნა შესაბამისი კომისია, რომელმაც სამიტზე მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში წარადგინა. მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიაში მოკლედ არის მიმოხილული ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას და რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის. კერძოდ, თავში საუბარია იმგვარ

<sup>227</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 23 მაისის განკარგულება.

ფაქტორებზე, როგორიცაა საქართველოში ამჟამად არსებული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები თუ კონფლიქტის პოტენციური წყაროები, სიღარიბე და მასთან დაკავშირებული მიგრაციის პრობლემა და სხვა. ეროვნულ სტრატეგიაში აღწერილია ეკოლოგიური დაგეგმვის პროცესი, ის თუ რა ადგილი უჭირავს მას და რამდენად არის ინტეგრირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის სისტემაში. აღნიშნულია, რომ საქართველოში ეკოლოგიური ინსტიტუციური პოტენციალი ძალიან მწირია, პოლიტიკოსების მხრიდან არსებობს ფორმალური მხარდაჭერა გარემოს დაცვისადმი, თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ეკოლოგიური ასპექტები ხშირად უკანა პლანზე აღმოჩნდება. ამჟამად გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანებაა ის, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონები ძირითადად ადგენენ ზოგად სამართლებრივ ნორმებს და მათ შესასრულებლად უმეტეს შემთხვევაში არ არის მიღებული უფრო დეტალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიშში საუბარია საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზეც და იმაზე, რომ ენერგიის წარმება-მოხმარებისას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საქართველოში საკმაოდ მაღალია. დასასრულს, წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოში ეკოლოგიური განათლების სისტემის სრულყოფისა და ამ სისტემის ქვეყნის განათლების სისტემაში ინტეგრირების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ზემოაღნიშნული სამი უმნიშვნელოვანები საერთაშარისო დეკლარაციის მიღმა, მომდევნო თავში მიმოიხილება რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონვენცია, რომელთა წევრი სახელმწიფო საქართველოც და რომლებიც, მართალია, ხშირად ირიბად, მაგრამ მაინც დიდ როლს თამაშობენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ნორმების განხილვისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების საკითხს, რაც თავისთავად ადამიანის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების ეკოლოგიური უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტიაა. სამწუხაროდ,

საქართველოში დღესდღეობით ეკოლოგიური ცნობიერება ძალიან დაბალია და მხოლოდ ახლა იწყებს ამაღლებას. საბჭოთა პერიოდში, საქართველოში საერთოდ იგნორირებული იყო გარემოს მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების საკითხები. გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა უნიფიცირებული კანონმდებლობის, ნორმატივებისა და სტანდარტების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის ერთიანი მიზნებიდან გამომდინარე, და არა რეალური ლოკალური სიტუაციის, რესპუბლიკების ინტერესების და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. მოსახლეობის გარემოსდაცვით ცნობიერებაზე „ზრუნვა“ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ საკითხების პროპაგანდით, რაც ერთიანი საბჭოთა პოლიტიკით იყო განპირობებული. რაც შეეხება გარემოსდაცვით განათლებას, ეს პროცესი მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში აისახებოდა და ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეკოლოგიური ლირებულებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

ბოლო წლებში მიღებული ეკოლოგიური კანონმდებლობით, საზოგადოებას მიენიჭა გარემოს მდგომარეობის შესახებ დროული, სანდო ინფორმაციის და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღების უფლება.

1999 წელს მიღებული იქნა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, რომლის მე-3 თავში „ინფორმაციის თავისუფლება“ დეტალურად არის მოცემული სახელმწიფო სტრუქტურების მოვალეობები საზოგადოების, მისთვის საინტერესო ინფორმაციით უზრუნველყოფის საქმეში და მოქალაქეების უფლებები ამ ინფორმაციის მოთხოვნის და მიღების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2000 წლის 10 თებერვალს რატიფიცირებული იქნა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია (ე.წ. „ორჰუსის კონვენცია“).

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლებებს განაპირობებს შემდეგი კანონები:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, 22-ე მუხლი: „მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ:

დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების მიღებაში; მენეჯმენტის გეგმების, დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვაში; ბუფერული ზონების მართვის საქმიანობაში; საკონსულტაციო საბჭოების მუშაობაში; არასაბიუჯეტო ფინანსების ხარჯვის რეგულირებაში და სხვა“;

„ტყის კოდექსი“, მე-10 თავი: „მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უფლება აქვთ: მონაწილეობა მიიღონ ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ღონისძიებებში; გამოთქვან შენიშვნები და წარადგინონ წინადადებები ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოებში; მიიღონ დროული და სრული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ და სხვა.“

რაც შეეხება გარემოსდაცვით განათლებას, მისი როლი, მნიშვნელობა და სტატუსი განსაზღვრულია ჩარჩო კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წ.). ამ კანონის მე-3 თავის მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებულია, რომ აუცილებელია გაჩნდეს ეკოლოგიური განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც „მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და პალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს“, აგრეთვე „სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს“, ანუ დაცული უნდა იქნეს სწავლების უწყვეტობის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამაში“ დიდი ადგილი ეთმობა არაფორმალურ განათლებას (პიროვნების ეკოლოგიური ცოდნის და უნარის მუდმივი განახლება და დახვეწა ფორმალური სასწავლო სისტემის გარეთ არსებული ორგანიზაციების მეშვეობით, მაგ: ტრენინგისა და გადამზადების ცენტრები, სკოლის გარეშე დაწესებულებები, ბავშვთა და მოზარდთა საზოგადოებრივი გაერთიანებები, ეკოლოგიური ბანაკები, ეროვნული პარკები და სხვ).<sup>228</sup> ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნების სფეროში მომუშავე პროფესიული საზოგადოებრივი

<sup>228</sup> დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით.

ორგანიზაციების აქტიურობას. ასეთი ორგანიზაციები რეგიონებში ძალიან ცოტაა, ბევრგან საერთოდ არ არის.

საქართველოში მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც უნდა უზრუნველყოფნები ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც თავისი საქმიანობით დამატებით საფრთხეს არ შეუქმნის საარსებო გარემოს. მიუხედავად ამისა, ურთულესი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მთავრობაც და საზოგადოებაც ხშირად იგნორირებას უკეთებს გარემოს ხელყოფის ფაქტებს, რის გამოც ყველაზე უფრო ზარალდება ადგილობრივი ფლორა, ფაუნა და ბუნებრივი ლანდშაფტები. თუმცა, აქევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან გარემოს დაზიანება და ბუნებრივი რესურსების არამართებული გამოყენება განპირობებულია: ა) არასაკმარისი ეკოლოგიური ცნობიერებით; ბ) საქართველოში მოქმედი ეკოლოგიური კანონმდებლობის არცოდნით; გ) სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორებს შორის არასაკმარისი კოორდინაციით. გარდა ამისა, გარკვეულ პრობლემებს ქმნის აღსრულების მექანიზმების უქონლობა.

დაბალია უურნალისტების დაინტერესება ეკოლოგიური თემატიკით. უურნალისტიკის ფაკულტეტები (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინსტიტუტებში) არ ამზადებენ კადრებს ეკო-უურნალისტიკის განხრით. ამდენად, საზოგადოების ინფორმირების ჯაჭვის ყველაზე მძლავრი რგოლი მას-მედია ამ კუთხით პრაქტიკულად არაეფექტურია.

დღეისათვის საქართველოში ეკოლოგიური ინფორმაციის არაპოპულარულობას მისი არაკომერციული მხარე განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ტელევიზიონური და პრესის საშუალებით გარემოსდაციონი ინფორმაციის გავრცელება ფრაგმენტულია. რაც შეეხება ანალიტიკურ გადაცემებს, ისინი მხოლოდ დამკვეთის გადამხდელუნარიანობაზეა დამოკიდებული, ხოლო ის სახელმწიფო უწყებები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ბიომრავალფეროვნების პრობლემების გადაწყვეტასთან, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, პრაქტიკულად არაგადამხდელუნარიანნი არიან.

მსგავსი სიტუაციაა შექმნილი ეკოლოგიური სამართლის სფეროშიც. არც ერთ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტებს

არ გააჩნიათ გარემოს დაცვის კათედრა, არ არსებობს გარემოს დაცვის (ეკოლოგიური) სამართლის სახელმწიფო სასწავლო პროგრამა, შესაბამისად, არ არის დამტკიცებული კონკრეტული სასწავლო პროგრამები და არ არსებობს სახელმძღვანელო (ბიბლიოგრაფიული) ბაზაც. მართალია, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე იკითხება ეკოლოგიური სამართლის კურსი, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული ლექტორების ინიციატივაზე და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომელიც ხელმძღვანელობის ცვლასთან ერთად პრაქტიკულად ყოველწლიურად იცვლება. სწორედ აქედან გამომდინარე, პრობლემებია გარემოსდაცვით სამართალწარმოებაში (ეკოლოგიური სამართლის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი), რაც ორჟუსის კონკრეტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დიდ სირთულეებს შექმნის.

ასევე სირთულეებია გარემოსდაცვით სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ: სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, სარეკლამო საქმიანობისათვის არ გააჩნიათ შესაბამისი თანხები (მცირე გამონაკლისია საერთაშორისო პროგრამების ბიუჯეტიდან დაფინანსებული რეკლამები და ვიდეო კლიპები); საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (კანონი „რეკლამის შესახებ“, მე-12 მუხლი - „სოციალური რეკლამა“), სოციალური რეკლამის უფასო განთავსება თავისი წლიური სარეკლამო დროის არანაკლებ ხუთი პროცენტის ფარგლებში, ევალება რეკლამის გამავრცელებელ იმ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა ნაწილობრივ ან მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მაგ. სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობა). კანონის ეს მოთხოვნა, ცხადია, არ ვრცელდება კერძო კომპანიებზე და სოციალური რეკლამის განთავსება მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული; სოციალური რეკლამა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა „მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების, აგრეთვე გარემოს დაცვა“ (კანონი „რეკლამის შესახებ“, მე-12 მუხლი - სოციალური რეკლამა“). აქედან გამომდინარე, 5%-იანი ლიმიტი საკმაოდ ზღუდავს სარეკლამო კამპანიის წარმოებას და ხშირ შემთხვევაში რეკლამის გამავრცელებელი ორგანიზაციებიდან უარის თქმის საბაბია იმ მოტივით, რომ სოციალური რეკლამისათვის განკუთვნილი დროის ლიმიტი ამოწურულია.

ამდენად, ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე, იდენტიფიცირებულია ის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ცნობიერების ამაღლების სფეროში იკვეთება: მოსახლეობაში ეკოლოგიური ცნობიერებისა და განათლების დაბალი დონე; მოქალაქისადმი ეროვნული და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული უფლება-მოვალეობების არცოდნა და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების სრული პასიურობა; არაფორმალური განათლების სფეროში ქმედებების ფრაგმენტული ხასიათი; მას-მედიის საშუალებების დაბალი ინტერესი და არაპროფესიონალიზმი გარემოსდაცვით საკითხებში; რეგიონებში ბიომრავალფეროვნების სფეროში მოღვაწე პროფესიული არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირე; გარემოს დაცვის სამართლის პროფესიონალი კადრების ნაკლებობა; სახელმწიფო, ბიზნეს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გარემოს დაცვის სფეროში საერთო ინტერესების გაუცნობიერებლობა.<sup>229</sup>

---

<sup>229</sup> საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილება.

#### 4.1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ეპოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

სამწუხაროდ, მიუხედავად საკანონმდებლო გარანტიებისა, დღესდღეობით საქართველოს ეკოლოგიური სისტემა საკმაოდ სუსტია და შესაბამისად ნაკლებად აქტუალურია<sup>230</sup>, თუმცა კანონმდებლობით დეკლარირებულია ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხები. საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობა მოითხოვს შემდგომ დახვეწას და თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიურ სტანდარტებთან ადაპტირებას. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამომავლოდ რეალურად რეალიზაციის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეროვნული ეკოლოგიური კანონმდებლობის ოპტიმიზაცია და ეკროპულ სამართალთან ინტეგრაცია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ქართული სამართლებრივი სისტემის ნაწილია. ამასთანავე, თუკი საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების პირობები ეწინააღმდეგება შიდა კანონმდებლობას, უპირატესობა საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებს ენიჭებათ (თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას).

ამჟამად, საქართველოს გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში დადებული სამ ათეულამდე საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულების და ათი ძირითადი ოქმების მონაწილეა. ამ სფეროში ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოს ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან აქვს გაფორმებული.

საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვით თანამშრომლობაში აქტიური მონაწილეობა მისი ახალი ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს. საქართველო გაეროს „განვითარების და გარემოს დაცვის

<sup>230</sup> ბოლო წლებში საქართველოში შეიმჩნევა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხის აქტუალიზაცია და, ამ მხრივ საკანონმდებლო გალდებულებების სრულყოფილად აღსრულება, მაგ. ბრიტანული კომპანია „ბრიტოულიუმი“ ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადგნის შენებლობის პროცესში მუდმივად იყენებდა საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში მათი ჩართვის საშუალებებს.

საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის“ (1992 წელი) გადაწყვეტილებების ჩარჩოებში მიმდინარე მსოფლიო პროცესის მონაწილეა. მიღებულია ეროვნული ეკოლოგიური სამოქმედო პროგრამა (2000 წლის 20 მაისი), რომელიც „განვითარების და გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის“ გადაწყვეტილებების საფუძველზე შემუშავდა.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილებების, ოზონის შრის დაცვის, დიდ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი გარეული ფლორის და ფაუნის სახეობებით ვაჭრობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების განხორციელებაში და არის მათი წევრი სახელმწიფო.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ათწლეულების განმავლობაში დადებული ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რიცხოვნობის მიხედვით, ბევრად ჩამორჩებიან იმავე დროის მონაკვეთში მიღებულ გარემოსადაცვით ხელშეკრულებებს.

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომელთა წევრი სახელმწიფო საქართველოა, მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნეს რამდენიმე, მათ შორის:

რამსარის კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ (1971). კონვენცია ატარებს რამსარის სახელწოდებას მისი მიღების ადგილის გამო (რამსარი, ირანი). ძალაში 1975 წელს შევიდა და დღემდე 81 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. მხარეთა კონფერენციას იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ. კონვენციის სამდივნო - „რამსარის კონვენციის ბიურო“ - მდებარეობს ქალაქ გლანდში (შევიცარია). კონვენციის ფონდი არსებობს 1992 წლიდან. რამსარის კონვენცია არის ერთ-ერთი გლობალური საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას ჭაობიანი ადგილების შენარჩუნებისა და დაცვის სფეროში. ჭაობები ძალიან მნიშვნელოვანი წყლის ეკოსისტემებია, რომლებიც ითვლება საერთაშორისო ბინადრობის ადგილებად. ისინი დიდ როლს ასრულებენ მცენარეული და ცხოველური სამყაროს, მიგრაციული სახეობების შენარჩუნებაში, გავლენას ახდენენ ეკოლოგიურ პროცესებზე, ამჟამად ჭაობების ეფექტიანი დაცვისათვის აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. კონვენციაში შედიან

შეთანხმებული მხარეები მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებიდან (მაგ. აშშ, იაპონია, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, ასევე პოლონეთი, ბულგარეთი, ალჟირი, ვიეტნამი, ზამბია, შრი ლანკა და სხვა;) კონვენციის დამარებით განისაზღვრა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხა. კონვენცია თავისი მიზნების განხორციელების უზრუნველყოფისათვის აიძულებს წევრ სახელმწიფოებს დაიცვან ჭარბტენიანი ტერიტორიები და წყლის ფრინველები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი ნაკრძალების შექმნის თვალსაზრისით.

კონვენცია გადაშენების პირას მყოფი იშვიათი სახეობებით საერთაშორისო გაჭრობის შესახებ (CITES) მიღებული იქნა ვაშინგტონში, 1973 წელს. კონვენციის სამდივნო მდებარეობს ლოზანაში. კონვენციის მიზანია გადაარჩინოს ცხოველების ზოგიერთი სახეობა ზედმეტი ექსპლუატაციისა და ანტროპოგენული ზემოქმედებისაგან ნებართვის იმპორტ-ექსპორტის სისტემის მეშვეობით და ამგვარად დაარეგულიროს კელური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო გაჭრობა. კონვენციით დადგენილი ნებართვები გაიცემა სერტიფიკატების სახით, რომელთა წარდგენა ხდება ცხოველების გადაყვანისას წევრი სახელმწიფოს საზღვრებზე.

რიო-დე-ჯანეიროში მსოფლიო სამიზე მხარეები შეთანხმდნენ შეემუშავებინათ კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ, რაც მიღებულ და ხელმოწერილ იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ რიო-დე-ჯანეიროში 1992 წლის 5 ივნისს. კონვენცია ძალაში შევიდა 1993 წლის დეკემბერში. ხელმოწერილია ევროგაერთიანებისა და 162 სახელმწიფოს მიერ. რატიფიცირებულია 56 სახელმწიფოს მიერ. კონვენციის სამდივნო განლაგებულია მონრეალში. მსოფლიოში დაახლოებით 3-დან 100 მილიონამდე სახეობაა ბიომრავალფეროვნების დარგში და სწორედ ამ სახეობების გლობალურ მნიშვნელობას, პრიორიტეტულ ხასიათს, მათს შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებას მიეძღვნა აღნიშნული კონვენცია, რომელიც არეგულირებს ბიომრავალფეროვნების დარგში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია განიხილავს რა ბიომრავალფეროვნების დაცვის პრობლემას, როგორც კაცობრიობის საერთო საზრუნავს, ამავე დროს გულისხმობს თითოეული სახელმწიფოს

ასუხისმგებლობას ამ სფეროში. კონვენცია ითვალისწინებს - დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნას, ეკოსისტემებისა და ბუნებრივ საბინადრო პირობებში სახეობათა პოპულაციების დაცვას; გადაშენების პირას მყოფი სახეობების ხელოვნურად შექმნილ პირობებში აღდგენას; ბიოლოგიური რესურსების გამოყენების რეგულირებას ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; შესაბამის სფეროებში კადრების მომზადებას და საგანმანათლებლო საქმიანობას.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კარტახენას ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ - ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეგიდით შემუშავდა ბიოუსაფრთხოების ოქმი (ე.წ. კარტახენის ოქმი), შეთანხმება, რომელმაც უნდა დაარეგულიროს საერთაშორისო ვაჭრობა, მართვა და გამოყენება ნებისმიერი გენური ინჟინერიის საშუალებით მიღებული თრგანიზმისა რომელმაც „შესაძლოა არახელსაყრელი ზეგავლენა მოახდინოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და თანაზომიერ გამოყენებაზე, აგრეთვე საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას“ (ბიოუსაფრთხოების ოქმი, პირველი მუხლი). ბიოუსაფრთხოების ოქმის შექმნაზე ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი 1995 წლიდან მუშაობდა. ოქმის პროექტის მომზადება 1998 წლის ბოლოსათვის დასრულდა და 1999 წლის თებერვალში კარტახენაში, კოლუმბია, მოლაპარაკებისა და ბიოუსაფრთხოების ოქმებისათვის 135 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა. მიუხედავად კონსენსუსისა დელეგატთა უმრავლესობას შორის, მოლაპარაკება ჩაიშალა მარცვლეულის ექსპორტიორი ქვეყნების ბლოკის, ე.წ. მაიამის ჯგუფის მიერ, რომელშიც შემდეგი ქვეყნები შედიან: აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ჩილე და ურუგვაი. ეს ქვეყნები წინააღმდეგი იყვნენ შემუშავებულიყო ბიოუსაფრთხოების ოქმი, რომელიც, ცხადია, გავლენას მოახდენდა მათს საექსპორტო ბაზარზე. ამოტომ იყო ზეწოლა, რათა ბიოუსაფრთხოების პრობლემის დარეგულირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის გადაელოცათ და იქ შექმნილიყო ე.წ. „ბიოტექნოლოგიის სამუშაო ჯგუფი“. მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა სიეტლში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრაზე 1999 წლის ნოემბერში. და, საბოლოოდ, 4 დღედამის ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ 2000 წლის 29 იანვარს ბიოუსაფრთხოების ოქმები შეთანხმებას მიაღწია 133-მა ქვეყანამ. ამ ოქმის მიხედვით, ყველა მონაწილე მხარე ვალდებულია „უზრუნველყოს, რომ

ნებისმიერი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის მიღება, გადაცემა, ტრანსპორტირება, გამოყენება და გამოთვისუფლება ხორციელდებოდეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ან ეს საფრთხე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით“ (ბიოუსაფრთხოების ოქმი, მე-2 მუხლი, მე-2 პუნქტი). 2004 წლის 11 სექტემბერს ოქმი საბოლოდ შევიდა ძალაში. სამწუხაროდ, აღნიშნული ოქმი ჯერ არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, თუმცა სარატიფიკაციოდ წარგენილია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

ადამიანის გარემოსადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მიღებულ მოქმედებათა გეგმის 32-ე რეკომენდაციის შედეგად (სტოკოლმი, 1972), რომელიც აგრეთვე მოწოდებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე, შემუშავებულ იქნა კონვენცია გარეულ ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნა ქ. ბონში 1979 წელს და ძალაში შევიდა 1983 წელს. რატიფიცირებულია 44 სახელმწიფოს მიერ. მხარეთა კონფერენციას იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის მუშაობას უზრუნველყოფს კონვენციის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ამუშავებს რეკომენდაციებს მიგრირებად სახეობათა დაცვის თაობაზე და წინადადებებს ამა თუ იმ სახეობის დანართში შეტანის შესახებ. სამდიგნო (გაერთიანებული ერების ეკოლოგიური პროგრამის ეგიდით) განლაგებულია ქალაქ ბონში. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ და აცნობიერებენ მიგრირებადი სახეობების საერთაშორისო მნიშვნელობას და გამოხატავენ მზადყოფნას განახორციელონ გარკვეული ქმედებები ამ მიმართულებით, კერძოდ, საჭირო და მისაღები ნაბიჯები ასეთი სახეობებისა და ჰაბიტატების დასაცავად. კონვენცია განსაზღვრავს იმ სახეობებისა და მათი საბინადრო ტერიტორიების სრული დაცვის აუცილებლობას, რომლებსაც გადაშენება ემუქრებათ. იგი მოუწოდებს მონაწილე ქვეყნების მთავრობებს დადონ მრავალმხრივი ხელშეკრულებები, მიმართული იმ ცალკეული სახეობებისა და ტაქსონომიური ჯგუფების დაცვისაკენ, რომლებიც მიგრაციის პროცესში რეგულარულად ხვდებიან ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე და დაცვის კოორდინირებულ ზომებს მოითხოვენ. კონვენცია ასევე ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას ამ სახეობათა გამოკვლევის და მათი დაცვის სასწრაფო ღონისძიებების

განხორციელების სფეროში. ბონის კონვენცია, დაცვის სხვა ზომებთან ერთად, ითვალისწინებს მხარეებს შორის შეთანხმებების დადგებას კონკრეტული სახეობების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების გარდა, კონვენციით გათვალისწინებულია ეგრეთ წოდებული „ურთიერთგაგების მემორანდუმის“ (Memorandum of understanding) ხელმოწერა, რაც უფრო სწრაფმოქმედი ზომაა, ვიდრე შეთანხმება. ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ მუშაობა და თანამშრომლობა უშუალოდ ხელისუფლების დონეზე მიმდინარეობს, ზედმეტი ფორმალობების გვერდის ავლით.

ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახლო და მეგობარ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა იძენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის დადებულ შეთანხმებას გარემოს დაცვის სფეროში (18. 02. 1997 წ.); უკრაინის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული მემორანდუმი გარემოს დაცვის დარგში (13. 04. 1993 წ.); საქართველოსა და აშშ შორის დადებული შეთანხმება კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის შექმნის შესახებ (8.10.2000 წ.); ასევე შეთანხმებები ევროპის სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერასაც ითვალისწინებენ (დანიასთან, გერმანიასთან და ა.შ.).

## 4.2. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ზრუნვის სერიოზული ობიექტია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ნორმებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომ სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე, სათანადოდ უზრუნველყონ თითოეული ინდივიდის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზება. აქედან გამომდინარე, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ადგილი სამართლის ეროვნული სისტემაში სწორედ ეროვნული ეკოლოგიური სამართლის ჩარჩოებში ჯდება. რაც შეეხება საქართველოს, ამ პრობლემის გადაჭრის სქემა კონსტიტუციის მე-6 მუხლშია დაფიქსირებული. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სამართლებრივი სისტემის საფუძველს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები შეადგენენ. ამ მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები ქართული ეკოლოგიური სამართლის ნაწილია. ამრიგად, საქართველოს ეკოლოგიური სამართალი შედგება საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის საყოველთაოდ აღიარებული და თავად ქართული გარემოსდაცვით კანონმდებლობაში შესული ნორმებისაგან. ამგვარად ჩამოყალიბებული ქართული ეკოლოგიური სამართლის შემადგენლობაში ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი), რომლის ყოველმხრივ უზრუნველყოფაზეც ზრუნავს ეკოლოგიური სამართლის ყველა ნორმა.

ეკოლოგიური სამართლის შინაარსის და სოციალური დანიშნულების პრობლემაზე დეტალური შეჩერების გარეშე<sup>231</sup>, სასურველია ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს და ადამიანის უფლებებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების პირობებში იცვლება საქართველოს მთელი სამართლებრივი სისტემის ორიენტაცია: იგი იძენს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განხორციელების მიმართულებას. საქართველოს სამართლებრივი სისტემის დანიშნულების ასეთი შემობრუნების გამო, აუცილებელია ეკოლოგიური სამართლის შინაარსის გადახედვაც,

<sup>231</sup> М. Бринчук, Экологическое Право, Учебник. 1998, 83-95.

რადგანაც იგი სულ უფრო გამოეყოფა ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებულ სამართალს და ახდენს ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლების, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების განხორციელების უზრუნველყოფას. საქართველოს დღევანდელი ეკოლოგიური სამართლის შინაარსის გაგება, მისი ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფის ამოცანის ნორმებთან მიბმის გარეშე, შეუძლებელია.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების საკონსტიტუციო გარანტიას საქართველოში კონსტიტუციის 37-ე მუხლი ქმნის, რომელშიც საუბარია საქართველოს მოქალაქეების კონსიტუციურ ეკოლოგიურ უფლებებზე, რომლებიც, კონსტიტუციის თანახმად, სამი მიმართულებით ვლინდება: უფლება ცხოვრობდე ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში; უფლება სარგებლობდე ბუნებრივი გარემოთი; უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია საკუთარი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვითი უფლებების საკონსტიტუციო აღიარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონსტიტუცია სამართლებრივი სისტემის სათავეში დგას, ყველა სხვა ნორმა მის შესაბამისად უნდა გამოიცეს,<sup>232</sup> რამეთუ ისინი სამართლებრივი იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებიან, ადვილია მათი შეცვლა, ან, თუნდაც გაუქმდა.<sup>233</sup>

კონსტიტუციით პირდაპირ გარანტირებული უფლებების გარდა, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია იმგვარი უფლებები, რომლებიც პირდაპირ კაგშირშია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების რეალიზაციასთან. ამგვარი უფლებების რიცხვს მიეკუთვნება:

სიცოცხლის უფლება (მე-15 მუხლი), რომელსაც შესაძლოა დიდი საფრთხე შეუქმნან ეკოლოგიურმა კატასტროფებმა, ავარიებმა და ქრონიკული მავნე დაბინძურების წყაროებმა;

ადამიანის პატივის და ღირსების ხელშეუვალობის უფლება (მე-17 მუხლი), რომელიც კრძალავს ღირსების შემლახლველ მოპყრობას, რაც შესაძლოა სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორებით იყოს გამოწვეული;

შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების დაცვის უფლება (30-ე მუხლი), ჯანსაღი ეკოლოგიური პირობების გათვალსიწინებით;

<sup>232</sup> Brandl, Ernst and Bungert, Hartwin, Constitutional Entrenchment of Environmental Protection: A Comparative Analysis of Experiences Abroad, 4 (1992).

<sup>233</sup> G. Witzsch, The Right to a Healthy and Decent Environment in New Lesotho Constitution?, 10 (1992).

ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უფლება (41-ე მუხლი), მავნე ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული ჯანმრთელობის შერყევის შემთხვევები; სახელმწიფო და ოფიციალურობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით და სახელმწიფო სახსრებიდან სრული ანაზღაურების უფლება (42-ე მუხლი), ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევებში;

კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უფასო სამედიცინო დახმარების უფლება (37-ე მუხლი), მავნე ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული დაგვადებების შემთხვევაში.

ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლევა (24-ე მუხლი), ეკოლოგიურ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ამგვარად, ნათელია, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების გარანტიები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია და, გარდა პირდაპირ დადგენილი კონსტიტუციური უფლებებისა, კონსტიტუციით გარანტირებულია სხვა უფლებებიც, რომლებიც უშუალო კაგშირშია ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციასთან.

ამასთან, მეტად საინტერესოა შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი, რაც ნათლად გვიჩვენებს ქართული საკანონმდებლო ცნებების განუზღვრელობას ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან მიმართებით. ქართული ეკოლოგიური საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში თანაბრადაა გამოყენებული სიტყვები „ჯანსაღი“, „ხელსაყრელი“. ცხადია, რომ ამ ცნებებს მსგავსი ნიშნები გააჩნიათ, მაგრამ არა განსაზღვრულობის იმ დონეზე, რომლითაც საკანონმდებლო ნორმა უნდა ხასიათდებოდეს. მეორე მხრივ, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ, მიუხედავად სხვადასხვა ტერმინების გამოყენებისა, კანონმდებლები პირველ და მეორე შემთხვევაშიც ერსა და იმავე ცნებებს გულისხმობდნენ. მაგრამ, ეს, ისევ და ისევ, ღრმად სუბიექტური დასკვნების სფეროა და არ ჯდება სამართლებრივი მოთხოვნების და ქცევის მკაფიოდ განსაზღვრულ ჩარჩოებში.

საკანონმდებლო და შემდგომი აღსრულებითი პრაქტიკის პროცესებში განსაკუთრებულ ადგილს იმ ტერმინების და ცნებების გამოყენება იკავებს, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემენ კანონმდებლის აზრებს და

ამოცანებს. გარემოსდაცვით კანონმდებლობაში მსგავსი ცნებების გამოყენების პრობლემატიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა მ. ბრინჩუკის შრომებში ეთმობა. იგი არაერთხელ აქცევს ყურადღებას იმას, რომ „სამართალში გამოყენებული ცნებების და მათი შინაარსის საკითხებს განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობა გააჩნიათ“<sup>234</sup>.

ქართული კანონშემოქმედების პრატკიკამ ეკოლოგიური სამართლის სფეროშიც ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა 90-იანი წლების დამახასიათებელი, ფართო ახსნის მქონე ტერმინების და ცნებების გამოყენების ნებატიური ტენდენცია. კერძოდ, ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, ცნებებს „ხელსაყრელი“ და „ჯანმრთელი“ (გარემოსთან მიმართებით) მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ახასიათებთ. მაგალითად, ს. ოუგოვის ლექსიკონში ცნება „ხელსაყრელი“ განიმარტება როგორც რაიმესთვის ხელის შემწყობი, კარგი, ხოლო „ჯანმრთელი“, ჯანმრთელობის მქონე, არა დაავადებული.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტერმინის, „ბუნებრივი“ გარემოს გამოყენება, რაც განიმარტება, როგორც „ბუნების კანონების შესაბამისად მომხდარი, მათზე, და არა გარეშე ჩარევაზე დამოკიდებული“<sup>235</sup>. თუმცა ქართული კანონმდებლობა და, მათ შორის, კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მე-4 მუხლში ბუნებრივი გარემოს სულ სხვაგვარ განმარტებას იძლევა: „ბუნებრივი გარემო, გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებსა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს.“<sup>236</sup>

ამდენად, რეალური მდგომარეობა ტერმინოლოგიის განუზღვრელობით ხასიათდება და ხელსაყრელ გარემოში არსებობის უფლების უფრო ბუნდოვანი განმარტების შესაძლებლობას ქმნის.

როგორც ცნობილია, ტრადიციული გაგებით, მათ შორის, ქართული კანონმდებლების გაგებით, ეკოლოგიური უფლების შემდეგი შემადგენელი ელემენტები გამოიყოფა:

ჯანმრთელ გარემოში არსებობის უფლება;

გარემოს მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღების უფლება;

<sup>234</sup> М. Бринчук, О аппарате Экологического Права, Государство и Право, 1998, 20.

<sup>235</sup> С. Ожегов, Н. Шведова, Толковый Словарь Русского Языка, 1997, 94.

<sup>236</sup> საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996, მე-4 მუხლი.

გარემოს დაბინძურების გამო ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიღების უფლება;

საზოგადოებრივი ეკოლოგიური გაერთიანებების შექმნის უფლება და ზოგიერთი სხვა უფლებები.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსის ახსნისას უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელი გარემო უამრავი ფაქტორის არსებობით ხასიათდება: გარემო უნდა იყოს რესურსტევადი, დაუბინძურებელი, ეკოლოგიურად მდგრადი და ა.შ.. ამასთან, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი გარკვეულ პარამეტრებს უნდა შეესაბამებოდეს და ეს პარამეტრები ერთობლივად გარემოს ხარისხის შეფასების მრვალგანშტოებიან სისტემას ქმნიან<sup>237</sup>.

ცხადია, რომ გარემოს ხარისხის შეფასების ასეთი სისტემა, პირველ რიგში სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ნორმირების საფუძველზეა შექმნილი. მაშ, როგორ მოვიქცეთ სხვა არსებულ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პარამეტრებთან მიმართებით, იმ პარამეტრებთან, რომლების რაიმე ტექნოგენური ან სხვა ჩარჩოების ფარგლებში ჩასმა შეუძლებელია? მაგალითად, გარემოს ხარისხის ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელი ნიშანია მისი ესთეტურობა. მართლაც, ადამიანებს სურთ ხელსაყრელ პირობებში არსებობა, ტყეში სეირნობა, გარეულ ცხოველებზე ბუნებრივ პირობებში დაკვირვება, დედამიწის ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნებით დატკბობა. ამასთან, ყოველივე ეს ხორციელდება არა ჯანმრთელობის შენარჩუნების ან სხვა რაიმე, მაგალითად, ეკონომიკური მიზეზების გამო, არამედ ბუნებასთან ურთიერთობისგან ესთეტიკური სიამოვნების მიღების მიზნით<sup>238</sup>. მეტიც, მ. ბრინჩუკის აზრით, „გარემო ითვლება ხელსაყრელად, თუკი მისი მდგომარეობა შეესაბამება გარემოსდაცვით კანონმდებლობაში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სტანდარტებს და ნორმატივებს, რომლებიც ეხებიან მის სისუფთავეს, რესურსტევადობას, ეკოლოგიურ მდგრადობას, სახეობრივ მრავალფეროვნებას და ესთეტიკურ სიმდიდრეს“<sup>239</sup>.

ცხადია, რომ თანამედროვე ქართული კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიმართ ერთგულების დეპლარიტებას ახდენს, არ განიხილავს სამართლებრივი დაცვის ობიექტად ადამიანის უფლებას

<sup>237</sup> Э. Равилова. Законодательство о Нормативах Реализации Экологических Прав Граждан, 1996, 149.

<sup>238</sup> А. Голуб, Е. Труковаб, Экономика Природопользования, 1995, 67.

<sup>239</sup> М. Бринчук, О Аппарате Экологического Права, Государство и Право, 1998, 23.

ესთეტიკურად მდიდარ, ბიოლოგიურად მრავალფეროვან გარემოში იარსებოს. მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელი რიგი შეიცავს დებულებებს ტყეების, ცხოველთა სამყაროს, მცენარეული საფარის და ა.შ. დაცვის შესახებ, უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.“ მაგრამ ქართული კანონმდებლობის ანალიზიდან მაინც ნათლად ჩანს, რომ ქართველი კანონმდებლების ძირითად მოტივაციას არა მორალურ-ესთეტიკური, არამედ დიდ წილად, ბოლომდე გაუცნობიერებელი მომხმარებლური მოსაზრებები წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი მდგომარეობა ძალიან ახლოს დგას მე-18 საუკუნის არქაულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, რომელიც ანბების დასამზადებლად გამოსადეგი ტყეების გაჩეხვას კრძალავდა, რადგან მისი გამოყენება გემთმშენებლობაში იყო დაგეგმილი.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან მჭიდრო კავშირშია გარემოსთვის მიუენებული ზიანი, კომპენსაციის საკითხიც. დღევანდელი მიდგომით გარემოსთვის მიუენებული ზიანი ორ კატეგორიად იყოფა: ეკონომიკური და ეკოლოგიური. განსახილველი ზიანი ეკოლოგიურ ან, უფრო ზუსტად, ანტროპოლოგიურ ტიპს (საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს) განეკუთვნება. ასეთი ტიპის ზიანის გამოვლინებებია ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება, სიკვდილი ან ადამიანის გენეტიკური პროგრამის ცვლილება.

არასასურველი ზეგავლენის წევარო ადამიანის საარსებო გარემოა. ადამიანისთვის საწარმოო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ სფეროებში მიუენებული ზიანი არ განეკუთვნება ეკოლოგიურ ტიპს. პირველ შემთხვევაში ადამიანისთვის მიუენებული ზიანის კომპენსაციის საკითხები სანიტარიული კანონმდებლობით და ადამიანების შრომის და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონებით რეგულირდება.

გარკვეულ ინტერესს იწვევს შემთხვევები, როდესაც ზიანი მიუენებულია სტიქიური მოვლენების ან ანტროპოგენული ქმედებების შედეგად. სტიქიური მოვლენები, ხოლო ხანდახან უბედერებები, ბუნებრივი სამყაროს ობიექტურ პროცესებს ასახავენ. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ითვლება, რომ

შესაძლებელია მათი პროვოცირება ადამიანის მიერ, მაგრამ ზოგადად ისინი საზოგადეობრივ კონტროლს არ ექვემდებარებიან. რა თქმა უნდა, სახელმწიფო, რომელსაც ევალება უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა (საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლი), ვალდებულია მიიღოს ზომები ჯანმრთელობისა ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. თუმცა, ამ საკითხებში შექმნილი ადმინისტრაციული ურთიერთობების იურიდიული სპეციფიკიდან გამომდინარე, ზიანის ან ზარალის ანაზღაურების საკითხები სპეციალური, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გამოცემული დადგენილებებით რეგულირდება.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში 2004 წელს მიღებულმა ახალმა საგადასახადო კოდექსმა გააუქმა გადასახადი გარემოს დაბინძურებისათვის და ფაქტობრივად, ამით დაირღვა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი და ამან საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობას შეუწყო ხელი. (თუმცა საქართველოს 1996 წლის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ ისევ განმარტავს პრინციპს „დამაბინძურებელი იხდის“, მაგრამ იგი აღნიშნული კოლიზის გამო უმოქმედოა).

ამ პრობლემატიკის ანალიზის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კანონმდებლობაში ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების განმარტების არაერთგვაროვნება, ამ უფლების რეალიზაციის მექანიზმისთვის საგრძნობ სირთულეებს წარმოქმნის. მაგალითად, არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა არ მოიცავს ესთეტიკურად მდიდარ გარემოში არსებობის უფლების დაცვის პრაქტიკულად არცერთ მაგალითს. ქართულ სამართლებრივ სისტემაში ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ამსახველი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში, მათ შორის, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მათი ერთობლივი აღქმა საკმაოდ გართულებულია. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მოხდეს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების ნორმატიული შინაარსის გარკვეულწილად სისტემატიზირება. შესაძლებელია სპეციალური კანონის მიღება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის დებულებების კონკრეტიზირებისა და განვითარებისკენ იქნება მიმართული. ასეთი კანონის მიღება საქართველოში

მისი მოქალაქეების ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების  
უზრუნველყოფისკენ მიმართული დონისძიებების გაძლიერებას ხელს  
შეუწყობდა.

#### 4.3. ეკოლოგიური ინფორმაციის საჭაროობა და ბაზარულებების მიღების პროცესი საზოგადოების მონაწილეობა

ინფორმაციის გამჭვირვალობა დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარ მოთხოვნაა და ამდენად, ამ ინსტიტუტის განვითარება დღევანდელი ქართული სამართლებრივი სისტემებისათვის მეტად აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ ევროპულ სამართლებრივ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის ამჟამად მიმდინარე პროცესს.

ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ღიაობას. სრული გამჭვირვალეობის პირობებში საზოგადოებაში აღარ ჩნდება ეჭვი საჯარო მოხელეთა არაკეთილსინდისიერების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე და, აგრეთვე, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე ამ დაფინანსების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რაიონული, საქალაქო, დასახლებების და სოფლების მმართველობითი ორგანოების კომპეტენციაში მოსახლეობისთვის ობიექტური ეკოლოგიური ინფორმაციის მიწოდება შედის. ამ საკითხებს დღეს საქართველოში, გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ორპუსის კონვენცია არეგულირებს. კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე,<sup>240</sup> ყველა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოსა (მათ შორის, მუნიციპალურ, სატრანსპორტო და სხვა) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. ორპუსის კონვენცია საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებებსა და რეალურ შესაძლებლობებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის; კონკრეტულ თუ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში

<sup>240</sup> ანუ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 27-ე მუხლი). ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის

მონაწილეობის მისაღებად; ახდენს მათ აღჭურვას სასამართლო დაცვის საშუალებებითა და მართლმსაჯულებაზე გამარტივებული ხელმისაწვდომობით. მთავრობებზე ამ სფეროში მკაფიო ვალდებულებათა დაკისრებით, კონვენცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მეტ გამჭვირვალობას, მის უფრო ეფექტიან ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას, რაც საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, რეალური გავლენა იქონიონ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. გარემოსდაცვით სფეროში საზოგადოების მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის უფრო ეფექტიანია, უფრო მდგრადი და გაწონასწორებულია, რაც თავისთავად უფრო მისაღებია საზოგადოებისათვის. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი შესაძლებლობები საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვნენ და მეტი ცოდნა მიიღონ გარემოს პოტენციურ რისკებსა და საშიშროებებზე, რომლებიც მათ, მათს ოჯახებსა თუ ადგილობრივ თემს ემუქრება. ამ პროცესში მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებისა და პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ პირობებთან და ადგილობრივი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებას პროექტების ჩამოყალიბებისა თუ განხორციელებისას. თავის შერივ, საზოგადოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და წვლილი გადაწყვეტილების მიღებაში, განსაკუთრებით კი მათი, ვინც დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე პოტენციური ზემოქმედების არეში ცხოვრობს, ყოველთვის ფასდაუდებელი შენაძენია გადაწყვეტილების მიმღებთათვის. სხვადასხვა აზრთა, ფასეულობათა, იდეათა გათვალისწინება და საზოგადოების წევრებისაგან გარემოს მდგომარეობის შესახებ უშუალო ინფორმაციის მიღება უფრო გააზრებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. ინფორმაციაზე მეტი ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, კონვენცია იძლევა გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალებას. ამგვარად, იგი საფუძველს უყრის საზოგადოების მეტ მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებაში და ამით წვლილი შეაქვს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. ამას გარდა, კონვენცია ხელს უწყობს კარგი ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებას

ხელისუფლებასა და საზოგადოებას, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის, მომხმარებლების, საზოგადოების ლიდერების, ზოგადად, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ჩათვლით. საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მეტი ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა აძლიერებს მათ, ასევე ეხმარება ქვეყნისა თუ ადგილის ცხოვრების კონკრეტულ პირობებზე მათი დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობის გაცნობიერებაში. ეს კი აძლიერებს საზოგადოების შეგნებულობას, სოციალური ერთობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც უკეთესი და უფრო მდგრადი გარემოს შენარჩუნების საწინდარია. სახელმწიფო მოხელეთათვის კონვენცია ადგენს ვალდებულებებსა და უფლებებს, პროცესებსა და პროცედურებს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობისათვის. იგი ასევე კარგ ხელმძღვანელობას უწევს საჯარო დაწესებულებებს ამ საკითხთა პრაქტიკაში განხორციელებისთვის. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ ქვეყნების საჯარო მოხელეთათვის, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობა ზოგად უფლებებსა და ვალდებულებებს ადგენს, მაგრამ არ მოიცავს რეგულაციებს, პროცედურებსა და დებულებებს. ასეთ ქვეყნებში შესაძლებელია კონვენციაში მოცემულ პროცედურებზე დაყრდნობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მეტი ეფექტიანობა, საჯარო მოხელეებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანი და გამჭვირვალე გახადონ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ამგვარად, კონვენცია აძლიერებს გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებათა პოზიციას სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და სამინისტროებთან მიმართებით და საზოგადოების მხარდაჭერის საფუძველზე, ხელს უწყობს გარემოსა და ჯანმრთელობის საკითხების გათვალისწინებას.

კონვენცია სამოქალაქო საზოგადოებას აძლევს ხმის უფლებას ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს გარემოზე. საზოგადოების წევრებს მნიშვნელოვანი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ ინფორმაციის მოსაპოვებლად, მონაწილეობის

მისაღებად და მართლმსაჯულების მისაღწევად. მაგრამ არ არის საკმარისი უფლებების მხოლოდ ქაღალდზე არსებობა. კონვენციის ამოქმედებაში სამოქალაქო საზოგადოების როლი იმაში მდგომარეობს, რომ მათი უფლებები არ დარჩეს ქაღალდზე, რომ მათ უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა გამოხატოს თავისი მოსაზრება და შეშფოთება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და დარწმუნდეს, რომ ისინი გადაწყვეტილებებში სათანადოდაა გათვალისწინებული. მაგალითად, დაინტერესებული საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის პროცესში. გადაწყვეტილებაზე ისინი გავლენას მოახდენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაეცნობიან განსახილველად გახსნილ დოკუმენტებს, წარადგენენ მათ კომენტარებს, დაესწრებიან გამოცხადებულ საჯარო განხილვებს, სადაც მოითხოვენ სიტყვას და ხმამაღლა განაცხადებენ მათს მოსაზრებასა თუ შეშფოთებას, დაუკავშირდებიან სხვა დაინტერესებულ პირებს, ერთობლივად იმოქმედებენ და ა.შ. ამ მხრივ, საზოგადოებასაც აკისრია ვალდებულება – იყოს აქტიური და რეაგირებდეს მოვლენებზე. საზოგადოების წევრები პასიურად არ უნდა ელოდნენ პირად მოწვევებს ამა თუ იმ განხილვაზე. მოქალაქე ვალდებულია დაინტერესდეს, თუ რა ხდება მის გარშემო. მან თვალი უნდა ადეკვოს გამოქვეყნებულ ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობათა შესახებ, გაეცნოს მის ვადებს, მონაწილეობის შესაძლებლობებს, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები. როდესაც ირღვევა მათი მონაწილეობისა თუ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებები, არ უნდა დაიზარონ სარჩელის აღძვრა და სამართლიანობის აღდგენის მიღწევა. ორჰესის კონვენციის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოება იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს და ახორციელებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაბიჯს.<sup>241</sup>

ზემოაღნიშნული კონვენცია არის არაჩვეულბერივი საშუალება, რათა საქართველომ სრულყოს და განავითაროს საკუთარი ეკოლოგიური კანონმდებლობა საერშორაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, მით უმეტეს, რომ ორჰესის კონვენცია პირდაპირ ეხმაურება საქართველოს კონსტიტუციის

---

<sup>241</sup> ორჰესის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო

37-ე მუხლს და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს, რომლებიც პირდაპირ ადგენენ მოსახლეობის უფლებას „მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს მდგომარეობის შესახებ“.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის ეროვნულ სამართლებრივ გარანტიებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, სათანადო უურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც უფრო ადრე იქნა მიღებული (1995 წ.), ვიდრე ორჰუსის კონვენცია. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში საუბარია საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციურ ეკოლოგიურ უფლებებზე, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად, სამი მიმართულებით ვლინდება:

- უფლება ცხოვრობდე ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში;
- უფლება სარგებლობდე ბუნებრივი გარემოთი;
- უფლება მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია საკუთარი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

გარემოსდაცვის საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპს, ორჰუსის კონვენციის დებულებების მსგავსად ეროვნული კანონმდებლობაც განსაზღვრავს ამგვარ ვადებულებას. კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს იმგვარ დებულებებს, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს, აგალდებულებს იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია საზოგადოების ჩართვა, რადგან სწორედ ურთიერთანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება ამ მიმართულებით საბოლოოდ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულ უფლებათა შელახვის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ინდივიდუები უფლებამოსილნი არიან მიმართონ მართლმსაჯულებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია, თუ იგი არ განეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ და პირად საიდუმლოებას. ინფორმაციის მოთხოვნისას პირი ვალდებული არ არის, მიუთითოს ინფორმაციის მიღების მოტივი ან მიზანი.<sup>242</sup>

საქართველოს, როგორც თანამედროვე მსოფლიოს განუყოფელი ნაწილის, სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის აქტუალიზაციის ფაქტორები უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს, რაც ადამიანის აღნიშნული სამართალდარღვებებისაგან დაცვის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას იწვევს. კონსტიტუციის მიღმა საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლში ძალზე ზოგადად ადგენს მოქალაქის უფლებას „ცხოვრობდეს მისი ჯანმრთელობისათვის უკეთეს ჯანსაღ გარემოში“ და „მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიუკეთდეს ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობაში“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ზოგადი დებულებები ვერ აქმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეკოლოგიური სამართალურთობებისას შესაძლოა წარმოიშვან, ისინი აბსტრაქტულ-აღწერილობით ფორმას ატარებენ და უფრო დეკლარაციას შეესაბამებიან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესსა და ვადებს.<sup>243</sup> იმისათვის, რომ პირმა მიიღოს სასურველი საჯარო ინფორმაცია, მან უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან, კონკრეტული გარემოებების არსებობისას, არაუგვიანეს 10 დღისა.

<sup>242</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლი, 1999 წ.

<sup>243</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-3 თავი, 1999 წ.

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის გაცვლა, ამიტომ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებამ უნდა გასცეს დაუყოვნებლივ, რაც, იურიდიული ლიტერატურის თანახმად, ნიშნავს ინფორმაციის გაცემას მოთხოვნისთანავე, ანუ განცხადება რეგისტრაციის დღესვე უნდა მოხვდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას. აღსანიშნავია, რომ ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დანიშნოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა შეუძლებელია დაუყოვნებლივ მისი მოცულობისა და და კანონით გათვალისწინებული სხვა მიზეზების გამო, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს 10-დღიანი ვადა, ოდონდ ამის შესახებ, აგრეთვე, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.<sup>244</sup>

საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 50-ე მუხლში ღიად აცხადებს 1990 წლის 28 ოქტომბრამდე არსებულ საჯარო ინფორმაციას, გარდა კომერციული, პროფესიული და პირადი საიდუმლოებისა, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის მანძილზე. აღნიშნული დებულება იძლევა ბევრ შესაძლებლობას და არის საბჭოთა საქართველოს მონაცემთა ბაზაში დაცული და ამჟამად არასაიდუმლეობრივი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების საშუალება ბიუროკრატიული მექანიზმების გვერდის ავლის გზით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული წესები იმპერატიულია და სავალდებულოა ყველა საჯარო დაწესებულებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება „ყოველ ადამიანს აქს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“<sup>245</sup> ამ უფლების ძირითადი კომპონენტია ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტია. უფრო კონკრეტულად, ყველას აქს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე, მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელთა კონსტიტუციებიც აღიარებენ ინფორმაციის თავისუფლებას, მათ შორის,

<sup>244</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 40-ე მუხლი, 1999 წ.

საქართველოშიც, ეს ძირითადი უფლება იმ პერიოდის შედეგია, როცა სხვადსხვა ტოტალიტარული რეჟიმის დროს აკრძალული იყო ინფორმაციის მიღება უცხო ქვეყნების პრესიდან, რადიო და სატელევიზიო სადგურებიდან. ყოველი მოქალაქის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების, განვითარებისა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისათვის ინფორმაციის თავისუფლება არანალებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებები.<sup>245</sup>

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების რეალური ბერკეტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომელიც 37-ე მუხლში შესაბამის განმარტებასაც იძლევა: „5. ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.“<sup>247</sup>

ამგვარად, მოქალაქეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სახელმწიფოსგან, გარდა საელმწიფო და კომერციული საიდუმლოებისა. რეალურად გარემოსდაცვითი ინფორმაციის ფლობა ეს არის ბერკეტი იმ საშიშროების წინაშე, რაც ეკოლოგიური კრიზის შეიძლება მოყენეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტიანი მონიტორინგის, რეგულირების განხორციელებისა, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის<sup>248</sup>.

საინტერესოა აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც აგრეთვე ინფორმაციის საჯაროობას ეხება და ადგენს: „საქართველოს კონსტიტუციის მოქალაქეებს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

ზემოაღნიშნული მუხლის მოქმედების სფერო მოიცავს არა მარტო მოქალაქეებზე არსებულ ინფორმაციას, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ კომერციულ, სახელმწიფო ან პირად საიდუმლოებას. აღნიშნული დებულება პირდაპირ

<sup>245</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი, 1995 წ.

<sup>246</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ლიზორია, პ.პორკელია, პ.კუბლაშვილი, გ.ხუბუა, 2005 წ., გვ. 192.

<sup>247</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, 37-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, NN 31-33. 1995 წ.

კავშირშია კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელიც ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

გარდა კონსტიტუციისა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯარობის საკითხები, როგორც აღინიშნა, განმტკიცებულია კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. მისი მიზანია დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით დადგენილი, ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით კანონით დადგენილია გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები, რომელთა შორის აღსანიშნავია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი - რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ლია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის<sup>248</sup>. კანონონის მე-6 მუხლი კიდევ უფრო ნათელს ხდის სახელმწიფო პოლიტიკასა და მიზნებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებებთან მიმართებით და ადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ:

- მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთ;
- მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე;
- გაერთიანდეს გარემოსდაცვით ორგანიზაციებში;
- მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში;

<sup>248</sup> Р. Остин Информация о Загрязнении Окружающей Среды, Право Окружающей Среды в СССР и Великобритании, 1988, 127.

<sup>249</sup> საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებაზე №1-2 1996, მე-5 მუხლი.

- მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობაში;
- სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების პროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული საყოველთაო უფლება - ცხოვრობდე ჯანმრთელობისათვის უგნებელ გარემოში და სარგებლობდე ბუნებრივი და კულტურული გარემოთი<sup>250</sup> ორგანულადაა დაკავშირებული ამავე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელიც ანიჭებს ადამიანს უფლებას, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. ზემოთ ხსენებული უფლების განხორციელების ხელშემწყობი პრინციპი გადმოცემულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ დია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ამ მიზნით, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ორგანოები და სახელმწიფო იურიდიული პირები ვალდებულები არიან, მოთხოვნიდან არა უგვიანეს 2 თვისა უსასყიდლოდ მიაწოდონ სამინისტროს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გარემოს მდგომარეობის შესახებ მომხმარებელთა უკეთ ორიენტირების მიზნით, სახელმწიფო საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, „გარემოს დაცვის შესახებ“ ანიჭებს ეკომარკას, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქცია დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისგან, რესურსთდამზოგველი და საუკეთესო ტექნოლოგიითა და ტექნიკით.<sup>251</sup>

<sup>250</sup> საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე პუნქტი.

<sup>251</sup> კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მე-19 მუხლი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეკომარკირება არის ნებაყოფლობითი ღონისძიება, რაც განსაზღვრულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებაში „ეკომარკირების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.<sup>252</sup> ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ბრძანება კანონქვემდებარებული ნორმატიული აქტია და გამოცემულია კანონის შესასრულებლად. ამდენად, სასურველია, რომ ეკომარკირების ნებაყოფლობითობის საკანონმდებლო საფუძვლები „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც იქნეს განსაზღვრული, რათა საზოგადოების ამ მხრივ ინფორმირების საკითხები, უშუალოდ საკანონმდებლო აქტით იქნეს დარეგულირებული.

ინფორმაციის გავრცელების საკითხის სამართლებრივი დარეგულირების მიზნით მიღებულია კანონები „მომსმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“<sup>253</sup>, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ რისკის შეფასების საფუძველზე მომსმარებელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, მომსმარებლისათვის დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება პროდუქციის შესახებ, რათა მას მიეცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. თუმცა, 2005 წელს მიღებული კანონმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, შესაბამისად გამოცემულმა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის დადგენილებაში „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, კვების მრეწველობა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობად აღარ განისაზღვრება.<sup>254</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ გარკვეულწილად სამართლებრივი გაკუუმი გაჩნდა გარემოზე ზემოქმედების ნებრაოვების გაცემის სფეროში. ერთი მხრივ, არ მოხდა „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 15

<sup>252</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 15.01.99. №3 ბრძანება „ეკომარკირების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, 1-ლი მუხლი.

<sup>253</sup> საქართველოს კანონი „მომსმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, 20.03.96 და საქართველოს კანონი „სურსათისა უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, 27.12.05.

<sup>254</sup> გარემოსდაცვითი მმართელობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, „მწვანე ალტერნატივა“, 2006 წ., გვ. 14.

ნოემბრის კანონის გაუქმება, რომელიც დღესდღეობით მკვდარი ნორმაა და ამ კანონით დარეგულირებული სამართალურთიერთობები დღეს რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მეორე მხრივ, ეს უკანასკნელი შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის საფუძველზე, რომელიც ადგენს, რომ შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანამდე მოქმედებს მთავრობის დადგენილებები, ანუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ყოველივე ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების“ შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა გარემოსდაცვითი ნებართვების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტის შეცვლა ან გაუქმება და რატომ მოხდა იმავე სამართალურთიერთოებების დარეგულირება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს სანიტარიული კოდექსიც, რომლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს უფლება აქვს<sup>255</sup>:

- სახელმწიფო ორგანოსაგან მიიღოს ინფორმაცია სანიტარულ-ჰიგიენური მდგრმარეობისა და ეპიდემიური სიტუაციით, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების შესაძლო მავნე ზეგავლენაის, აგრეთვე მოქმედი სანიტარიული ნორმების შესახებ;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების განხილვასა და პროგრამების შემუშავება-განხილვაში<sup>256</sup>.

ნათელია, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების ორპუსის კონვენციისებური ფორმირების საკითხები, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საკმაოდ მრავალფეროვანია და, გარდა პირდაპირ დადგენილი

---

<sup>255</sup> საქართველოს სანიტარიული კოდექსი, მე-5 მუხლი.

კონსტიტუციური უფლებებისა, კანონმდებლობით გარანტირებულია სხვა უფლებებიც (სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში ადრე არსებული უფლებები აღარ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული), რომლებიც უშუალო კავშირშია ამ უფლებების რეალიზაციასთან.

დღესდღეობით, საქართველოში პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია ერთიანი სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოქალაქეს აძლევს საშუალებას მიიღის მისთვის საინტერესო ინფორმაცია. ორჰუსის კონვენციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ.“<sup>257</sup>

გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის პრინციპთან პირდაპირ კაგშირშია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებას საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას იხელმძღვანელონ „გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპით“, რაც ნიშნავს საქმიანობის განხორციელებასთან დაკაგშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.<sup>258</sup>

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტი ჩარჩო კანონია და შესაბამისად სამართალურთიერთობები მისი ნორმების დაცვის შესაბამისად უნდა რეგულირდებოდეს, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპთან გვაქვს, რაც არა ერთი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის, ორჰუსის

<sup>256</sup> ლ. იზორია, პ. კორკელია, პ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005, გვ.321-322.

<sup>257</sup> საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“, 13.05.05.

<sup>258</sup> ამავე კანონის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში „საქმიანობა“ განმარტებულია, როგორც: „სამეწარმეო, სამეურნეო და ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, რომლებიც ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ გავლენა გარემოს მდგომარეობის ხარისხზე.“

კონვენციით არის გარანტირებული.<sup>259</sup> ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს იერარქიულად უპირატესობა ენიჭებათ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიული აქტებთან მიმართებით.

სამწუხაროდ, საქართველოში დღესდღეობით მძიმე საკანონმდებლო გაკუუმია შექმნილი ამ მიმართულებით, რაც ძირითადად 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მიღებით არის განკირობებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კანონის საფუძველზე მიღებულმა მთავრობის დადგენილებამ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი წარმოქმნა, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მიღების მხრივ. აღნიშნულ დადგენილებაში, საერთოდ არ არის განსაზღვრული ამგვარი გალდებულება, რაც გაუგებრობას იწვევს. ერთი მხრივ, სახელმწიფოს აკისრია საერთაშორისო ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულების გალდებულება<sup>260</sup> (მათ შორის, ორჟუსის კონვენციისა, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში), რომელთა შეუსრულებლობა საერთაშორისო პასუხისმგებლობას იწვევს. მეორე მხრივ, გარდა საერთაშორისო გალდებულებებისა, სახელმწიფო გალდებულია შეასრულოს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და კანონდარღვევაა მათი უგულებელყოფა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე დაყრდნობით და თან მაშინ, როცა გაუქმებული არ არის ამ სფეროს მარეგულირებელი სპეციალური საკანონმდებლო აქტი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“, რომლის მე-16 მუხლი ამგვარ გალდებულებას ითვალისწინებს და რომლის მოქმედებაც შეზღუდულია მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით.

<sup>259</sup> კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, მე-14 მუხლი; კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, მე-4 მუხლი და ა.შ.

<sup>260</sup> 1970 წლის გაეროს დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პროცესების და სახლმწიფოთა შორის მეცნიერებული ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლი.

მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შეტანილმა ცვლილებამ, 3<sup>1</sup>-ე მუხლში დაადგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის ვალდებულება, ისიც საქმიანობის განმახორციელებლისათვის და არა სახელმწიფო ორგანოთათვის, რაც კიდევ დამატებით გაუგებრობას იწვევს. ამ მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მოაწყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საჯარო განხილვა გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განსახილველად წარდგენამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე. ამასთანავე, საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ რაიონის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად გზშ-ს ჩატარებას აღარ ექვემდებარება ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობების განხორციელება, რომლებმაც შესაძლოა საქმაოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე, მათ შორის, წიაღის მოპოვება, სოფლის მეურნეობისა და კედის მრეწველობა, ხე-ტყის გადამუშავება, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო წარმოება, ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურული პროექტი და ა.შ. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნა, ამგვარ ვალდებულებას ადგენს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რაც კიდევ ერთი სამართლებრივი კოლიზიის მაგალითია.

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება კიდევ სხვა პრობლემასაც ქმნის ორჰუსის კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ დადგენილების მე-6 მუხლში დადგენილია, რომ საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან (რაც თავისთავად საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტის განხორციელების პირდაპირი საშუალებაა), თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ დროულად იქნეს მიღებული. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ორჰუსის კონვენციით ნაკისრ

გალდებულებას, რომლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ გალდებულებას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გახადონ საჯარო და უზრუნველყონ საზოგადოების დაინტერესებული წარმომადგენლების ჩართვა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. კონვენცია ასევე ადგენს ამგვარი ქმედებებისგან ხელისუფლების ორგანოების გათავისუფლების პირობებს, რომელთა შორის საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობის შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან საქმიანობის გათავისუფლება მითითებული არ არის. მთავრობის დადგენილების ამგვარი მიდგომა რეალურად იძლევა საქმიანობის განხორციელების დაწყების შესაძლებლობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვის აღების გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნლიდან გამომდინარე, საკმაოდ გაუგებარია ქართველი კანონმდებლის მოტივაცია, რასაც საფუძვლად, ფაქტიურად საერთაშორისო გალდებულებებისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების იგნორირება უდევს.

#### **4.4. ეკოლოგიური უფლებების დაცვა საქართველოს სასამართლო პრატიკის მიხედვით**

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი ხარისხისა, თუ ზოგადად მოსახლეობის მართლმსაჯულებისადმი უნდობლობის გამო, ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით სასამართლოებისადმი წარდგენილი სარჩელების რიცხვი ძალიან მცირეა. მხლოდ ბოლო წლებში, ისიც საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა თუ არასამთავრობო სექტორის აქტიური მუშაობის შედეგად, დაფიქსირდა რამდენიმე საჩივარი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვისა და ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის დაცვის მოთხოვნით.

საქართველოს სასამართლოების ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრაქტიკის განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი დადგენილება გამოიტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა<sup>261</sup> ბუნების (გარემოს) დაცვის შესახებ. პლენუმმა განიხილა საკითხი ბუნების დაცვაზე კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ:

„ბუნებადაცვითი კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა სასამართლოების მიერ წყალსაცავებისა და ჰაერის გაბინძურების, მიწის წახდენის, ტყის უკანონო ჩეხვის (კაფვის) და განადგურების, უკანონო თევზჭერის და ნადირობის შესახებ საქმეთა სწორი განხილვა, ამ მოქმედებებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები გვიჩვენებს, რომ ბუნების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვისას სასამართლოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ პრობლემას, იჩენენ პასიურობას ბუნების ობიექტებზე მიყენებული ვნებისათვის კონკრეტული პირებისა თუ ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხში.

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება 1995 წლის 3 აგვისტო.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქმეთა ისედაც უმნიშვნელო რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელების რიცხვი თითქმის ორი მესამედით შემცირდა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ასეთი დარღვევებისათვის, ფაქტობრივად უმოქმედოა. სასამართლოები უშვებენ შეცდომებს მატერიალური ზარალის ანაზღაურების წესისა და ოდენობის განსაზღვრის დროს, ხოლო ზოგჯერ, საერთოდ არ მსჯელობენ მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე. ყოველთვის სწორად არ წყდება უკანონოდ მოპოვებული პროდუქციის ბედის საკითხი. როგორც წესი, სასამართლოები უკანონოდ მოპოვებულ თევზს, ნანადირევს, აგრეთვე უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეს უტოვებენ ბრალეულ პირს სიმბოლურ ფასებში და არ ხდება ეკოლოგიური ფასეულობის ზიანის ოდენობის განსაზღვრა ფლორასა და ფაუნასათვის მიეკებული ვნების მიხედვით. ბუნების დაცვაზე კანონმდებლობის გამოყენებაში არსებული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით პლენუმი ადგენს:

„გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულება, ბუნებრივი რესურსების მომჰირნე, რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, სასამართლოები მთელი სერიოზულობით მოეკიდონ კონკრეტული სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის განხილვას. ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ჯეროვნად შეამოწმონ, იცავენ თუ არა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები კანონის მოთხოვნას საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ მიიღონ ზომები, რათა დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ყველა პირი მიცემული იქნეს პასუხისმგებაში კანონით დადგენილი წესით.“

ამასთანავე, პლენუმის ამავე დადგენილების მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსზე დაყრდნობით დაადგინა, რომ

„დანაშაული დამთავრებულად ითვლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მაგნე ნივთიერებების, ნარჩენების და მასალების ზღვაში უკანონოდ ჩაყრის მომენტიდან. ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის აუცილებელი, რომ რეალური ზიანი მიადგეს დასვენების ზონებს, ან ხელი შეეშალოს ზღვის გამოყენების სხვა კანონიერ სახეობებს. საკმარისია, ასეთი საფრთხე შექმნას ხსენებულ ობიექტებს. ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისათვის, რაც ამ მუხლის მეორე ნაწილის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა ადამიანების სიცოცხლისათვის საშიში დაავადება, ან მათი შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა, ან ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა.“

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-18 პუნქტის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დაავალა სასამართლოებს, სისტემატიურად განხზოგადებინათ სასამართლო პრაქტიკა მოცემულ საქმეებზე და მიეღოთ ზომები შეცდომათა თავიდან აცილებისათვის.

ამ დადგენილებიდან ნათელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მნიშვნელობა და აუცილებლობა. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული დადგენილებისა, ცოტა რამ თუ გაკეთდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ეკოლოგიური საკითხების, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განზოგადების თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხლოდ ბოლო წლებში, ისიც საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა თუ არასამთავრობო სექტორის აქტიური მუშაობის შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე საჩივარი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვისა და ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის დაცვის მოთხოვნით.

ერთ-ერთი პირველი საქმე წამოწყებულ იქნა საქართველოს სტრატეგიული პკლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის „მოქალაქეები ეკოლოგიურად მდგრადი და უსაფრთხო გარემოსათვის“ ფარგლებში, რომელმაც 2002 წელს მოსახლეობის მიერ სასამართლოს გზით საკუთარი ეკოლოგიური უფლებების დაცვის დადებითი პრეცედენტების შექმნის მიზნით, მომზადდა სარჩელი, თემპის დასახლებაში, ხევმარის ხევში არსებული საკანალიზაციო

კოლექტორთან დაგავშირებით. სასამართლო განხილვის ჩატარებამდე შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყველ ადგიგატური ღონისძიებების გატარება და შესაბამისად სარჩელის შემდგომმა აქტუალიზაციამ აზრი დაკარგა.

2002 წელს ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით მოქალაქეებმა (ლილოს დასახლებაში მცხოვრებლებმა) - ტ. ბერიძემ, ნ.გობეჯიშვილმა და სხვებმა მიმართეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მათი ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოთხოვნით. სარჩელში მოსარჩელები განმარტავენ, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 3 ნოემბრის №1499 განკარგულებით იმ დროს საქართველო რაიონის ტერიტორიაზე უნდა მოწყობილიყო დროებითი ნაგავსაყრელი სამშენებლო კომბინატსა და ლილოს დასახლებიდან 1000 მეტრის დაცილებით. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორას უნდა დაემუშავებინა მოსაწყობი ნაგავსაყრელის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც მოეწყობოდა ნაგავსაყრელი. განკარგულების მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველო რაისაბჭოს აღმასკომს უნდა ჩაეტარებინა გამოყოფილი მიწის რეკულტივაცია-რეგენერაცია. სარჩელის შეტანის დღისთვის (2002 წ.) ნაგავსაყრელი კვლავ ფუნქციონირებდა, თუმცა არ ირიცხებოდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამმართველოს ბალანსზე და მოსარჩელების არაერთგზისი მოთხოვნის შესაბამისად, მათ არ მიეწოდათ ნაგავსაყრელის შესახებ არსებული ტექნიკური და სხვა სახის დოკუმენტაცია. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, ნაგავსაყრელზე არ იყო დაცული ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სხვადასხვა ეპიდემიებისა თუ დაავადებების გასავრცელებლად. მოსარჩელებმა საკუთარი სარჩელის შედგენისას იხელმძღვანელეს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით, ორჟუსის კონვენციითა და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 34-ე მუხლებით და განაცხადეს, რომ მათ უფლება ჰქონდათ ეცხოვრათ მათი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში და მიეღოთ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ. აღნიშნული სარჩელი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნაგავსაყრელის გონივრულ და ურთიერთშეთანხმების

შედეგად დადგენილ ვადაში დახურვის შესახებ. სამწუხაროდ, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილებაში არ იქნა მითითებული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე, „გარემოს დაცვის შესახებ კანონის“ შესაბამისი მუხლების და ორჰუსის კონვენციის დებულებების დარღვევის შესახებ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა, იგი არ აღსრულებულა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში განხორციელდა მრავალი რეორგანიზაცია თბილისის მუნიციპალიტეტსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ინფორმაციის ნაწილი დაიკარგა და მუნიციპალიტეტის მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებები არ შესრულდა. 2004 წელს ლილოს დასახლების მცხოვრებლებმა და ადგილობრივმა სათემო ორგანიზაციამ დახმარება სთხოვეს ცენტრს, რადგან ნაგავსაყრელი პკლავ ფუნქციონირებდა. ატეხილი ხმაურის გამო ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა პროცესის დაჩქარება და ნაგავსაყრელის კონსერვაცია სავალდებულო პროცედურების დაცვის გარეშე (რაც გულისხმობდა სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც შეიმუშავებდა კონსერვაციის პროექტს, შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი კონსერვაციის განმახორციელებელი კომპანიის შესარჩევად). მუნიციპალურმა სამსახურმა გადაწყვიტა უბრალოდ დაეფარა ნაგავსაყრელი მიწის თხელი ფენით. ექსპერტთა აზრით, მსგავსი ქმედება საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. ნარჩენების წეის შედეგად გამოყოფილმა აირმა შესაძლოა 500-800 მეტრში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებში პოვოს გამოსავალი და აფეთქების საშიშროება წარმოშვას. ანალოგიური შემთხვევები საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც დაფიქსირებულა. გარდა ამისა, ნაგავსაყრელის დახურვა, ისევე როგორც განთავსება, პირველი კატეგორიის საქმიანობა „ეკოლოგიური ნებრათვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ანუ დახურვის პროცესი გარკვეული პროცედურების დაცვით უნდა მიმდინარეობდეს. ლილოს შემთხვევაში კი ნაგავსაყრელის დახურვა სამართლებრივი დარღვევით დაიწყო.

2001 წლის 28 თებერვალს ახალციხის 425-მა დაზარალებულმა პირმა ახალციხის სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი შეიტანა. სარჩელის საფუძველი 2001 წლის ბოლოს ახალციხის რ-ში ვირუსული „A“ ჰეპატიტის ეპიდემიის გავრცელება გახდა, რომელმაც პიკს ოქტომბერ-ნოემბრის თვეში

მიაღწია. პეპატიტის მიზეზი სასმელი წყლის ფეკალური მასებით დაბინძურება გახდა. ეპიდემიის გავრცელებას ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედეობამაც შეუწყო ხელი, რომელიც იგნორირებას უკეთებდა სანეპიდსადგურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეპიდემიის საშიშროების არსებობის შესახებ. უფრო მეტიც, ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა საჭიროდ არ ჩათვალეს მოსახლეობის გაფრთხილება შესაძლო საფრთხის შესახებ. დაზარალებულები სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ, ერთ დაზარალებულზე, დაახლოებით, 600 ლარის ოდენობით. მოპასუხეებად დასახელებულია ახალციხის რაიონის გამგეობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაგა ახალციხის რაიონულ სასამართლოში განხილვის პროცესშია.

2003 წლის 17 მაისს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ სარჩელი ადრა მოპასუხეების: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის კომპანიის მიმართ, 2002 წლის 30 ნოემბერს სამინისტროს მიერ კომპანიაზე გაცემული ნავთობის ტრანსპორტირების ეკოლოგიური ნებართვის ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოთხოვნის საფუძველი იყო ის, რომ ეკოლოგიური ნებართვის გაცემისას, სრულად არ იყო დაცული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები და რომ მიღსადენის მშენებლობა იმ სახით, რა სახითაც მასზე ნებართვა გასცა სამინისტრომ, საფრთხეს უქმნის გარემოს. ამ საქმეში ასოციაცია თავის საპროცესო უფლებაუნარიანობას ასაბუთებდა ორჟუსის კონკრეტის 2.5 მუხლზე მითითებით, რომლის მიხედვითაც, ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევა „დაინტერესებულ საზოგადოებად.“ 2003 წლის 24 ივნისს, ასოციაციის მიერ დამატებითი მოთხოვნის შესრულების შემდეგ, თბილისის საოლქო სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო, თუმცა, საბოლოო ჯამში, სარჩელი მან არ დააკმაყოფილა.

2004 წლის 1 აპრილს დასრულდა საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასამართლო საქმე. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს სასარჩელო განცხადება „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას

შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ძირითადი საექსპორტო მიღსადენით ნავთობის ტრანსპორტირების „შესახებ“ ხელშეკრულების (სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება) და მისი დანართების ოფიციალურად გამოქვეყნების თაობაზე. სასამართლომ საქართველოს პარლამენტს დააკისრა ხელშეკრულებისა და მისი დანართების ოფიციალურად გამოქვეყნების უზრუნველყოფა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხებს წარმოადგენდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი, მესამე პირად კი წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის კომპანია და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია. ზემოაღნიშნული სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება და მისი დანართები რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ 2000 წლის 31 მაისს, თუმცა ეს დოკუმენტები დღემდე არ გამოქვეყნებულა ოფიციალურად და ამდენად, საქართველოს ფართო საზოგადოებისთვის მათი შინაარსი დღემდე უცნობია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ხელშეკრულებები განსაზღვრავენ საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივ მოთხოვნებს.

2004 წლის 17 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლოში გაიმართა მოსამზადებელი სხდომა საქმეზე: ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის (ბთჯ) მიღსადენის კომპანიის კონტრაქტორი, შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალის“ წინააღმდეგ (მესამე შეარეები: საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია და ბთჯ მიღსადენის კომპანია). საქმე ეხებოდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალისთვის“ გაცემულ გარემოსდაცვით ნებართვას პროექტზე, რომელიც გულისხმობს ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში მუშაობა ბანაკებსა და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებას სპეციალურ სათავსებში ქ. მარნეულის შესასვლელთან მდებარე მშენებელთა ბანაკის გვერდით გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე და მის

გადატანას შემდგომი დაწვის მიზნით გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარის მიმდებარედ განთავსებულ ე.წ „ინსინირატორში“. მოსარჩელე „მწვანე ალტერნატივა“ ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ საქმიანობაზე ეკოლოგიური ნებართვის გაცემისას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები საზოგადოებისათვის ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. სამინისტრომ ასევე დაარღვია „ეკოლოგიური ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, არ მოსთხოვა რა პროექტის ინვესტორს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეკოლოგიური ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სამწუხაროდ, გაითვალისწინა „სპი კაპაგ პეტროფაზ ინტერნეიშენალის“ აბსოლუტურად უსაფუძვლო მოთხოვნა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ და ამასთან, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება საქმიანობის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ჩატარებისგან გათავისუფლების შესახებ, რისი უფლებაც მას საქართველოს კანონმდებლობით არ ჰქონდა. 2004 წლის 17 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოპასუხის (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს) წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების იმდროინდელი მინისტრის ქალბატონ თამარ ლებანიძის ბრძანება, რომლის თანახმად, სამინისტრო ბათილად ცნობს სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს შპს „სპი კაპაგ პეტროფაზ ინტერნეიშენალისთვის“ გაცემულ გარემოსდაცვით ნებართვას. ამავე ბრძანებით შპს „სპი კაპაგ პეტროფაზ ინტერნეიშენალს“ ეძლევა უფლება განაგრძოს ბათილად ცნობილი ეკოლოგიური ნებართვით ნებადართული საქმიანობის განხორციელება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 30 ნოემბერს ბოჭ მილსადენის კომპანიისთვის გაცემული ეკოლოგიური ნებართვის ფარგლებში. მოსარჩელე „მწვანე ალტერნატივაშ“, ახალადმოჩენილ გარემოებათა გამო, ითხოვა დამატებითი ვადა სასამართლოსთვის დაზუსტებული სარჩელის წარსადგენად.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სარჩელი, რომელმაც უკვე ამოწურა  
მართლმსაჯულების ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და ადამიანის  
უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოთხოვნათა დაცვით  
განსახილველად წარდგენილ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული  
სასამართლოს წინაშე<sup>262</sup>.

აღნიშნული საქმე ეხება ადამიანის ეკლოგიური უფლებების დაცვას ხმაურისა  
და ჰაერის დაბინძურებისაგან. მოქალაქეებმა ო. ქამუშაძემ, ა. წულუკიანმა, გ.  
გოჩაშვილმა, ო. გურეშიძემ, ლ. ალავიძემ და გ. ჯუღელმა 2001 წლის 25  
ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო  
სასამართლოს. მოპასუხებად აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით  
გამოდიოდნენ: საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერა“, სს „საქგაზი“,  
სს „ეი-ეს-თელასი“, სს „თბოელექტროცენტრალი“, ქობილისის მერია,  
საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და საქართველოს გარემოს  
დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

მოსარჩელეები სასარჩელო მოთხოვნებს აფუძნებდნენ იმ გარემოებაზე, რომ  
მათი საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობდა სს „თბოელექტროცენტრალის“  
ტერიტორიის სიახლოეს, რომლის ფუნქციონირებისას არ იყო დაცული  
ელემენტარული სანიტრული პირობები და ახლომდებარე მოსახლეობისათვის  
არანორმალური პირობები იქმნებოდა. მათი მტკიცებით, სს „თბოელექტროცენტრალის“ საკვამურიდან ამოფრქენებული შავი მტვერი, მისი  
ელექტროგენერატორები და ახლოს გამავალი მაღალი ძაბვის ხაზები  
დამაგრევლად მოქმედებს მოსარჩელეების ჯანმრთელობაზე. მოსარჩელეების  
მიერ წარმოდგენილ იქნა თსუ ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორიის დასკვნა,  
რომლის მიხედვით, მავნე ნივთიერებათა შემცველობა ჰაერში ზოგჯერ ათჯერ  
და მეტად აღემატება დასაშვებ ნორმას. აგრეთვე, მათ მიერ წარმოდგენილ იქნა  
თსუ შრომის და ფსიქოლოგიის კათედრის დასკვნა, რომლის თანახმად,  
საცხოვრებელ სახლში ხმაური მნიშვნელოვნად აჭარბებს ხმაურის გამომწვევი  
ტალღების ინტენსივობის დასაშვებ ნორმებს, რაც თავისთავად ზრდის  
უარყოფითი ზემოქმედების უფექტს და იწვევს მთელ რიგ ფსიქოსომატურ და  
სხვა დაავადებებს. მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ სს „თბოელექტროცენტრალის“ მოიხმარს დასაშვებზე მეტი ოდენობით უანგბადს და

<sup>262</sup> დღესდღეობით საქმე ევროპულ სასამართლოში საქმის დაშვების სტადიაშია.

მის ნაცვლად გამოაფრქვევს დიდი ოდენობით მავნე ნივთიერებებს, რომელთა კონცენტრაციის მეტობას აქვს ადგილი. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელეები მოითხოვდნენ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაციას და ეყრდნობოდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 318-ე<sup>263</sup>, 408-ე<sup>264</sup> და მე-1000<sup>265</sup> მუხლებს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გარდა მატერიალური ზიანის კომპენსაციისა, რაც სს „თბოელექტროცენტრალის“ ტერიტორიიდან წყლის ჩადინებით საცხოვრებელი სახლის სარდაფის კედლის დანგრევით იყო გამოწვეული, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სს „თბოელექტროცენტრალის“ სოლიდარულად დაეკისრათ პასუხისმგებლობა ა. წულუკიანისა და თ. ქამუშაძის სასარგებლოდ ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ თითოეულისათვის 5000 ლარის გადახდის სახით. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზებია თბილისის მერიის, სამინისტროსა და სს „თბოელექტროცენტრალის“ ბრალეული ქმედებები. კოლეგიამ დაადასტურა, რომ ა. წულუკიანისა და თ. ქამუშაძის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა სს „თბოელექტროცენტრალის“ ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურითა და გამონაბოლქვით. გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლო კოლეგია დაეყრდნო „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონს, კანონს „საქართველოს დედაქალაქის შესახებ“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულებას, რაც ზემოაღნიშნულ უწყებებს ავალდებულებდა გაეტარებინათ შესაბამისი ღონისძიებები გარემოს დაცვისა და ამ მხრივ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში.

მოსარჩელეებმა თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს და კასაციით მიმართეს საქართველოს უზენაეს

<sup>263</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 318-ე მუხლი, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.

<sup>264</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა.

<sup>265</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის.

სასამართლოს. კასატორები ითხოვდნენ სასარჩელო მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას. საკასაციო საჩივარში ისინი უკვე „გარემოს დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებს ეყრდნობოდნენ და აცხადებდნენ, რომ ირდვეოდა მათი ეკოლოგიური უფლებები.

აღნიშნული საკასაციო სარჩელი განსაკუთრებულად საყურადღებოა, რამეთუ პირველად ქართული სასამართლოების პრაქტიკაში, მოსარჩელების მხრიდან მათი ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოზნით მითითება იყო გაპეტებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლზე, პერძოდ, საქმეზე ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*), რომლითაც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის გამო ესპანეთის მთავრობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4 000 000 პესეტის გადახდის გალდებულება. თუმცა, კოლეგიამ ეს გარემოება არ გაითვალისწინა იმ მიზეზით, რომ ლოპეზ ოსტრას საქმისგან განსხვავებით, ამ საქმეში კასატორებმა იცოდნენ სს „თბოელექტროცენტრალი“-ს საქმიანობის შესახებ და მათი ამ ტერიტორიაზე დასახლება და თვით სახლის აშენება უფრო გვიან მოხდა, ვიდრე სს „თბოელექტროცენტრალისა“. ამ ნაწილში კოლეგია დაეყრდნო კანონს „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, კანონის მე-6 მუხლს. საბოლოო გადაწყვეტილებაში სასამართლომ დადგინა მხოლოდ ქამუშაძისა და წულუკიანისათვის არაქონებრივი ზიანის ასანზღაურების საკითხი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ხმაურითა და მავნე გამონაბოლქვით იყო გამოწვეული<sup>266</sup>.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ კასატორები არ დაკმაყოფილდნენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (ი. ჯულელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ). მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი ჯერ განხილვაში მიღებული არ არის და საქმის დაშვების შესახებ მიმდინარეობს შესაბამისი პრეცედენტი, იგი ქმნის პირველ და ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის ფასდაუდებელ პრეცედენტს, როცა ხდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით საქართველოს მოქალაქეთა საჩივრის წარდგენა ევროპული სასამართლოს წინაშე.

---

<sup>266</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება №ბს-586-507-კ-04.

## დასპენა

ნაშრომის დასასრულს შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში განხილული საკითხები ძირითადად ეხება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების წარმოშობისა და დაცვის საკითხებს, მრავალი დასკვნა, მოსაზრება და რეკომენდაცია ასევე ეხება ზოგადად ეკოლოგიური სამართლის განვითარებას საქართველოში:

1. საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, ორპუსის კონვენციას ენიჭება საკმაოდ მაღალი იერარქიული ადგილი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს ნორმატიული აქტების მიმართ, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, პრაქტიკაში სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება აღმოჩნდნენ სირთულეების წინაშე, რაც დაკავშირებულია სამართლებრივ კოლიზიებთან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს შორის. ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ აღიარებული თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, მათ შორის, ორპუსის კონვენციაც "თვითშემსრულებადი" ხასიათისაა, რის საფუძველზეც ეროვნულ სასამართლოებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ მათი პირდაპირი გამოყენება, სასურველია ეროვნული კანონმდებლობა მაქსიმალურად მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ორპუსის კონვენციასთან, რაც მის ეროვნულ დონეზე უკეთ გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას შეუწყობს ხელს;

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ეკოლოგიური უფლებების ამსახველი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში და მათი ერთობლივი აღქმა საკმაოდ გართულებულია, შესაძლებელია მოხდეს ეკოლოგიური უფლებების ნორმატიული შინაარსის გარკვეულწილად სისტემატიზება და სპეციალური კანონის მიღება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის და ორჰუსის კონვენციის დებულებების დაკონკრეტებასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული;
3. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდება სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება ორჰუსის კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში უკეთ ჰარმონიზირების მიზნით (რაც თავისთვად გამომდინარე საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას მოითხოვს), საჭიროა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი არსებული საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორც ერთმანეთთან, ისე ორჰუსის კონვენციასთან. ამ მხრივ, პირველ რიგში, სასურველია აღმოიფხვრას და შეივსოს ის ხარვეზები, რაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის საკითხს შეეხება და საკანონმდებლო დონეზე იქნეს გარანტირებული ამ პრინციპის შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა, რისი იგნორირებაც საქართველოს მიერ ორჰუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ნიშნავს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი ახალი საკანონმდებლო აქტით განისაზღვროს, რამეთუ, ამ პრინციპის მხოლოდ კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ნორმათა იერარქიის მოთხოვნების დარღვევას იწვევს;

4. ეროვნული სამართლებრივი სისტემის სრულყოფისა და განმტკიცების გარდა, სასურველია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმაც, რაც ძირითადად არსებული კანონმდებლობის სათანადო აღსრულებას, ორჰუსის კონვენციისებური მიღვომების შესახებ საზოგადოების ცნობიერების

ამაღლებასა და მათი ამ მხრივ ნდობის განმტკიცებას მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს;

5. საქართველოში მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კველა ის მოთხოვნა, რომლებიც უნდა უზრუნველყოფნების ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც თავისი მოღვაწეობით დამატებით საფრთხეს არ შეუქმნის საარსებო გარემოს და შესაბამისად დაცული იქნება თითოეული მოქალაქისა და თავად საზოგადოების ეკოლოგიური უფლებებიც. მიუხედავად ამისა, ურთულესი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მთავრობაც და საზოგადოებაც ხშირად იგნორირებას უკეთებს გარემოს ხელყოფის ფაქტებს, რის გამოც ყველაზე უფრო ზარალდება ადგილობრივი ფლორა, ფაუნა და ბუნებრივი ლანდშაფტები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან გარემოს დაზიანება და ბუნებრივი რესურსების არამართებული გამოყენება განპირობებულია: ა) დაბალი ეკოლოგიური ცნობიერებით; ბ) საქართველოში მოქმედი ეკოლოგიური კანონმდებლობის არცოდნით; გ) სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორებს შორის არასაკმარისი კოორდინაციით. გარდა ამისა, გარკვეულ პრობლემებს ქმნის აღსრულების მექანიზმების სისუსტე და, ხშირ შემთხვევებში, მათი უქონლობა;

6. დაბალია უურნალისტების დაინტერესება ეკოლოგიური სამართლის თემატიკით და კანონმდებლობის განხორციელების ხარვეზებით. უურნალისტიკის ფაკულტეტები (როგორც სახელმწიფო, ასევე პერძო ინსტიტუტებში) არ ამზადებენ კადრებს ეკო-უურნალისტიკის განხრით. ამდენად, საზოგადოების ინფორმირების ჯაჭვის ყველაზე მძლავრი რგოლი, მას-მედია ამ კუთხით პრაქტიკულად არაეფექტურია. დღეისათვის საქართველოში ეკოლოგიური ინფორმაციის არაპოპულარულობას მისი არაკომერციული მხარეც განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ტელევიზიონთა და პრესის საშუალებით გარემოსდაციო ინფორმაციის გავრცელება ფრაგმენტულია;

7. მსგავსი სიტუაციაა შექმნილი ეკოლოგიური სამართლის სწავლების სფეროშიც. არცერთ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტებს არ გააჩნია გარემოს დაცვის სამართლის კათედრა, არ არსებობს გარემოს დაცვის (ეკოლოგიური) სამართლის სახელმწიფო სასწავლო პროგრამა, შესაბამისად არ არის დამტკიცებული კონკრეტული სასწავლო პროგრამები და არ არსებობს სახელმძღვანელო (ბიბლიოგრაფიული) ბაზაც. მართალია, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის შესაძლებელია წაკითხულ იქნეს ეკოლოგიური სამართლის კურსი, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული ლექტორების ინიციატივაზე და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომელიც ხელმძღვანელობის ცვლასთან ერთად პრაქტიკულად ყოველწლიურად იცვლება. სწორედ აქედან გამომდინარე, პრობლემებია გარემოსდაცვით სამართალწარმოებაში (ეკოლოგიური სამართლის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი), რაც, ორჟუსის კონვენციის მალაში შესვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დიდ სირთულეებს ქმნის;

8. სამწუხაროდ, საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მოკლებულია მყარ ფინანსურ მექანიზმს. დღემდე ვერ ხორციელდება ამ კანონის მე-17 მუხლში მოხსენიებული განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა, რომლის საშუალებითაც შემოსული თანხები გამოყენებული უნდა იქნეს ეკოლოგიური ავარიისა და კატასტროფის შედეგების აღმოფხვრისა და მათი პროფილაქტიკისათვის, რაც აღამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამომდინარე საქართველოს თავისებურებებიდან და ბოლო წლების სადაზღვევო გამოცდილებიდან, შესაბამისი დაზღვევის განხორციელებისათვის უმჯობესია დაფუძნდეს საგალდებულო ეკოლოგიური დაზღვევის სახელმწიფო კომპანია, რომელიც რეალურად განახორციელებს გარემოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და პრევენციულ ღონისძიებებს;

9. საქართველოში არ არსებობს ეკოლოგიური საკითხების მენეჯმენტის მეთოდი და გამოცდილება. საქართველოს საწარმოებში არ არსებობს ეკოლოგიური სამსახურები, არ მოქმედებს საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტები<sup>267</sup>;

10. ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადის განაკვეთის არსებობას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრინციპის „დამაბინძურებელი იხდის“ სერიოზული დარღვევაა და ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს შორის კოლიზიას წარმოშობს. აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს მოქმედ საგადასახადო კოდექსში და „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის აღდგენა, მით უმეტეს, რომ ამ პრინციპის არსებობას ითვალისწინებს საქართველოს 1996 წლის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ნორმათა დროში მოქმედების პრინციპის გათვალისწინებით დღეს უმოქმედოა;

11. გარდა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა, სასურველია მოხდეს შესამაბისი ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლო დაწესებულებების კადრების გადამზადება უშუალოდ მათი ეკოლოგიური განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ თვალსაზრისით მეტი აქტიურობით და უფრო ეფექტიანად უნდა იქნეს გამოყენებული ის დაფინანსება, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ეძლევა საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში. სასურველია დაარსდეს ახალი ან უკეთ დაფინანსდეს უკვე არსებული სახლმწიფო სამსახურები საჯარო მოსამსახურეთა და მოსამართლეთათვის ეკოლოგიური ტრენინგებისა და მეცადინეობების ჩატარების მიზნით;

12. გარემოსდაცვის სფეროში პროფესიონალთა ცოდნის ამაღლების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საჯარო მოხელეების (რა თქმა უნდა, ამ სფეროში მომუშავე ადამიანების), მოსამართლეების, ადგოკატების და

<sup>267</sup> დასავლეთში საწარმოების ეკოლოგიური საქმიანობა ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების ნაწილს უნდა გააჩნდეს ეკოლოგიური სერტიფიკატი ISO 14000 (გარემოს დაცვის მართვის სერთიფიკატი). გამოიყენება აგრეთვე ემასის სტანდარტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ISO 14001 სახელწოდებით – „გარემოს დაცვის მართვის სისტემები, მოთხოვნები და ხელმძღვანელობა“.

პროგურორების შესარჩევი კონკურსების საგამოცდო საკითხებში ეკოლოგიური კანონმდებლობის გათვალისწინება. რადგან, სწორედ ამ პირებს ენიჭებათ უმნიშვნელოვანესი როლი საქართველოში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის პრაქტიკულ უზრუნველყოფაში;

13. დღესდღეობით მსოფლიოში პრეცედენტული სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვით სასამართლო პროცესების წარმართვა, რაც ხშირად ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით სხვა უფლებების შეზღუდვას იწვევს. სამწუხაროდ, საქართველოში, ევროპული და სხვა განვითარებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით სასამართლოების წინაშე წარდგენილ სარჩელთა რიცხვი ძალზე მცირეა, შეიძლება ითქვას, თითზე ჩამოსათვლელია. ყოველივე ეს გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი ცნობიერებით და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაადასტურა, რომ, თუ ერთ-ერთ პირველ სასამართლო საქმეში, რომელშიც წარმოიშვა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხი, სასამართლომ ბოლომდე ვერ გაათვითცნობიერა გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობა, საქართველოს სასამართლოების მომდევნო გადაწყვეტილებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის პრაქტიკა. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკისთვის ჯერ კიდეც ძალიან ახალი და უცხო სფეროა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა, თუმცა ამას ალბათ აქვს თავისი ლოგიკური ახსნაც, კერძოდ, ის, რომ დღესდღეობით საქართველოში საზოგადოება და ხელისუფლების ორგანოები ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი ხარისხის გამო ბოლომდე ვერ აცნობიერებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანის ეკოლოგიური უფლებებს არღვევენ. გარემოსდაცვითი პროცედურების სირთულიდან გამომდინარე სასამართლოები ხშირად შეიძლება პროცედურების წინაშეც აღმოჩნდნენ. ამდენად, საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილებების გამოტანისას, მოწვეულ ექსერტა

ჩვენებების გამოყენების პრაქტიკა მართლმსაჯულების სისტემაში ფართოდ უნდა დაინერგოს;

14. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას დღევანდელ მსოფლიოში ენიჭება უმნიშვნელოვანების ადგილი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში, რაც საქართველოსთვის სამაგალითო და მისაბაძი უნდა გახდეს. ევროპული კონვენციის მოქმედების პირველ წლებში ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხი აქტუალური არ იყო. იმ დროისათვის მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობდა რეალური ეკოლოგიური საფრთხე, რაც მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა აქტიურმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ხარჯზე უნდა მიმდინარეობდეს, რაც საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ჯანსაღი მომავლის უმთავრესი ატრიბუტია. წინამდებარე ნაშრომის შედეგად, ეკოლოგიურ უფლებებთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით შესაძლებელია გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

14.1. მსოფლიო ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაზე. თუ სასამართლოს საქმიანობის პირველ წლებში სასამართლო არსებით განხილვაზეც არ უშვებდა ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს, შემდგომ პერიოდში ამგვარი უფლებების რეალიზაცია სასამართლოს მიერ ეგრეთ წოდებული *par richochet* - ის პრინციპის გამოყენებით ხორციელდებოდა. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლების მრავალმხრივი ინტერპრეტაციის და განმარტების საფუძველზე შეძლო არაპირდაპირი გზით დაეცვა ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება, რაც დემოკრატიის განვითარების მეტად აქტუალური ფაქტორია. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების დაბალანსების პრინციპის დაცვით, ევროპულმა სასამრთლომ შეძლო გაევლო ზღვარი შესაძლო და დამდგარ ეკოლოგიურ საფრთხესა და დემოკრატიული საზოგადოების

აღმშენებლობას შორის. დღესდღეობით ევროპული კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები წარმოადგენენ ევროპული სასამართლოს მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალურ ბერკეტს, რომელთა განმარტება სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია;

14.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს მიდგომა ეკოლოგიური უფლებების დარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ორ მიმართულებაში გამოიხატება: სასამართლო აქტიურობაში და სასამართლო პასიურობაში. სასამართლო აქტიურობა გლინდება სასამართლოს სწრაფგაში მოახდინოს კონვენციით გარანტირებული უფლებების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მას ეკოლოგიური უფლებების არაპირდაპირი გზით დაცვაში ეხმარება. ამ მიზნით სასამართლო ძირითადად კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების განმარტებებს ეყრდნობა. რაც შეეხება სასამართლო პასიურობას, ამ მხრივ აღსანიშნავია სასამართლოს თავისებური მიდგომა კონვენციის სხვა მუხლებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება სასამართლოს აშკარა თავშეკავებულობაში. კერძოდ, სასამართლო თავს იკავებს ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით განმარტოს კონვენციის ზოგიერთი მუხლი (გარდა მე-8 და მე-10 მუხლისა). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს წევრი სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებას ეკოლოგიური საფრთხის შეფასების თვალსაზრისით, რამაც დიდი როლი ითამაშა სასამართლოს მიერ აქამდე გამოტანილ შესაბამის გადაწყვეტილებებზე;

14.3. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეკოლოგიური უფლებების დაცვის მეტნაკლებ საშუალებას იძლევა და ევროპული კონვენცია „ცოცხალ დოკუმენტაცია“ მიიჩნევა, რომლის მუხლების ინტერპრეტაცია ცნობიერების განვითარებას თან სდევს, აუცილებელია, რომ რეალიზირებულ იქნეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებს შეეხება;

14.4. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობამ აღიარა ევროპული კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, მისი ასეთად აღიარების ფაქტი თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დამკვიდრდეს კონვენციის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში. საკანონმდებლო დონეზე გატარებული ლონისძიებების გარდა, აუცილებელია გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები სასამართლოთა საქმეთა განხილვის დროს საერთაშორისო ხელშეკრულებების და, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად;

15. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობისა და მოხელეების ეკოლოგიური ცნობიერების და ცოდნის ამაღლება, ეკოლოგიური სახელმწიფო პროგრამების უკეთ დაფინანსება და ეფექტიანი განხორციელება, ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის ამოვსება, საერთაშორისო გრემოსდაცვითი და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საქართველოს მისცემს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის შესაძლებლობას ადამიანის ეკოლოგიური უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

# ბამოყვებული

## ლიტერატურა

### 1. ქართულენოვანი ლიტერატურა

**ბითაძე გ.**, საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის შექმნისა და განვითარების ისტორია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, თბილისი, 2003 წელი;

**ბითაძე გ.**, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ქურ. საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი;

**ბითაძე გ.**, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.პორკელია, თბილისი 2006 წელი;

**გიგიაშვილი ი.**, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. პ.პორკელია, თბილისი, 2005 წელი;

**იზორია ლ.**, კორპუსია პ. კუბლაშვილი პ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005 წელი;

**კორპუსია პ., ქურდაძე ი.**, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004 წელი;

**ლაბარტყავაძა ა.**, ეკოლოგიური სამართალი, თბილისი, 2003 წელი;

**ლეონარდი დიკ**, ევროკავშირის სახელმძღვანელო, 2002 წელი;

**მალანჩუკის პ.**, აკერპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი;

**მიქაძე ი.**, ეკოლოგია, თბილისი, 2005 წელი;

**ურუშაძე თ., ლორია გ.**, ეკოლოგიური სამართალი, თბილისი, 1999 წელი;

ჭანტურია ლ., გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და სამართალი, თბილისი, 1992 წელი;

## 2. უცხოებოვანი ლიტერატურა

**Acevedo T. Mariana**, The Intersection of Human Rights and Environmental Protection in the European Court of Human Rights, 2001;

**Anderson Michael R.**, Human Rights Approaches To Environmental Protection, 1996;

**Axeldor R., Norman J. Vig.**, The Global Environment: Institutions, Law, and Policy (Global Environment), 1996;

**Bell S. and D.McGillivary**, Environmental Law, 2000;

**Битадзе М..**, Права Человека, Здоровье и Защита Окружающей Среды, Жур. Международное Право и Проблемы Интеграции, Баку, 2005 г;

**Boyle A., Anderson M.**, Human Rights Approaches to Environmental Protection, 1998;

**Brandl, Ernst and Bungert, Hartwin**, Constitutional Entrenchment of Environmental Protection: A Comparative Analysis of Experiences Abroad, 1992;

**Бринчук М.М.**, О понятийном аппарате экологического права, Государство и право 1998;

**Бринчук М.М.**, Экологические права граждан в контексте развития природоохранительного законодательства. Вестник МГУ, серия 11. Право. 1996;

**Бринчук М.М.**, Экологическое Право. 1998;

**Churchill Robin**, Environmental Rights in Existing Human Rights Treaties in Boyle & Anderson, 1999;

**Васильева М.И.**, Закон и право граждан на здоровую окружающую среду - Серия „Право“ - 1988;

**Витрук Н. В.**, Правовой статус личности в СССР. М., 1985;

**Голуб А.А.**, Струкова Е.Б. Экономика природопользования. – М., 1995;

**Грижмек Б.С.**, Экологические очерки о природе и человеке -М. 1988;

**Ермакова В.Д., Сухарева А.Я.**, Экологическое право России. Учебник. Под ред, М. 1997;

**Dejeant-Pons M., M. Pallemaerts**, Human rights and the environment, 2002;

**Desgagne**, *Environmental Values and Human Rights in Europe*, 89 AJIL. 1995;

**Douglas-Scott S.** Environmental Rights In the European Union - Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson, 1996;

**Ebbesson J.**, Compatibility of International and National Environmental Law, 1996;

**Eckersley R**, Greening Liberal Democracy: The Rights Discourse Revisited, in Brian Doherty and Marius de Geus (eds.), *Democracy and Green Political Thought*, 1996;

**Forrester J.**, World Dynamics. Wright Allen Press, 1971;

**Fitzmaurice M.**, Environmental Protection and International Court of Justice, 1996;

**Garcia San Jose D.**, Environmental protection and the European Convention on Human Rights, 2005;

**Gormley W.**, The right to a safe and decent environment, 1989;

**Green Week Session: Your Environmental Rights. Environment for Europeans** - Magazine of the Directorate-General for the Environment. Issue - 17. 2006;

**Handl G.**, Human Rights and the Protection of the Environment: A Mildly Revisionist View, in Antonio Augusto Cancado Trindade (ed.), *Human Rights, Sustainable Development and the Environment*, San Jose de Costa Rica and Brasilia. 1992;

**Harper, C.L.** Environment and Society: Human Perspectives on Environmental Issues. 1996;

**Hunter D., Salzman J., Zaelke D.**, - International Environmental Law and Policy - NY, 1999;

**Кабалкин А.Ю.**, Социально-экономические права советских граждан, М., 1986;

**Kiss Alexandre**, An introductory note on human right to environment, 1991;

**Kiwanuka R.**, The Meaning of people in the Africa Charter on Human and People's Rights/ Amer J. Intern. Law. 1988;

**Колбасов О.С.**, Экология: политика-право. М., 1976;

**Колбасова О.С.**, Социализм и охрана окружающей среды - Под ред . М. 1979;

**Кравченко С.Н.**, Психологические аспекты правовой охраны окружающей среды. Львов, 1998;

**Kramer**, *Focus on European Environmental Law*. London, 1992;

**Лукашева. Е.А.**, Общая теория прав человека. Ответственный редактор. М. 1996;

**Лукашева Е.А.**, Социалистическое право и личность. М., 1987;

**Лукашева Е.А.**, Конституционный статус личности с СССР, М., 1980;

**Лукашук И.И.**, Курс международного права. Основные принципы международного права. М. 1989;

**Lowe V., Fitzmaurice M.**, Fifty Years of the International Court of Justice, 1996;

**Macfarlane L.**, The Theory and Practice of Human Rights. London, 1985;

**Мюллерсон Р.А.**, Права человека: идеи, нормы, реальность. М., 1991;

**Meadows D.**, The Limits to Growth, 1999;

**Остин Р.К.**, Информация о загрязнении окружающей среды. Право окружающей среды в СССР и Великобритании. М. 1988;

**Остин Р.К.**, Право окружающей среды в СССР и Великобритании. М. 1998;

**Ожегов С.И., Шведова Н.Ю.**, Толковый словарь русского языка. М., 1997;

**Pathak R.S.**, The Human rights system as a conceptual framework for environmental law, 1991;

**Полянский Г.Н.**, Правовые вопросы охраны природы в СССР ,1963;

**Петров В.В.**, Правовая охрана природы СССР 1988;

**Rauschning D.**, Lac Lanoux Arbitration, 1981;

**Рябов А.А.**, Охрана права государственной собственности на природные ресурсы СССР. 1982;

**Равилова Э.И.**, Законодательство о нормативах реализации экологических прав граждан. Уфа, 1996;

**Соколова З.П., Новикова Н.И., Сорин-Чайков Н.В.**, Этнографы пишут закон: контекст и проблемы. – Этнографическое обозрение, 1995;

**Сулея М., Уилкоса Б.**, Биология охраны природы. М., 1983;

**Тарнавский А.Г.**, Право граждан на благоприятную окружающую среду. Советское государство и право. 1990;

**Ткаченко А.А., Корюхина А.В.**, К проблеме ратификации Российской Федерацией Конвенции «О Коренных народах и народах, ведущих племенной образ жизни в независимых странах». Этнографическое обозрение, 1995;

**Tomuschat. Ch.**, Human Rights in a Worldwide Framework: Some Current Issues/Leitschrift fur auslandisches öffentliches Recht und Volkerrecht. Heidelberg, 1985;

**Трофимов В.Н.**, Военная и экологическая безопасность. М., 1991;

**Федоров Е.К.**, Экологический кризис и социальный прогресс. М. 1977;

**Shelton D.**, The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals in: Linking Human Rights and Environment, R.Picolotti and J.D. Traillant (Eds.), 2003;

**Shelton D.**, Environmental Rights in the European Community, 16 Hastings *ICLR*;

**Vasak K.**, A 30-year struggle/UNESCO Courier. 1977;

**Witzsch G.**, The Right to a Healthy and Decent Environment in New Lesotho Constitution? 1992;

**Хабиров Р.Ф.**, Международно-правовое регулирование права человека на благоприятную окружающую среду. В кн.: Теоретические основы формирования экологического, аграрного, земельного, предпринимательского законодательства в субъектах РФ. Сборник научных трудов. Оренбург, 1997;

**Эл Гор**, Земля на чаше весов. Экология и человеческий дух. М., 1993.

### 3. გამოყენებული ძირითადი

#### ეროვნული ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წელი;

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წელი;

საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, 1996 წელი;

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 1996 წელი;

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“, 1996 წელი;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, 1996 წელი;

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, 1997 წელი;

საქართველოს კანონი „საზღვაო სივრცის შესახებ“, 1998 წელი;

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, 1998 წელი;

საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, 1998 წელი;

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, 1999 წელი;

საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, 1999 წელი;

საქართველოს „ტყის კოდექსი“, 1999 წელი;

საქართველოს კანონი „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“, 1999 წელი;

საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, 2000 წელი;

საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, 2003 წელი;

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 2005 წელი;

ს.ს.რ. კანონი „ბუნების დაცვის შესახებ“, 1958 წელი;

ს.ს.რ.კ. კანონი „ცხოველთა სამყაროს რესურსების დაცვისა და გამოყენების შესახებ“;

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ეკროპის კავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის შესახებ“, 1997 წელი.

#### 4. გამოყენებული ძირითადი

##### საერთაშორისო დოკუმენტები

კონგრესის ზღვის გოჭების დაცვის შესახებ, 1911 წელი;

კონგრესის ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ფაუნის და ფლორის დაცვის შესახებ, 1933 წელი;

კონგრესის დასავლეთ ნახევარსფეროში ბუნების დაცვის შესახებ, 1940 წელი;

გეშაპების რეწვის საერთაშორისო კონვენცია, 1946 წელი;

ეკონომიკური კონგრესის ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ 1950 წელი;

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და პულტურულ უფლებათა შესახებ, 1966 წელი;

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, 1966 წელი;

კონგრესის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, 1969 წელი;

კონგრესის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ, 1971 წელი;

სტოკოლმის დეკლარაცია ადამიანის საარსებო გარემოს შესახებ, 1972 წელი;

კონგრესის გარეული ფლორის და ფაუნის გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, 1972 წელი;

კონკრეტულია გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, 1973 წელი;

შეთანხმება პოლარული (თეთრი) დაოვების დაცვის შესახებ, 1973 წელი;

კონკრეტულია ხმელთაშუა ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ, 1976 წელი;

კონკრეტულია შორ მანძილებზე ატმოსფერული ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ, 1979 წელი;

ბუნების დაცვის მსოფლიო სტრატეგია, 1980 წელი;

ბუნების მსოფლიო ქარტია, 1982 წელი;

კონკრეტულია ოზონის შრის დაცვის შესახებ. 1985 წელი;

კონკრეტულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, 1985 წელი;

კონკრეტულია ბირთვული ავარიის შემთხვევაში თკერატიული შეტყობინების შესახებ, 1986 წელი;

კონკრეტულია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის თაობაზე, 1989 წელი;

კონკრეტულია დამოუკიდებელ ქვეყნებში ძირძველი ხალხების და თემური წყობილების მქონე ხალხების შესახებ, 1989 წელი;

კონკრეტულია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში ეკოლოგიური ზემოქმედებების შეფასების შესახებ, 1991 წელი;

კონკრეტულია საწარმოო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ, 1992 წელი;

კონკრეტულია ბალტიის ზღვის რაიონის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ, 1992 წელი;

რიო-დე-ჯანიეროს დეკლარაცია გარემოს დაცვის და განვითარების შესახებ, 1992 წელი;

კონკრეტულია საერთაშორისო ტბებისა და ტრანსსასაზღვრო მდინარეების გამოყენებისა და დაცვის შესახებ, 1992 წელი;

კონკრეტულია კლიმატის ცვლილების შესახებ, 1992 წელი;

კონკრეტულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992 წელი;

კონკრეტულია მდინარე დანუბის დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში თანამშრომლობის, 1994 წელი;

კონკრეტულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის (განსაკუთრებით გვალვიან, მაგ. აფრიკის ქვეყნებში) შესახებ, 1994 წელი;

კონვენცია საერთაშორისო წყლების არასანავიგაციო მიზნით გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

კონვენცია სანაოსნო გზების არასანაოსნო მიზნებით გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

კონვენცია რადიაქტიული ნარჩენების და დაღვრილი საწვავის მართვის უსაფრთხოების შესახებ, 1997 წელი;

კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, 1998 წელი;

კონვენცია საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით ვაჭრობისას წინასწარდასაბუთებული თანხმობის პროცედურის გამოყენების, 1998 წელი;

კარტახენას ოქმი ბიოლოგიური მრავალფეროვნების უსაფრთხოების კონვენციის, 2000 წელი;

კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინურებლების, 2001 წელი;

#### 4.1. ევროპის გაერთიანების ნორმატიული დოკუმენტები

**Council Directive** 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990);

**Council Regulation** of 19 October 1987 on the continuation and implementation of a European Community policy and action programme on the environment (1987 to 1992);

**Council Decision** of 7 October 1997 on the conclusion of the Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic;

**Council Directive** 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy;

**Council Directive** 80/68/EEC of 17 December 1979 on the protection of groundwater against pollution caused by certain dangerous substances;

**Council Decision** of 4 April 2001 on the approval, on behalf of the European Community, of the Protocol to the 1979 Convention on Long-range Transboundary Air Pollution on Heavy Metals 2001/379;

**Corrigendum to Directive** 2004/40/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (electromagnetic fields) (18th individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC) (Official Journal of the European Union L 159 of 30 April 2004);

**Council Directive** 2003/10/EC of the European Parliament and of the Council of 6 February 2003 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (noise) (Seventeenth individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC);

**Corrigendum to Directive** 2004/26/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 amending Directive 97/68/EC on the approximation of the laws of the Member States relating to measures against the emission of gaseous and particulate pollutants from internal combustion engines to be installed in non-road mobile machinery (OJ L 146, 30.4.2004);

**Council Regulation (EC)** No 850/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on persistent organic pollutants and amending Directive 79/117/EEC;

**Commission Decision** 2000/532/EC of 3 May 2000 replacing Decision 94/3/EC establishing a list of wastes pursuant to Article 1(a) of Council Directive 75/442/EEC on waste and Council Decision 94/904/EC establishing a list of hazardous waste pursuant to Article 1(4) of Council Directive 91/689/EEC on hazardous waste (OJ L 226, 6.9.2000, p. 3);

**Council Directive** 76/160/EEC of 8 December 1975 concerning the quality of bathing water; 82/501/EEC;

**Council Directive** of 24 June 1982 on the major-accident hazards of certain industrial activities; 83/477/EEC;

**Council Directive** of 19 September 1983 on the protection of workers from the risks related to exposure to asbestos at work (second individual Directive within the meaning of Article 8 of Directive 80/1107/EEC);

**Council Directive** 84/360/EEC of 28 June 1984 on the combating of air pollution from industrial plants;

**Council Directive** 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work; Council Directive 89/618/Euratom of 27 November 1989 on informing the general public about health protection measures to be applied and steps to be taken in the event of a radiological emergency;

**Council Directive** 90/219/EEC of 23 April 1990 on the contained use of genetically modified micro-organisms;

**Council Directive** 90/313/EEC of 7 June 1990 on the freedom of access to information on the environment;

**Council Directive** 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work;

**Council Directive** 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work (Sixth individual Directive within the meaning of Article 16 (1) of Directive 89/391/EEC);

**Council Regulation** (EEC) No 1210/90 of 7 May 1990 on the establishment of the European Environment Agency and the European Environment Information and Observation Network; Council Regulation (EEC) No 880/92 of 23 March 1992 on a Community eco-label award scheme;

**Council Regulation** (EEC) No 1836/93 of 29 June 1993 allowing voluntary participation by companies in the industrial sector in a Community eco-management and audit scheme;

**Council Directive** 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990);

**Council Directive** 85/337 on Environmental Impact Assessment;

**ხელშეკრულება** ქვანახშირისა და ფოლადის ეკოროპული გაერთიანების შექმნის შესახებ, 1951 წელი;

**ხელშეკრულება** ეკოროპის თანამეგობრობის შექმნის შესახებ, 1957 წელს კ.წ. რომის შეთანხმება;

**ხელშეკრულება** ატომური ენერგიის ეკროპული თანამეგობრობის შექმნის შესახებ, 1957 წელი.

**მაასტრიხის შეთანხმება** ეკოროპის კავშირის შექმნის შესახებ, 1992 წელი;

**ამსტერდამის შეთანხმება** ეკოროპის კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 1997 წელი.

## 5. სასამართლო პრაქტიკა

### 5.1. ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს განჩინებები

დოქ. ს. გერმანიის ფედერაციული ოქსაუბლიერის წინააღმდევე (Dr S. v. the Federal Republic of Germany);

ქს. და ი. გერმანიის ფედერაციული ოქსაუბლიერის წინააღმდევე (X and Y v. the Federal Republic of Germany);

არონდელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Arrondelle v. the United Kingdom);

ბაგ ზეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Bagges v. the United Kingdom);

პაუელ და რეინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Powell and Rayner v. the United Kingdom);

ვეარნკომბი და სხვები გერმანიის ფედერაციული ოქსაუბლიერის წინააღმდევე (Vearncombe and others v. the Federal Republic of Germany);

ქს. საფრანგეთის წინააღმდევე (X v. France);

ზანდერ შვედეთის წინააღმდევე (Zander v. Sweden);

ჰაკასონ და სტურენსონი შვედეთის წინააღმდევე (Hakasson and Sturesson v. Sweden);

ფრედინი შვედეთის წინააღმდევე (Fredin v. Sweden);

„pine valley developments ltd“ და სხვები ირლანდიის წინააღმდევე (Pine Valley Developments Ltd. and others v. Ireland);

კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Coster v. the United Kingdom);

ზვოლსკი და ზვოლსკი ჩეხეთის ოქსაუბლიერის წინააღმდევე (Zvolsky and Zvolsy v. Czech Republic);

პაპასტავროუ და სხვები საბერძნეთის წინააღმდევე (Papastavrou and others v. Greece);

მურიელ ჰერიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Muriel Herrick v. the United Kingdom);

გილოუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Gillow v. the United Kingdom);

სპორრონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდევე (Sporrong and Lonnroth v. Sweden);

პაუელი და რეინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდევე (Powell and Rayner v. the United Kingdom);

ლოპეს ისტრა ესპანეთის წინააღმდევე (López Ostra v. Spain);

ფადეევა ოქსაუბლიერის ფედერაციის წინააღმდევე (Fadeyeva v. the Russian Federation);

პატონი და *bbezjō* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*);

ანა მარია გერა და *bbezjō* იტალიის წინააღმდეგ (*Anna Maria Guerra and others v. Italy*);

ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*L.C.B. v. the United Kingdom*);

ტაურია საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tauria v. France*);

ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (*Zander v. Sweden*);

ბალმერ შაფროთი და *bbezjō* შვეიცარიის წინააღმდეგ (*Balmer-Schafroth and Others v. Switzerland*);

ათანასოვლოუ და *bbezjō* შვეიცარიის წინააღმდეგ (*Athanassoglou and others v. Switzerland*).

## 5.2. სარჩელები წარდგენილი საქართველოს საერთო სასამართლოების წინაშე და დადგენილებები

სარჩელი - თემქის დასახლებაში, ხევძმარის ხევში არსებული საკანალიზაციო კოლექტორთან დაკავშირებით, 2002 წელი;

სარჩელი - ლილოს დასახლებაში ნაგავსაყრელთის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, 2002 წელი;

სარჩელი - ახალციხეში სასმელი წელის ფეკალური მასებით დაბინძურებასთან დაკავშირებით, 2001 წელი;

სარჩელი - „მწვანე ალტერნატივა“ „ბოჭ მილსადენის კომპანიის“ წინააღმდეგ ორჰუსის კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, 2003 წელი;

სარჩელი - „მწვანე ალტერნატივა“ „ბოჭ მილსადენის კომპანიის“ წინააღმდეგ, 2004 წელი;

სარჩელი - „მწვანე ალტერნატივა“ შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალის“ წინააღმდეგ (მესამე მხარეები: საქართველოს ნაცონალური საერთაშორისო კორპორაცია და ბთჯ მილსადენის კომპანია), 2004 წელი;

სარჩელი - ო. ქამუშაძე, ა. წულუკიანი, გ. გოჩაშვილი, ო. გურეშიძე, ლ. ალავიძე და ვ. ჯუღელი საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას“, სს „საქაზის“, სს „ეი-ეს-თელასის“, სს „ობოელექტროცენტრალის“, ქობილისის მერიის, საქართველოს საობობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ, 2004 წელი;

სარჩელი - ო. ქამუშაძე, ა. წულუკიანი, გ. გოჩაშვილი, ო. გურეშიძე, ლ. ალავიძე და ვ. ჯუღელი საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას“, სს „საქაზის“, სს „ეი-ეს-თელასის“, სს „ობოელექტროცენტრალის“, ქობილისის მერიის, საქართველოს საობობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ, 2005 წელი (საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება 3 აგვისტოს 1995 წლის ბუნების (გარემოს) დაცვის შესახებ.

### 5.3. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

უნგრეთის ხლოვაკეთის წინააღმდეგ (*Hungary v. Slovakia*), 1977 წელი.

### 5.4. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო

*Marshall v. Southampton A.H.A.*, Case 152/84, ECR (1986);

*Faccini Dori v. RECREB Srl.*, Case 91/92;

*Francovich and Bonifacci v. Italy*. Case 679/90, 1993;

*R. v. Secretary of State for Transport ex parte FactorTame Joined Cases 4678/93;*

*Brasserie du Pecheur S.A v. Federal Republic of Germany Joined Cases 4678/93.*

### **5.5. საერთაშორისო საარბიტრაჟო განჩინებები**

Trail Smelter Arbitration, (*United States v. Canada*) (1941);  
Lac Lanoux Arbitration, (*France v. Spain*) (1957);  
Gut Dam Claims, (*United States v. Canada*), (1968).

### **5.6. დიდი ბრიტანეთი**

„ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოების“ სარჩელი 1996 წელი.

### **5.7. უკრაინა**

ქ. ლვოვის მოსახლეობა და ადგომატოა საზოგადოების სარჩელი 1982 წელი.